როგორ დატოვა ლევან მამალაძემ ბათუმი A2
კანონიერების კულტურა A6
მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 27 იანვარი, 2004 წელი. №21 (570) | ფასი 50 თეთრი

რუსული ბაზები - რისკ-ფაქტორი საქართველოსთვის

თამარ მჭედლიშვილი

"რუსებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი ბაზების ყოლას ერთადერთი დანიშნულება აქვს – ეს მათთვის პოლიტიკური ზეგავლენისა და უცხო სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის საშუალებაა," – აცხადებს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- თქვენი აზრით, რატომ ჭიანურდება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოდან და რატომ ითხოვს რუსული მხარე საკმაოდ დიდ დროს და თანხებს ამ პროცესისთვის?

- ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ამერიკის შეერთებული შტატები, საერთოდ დასავლეთი, უკვე თანამიმდევრულად ახორციელებენ იმ პოლიტიკას, რომლის მიზანია დასავლურ, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული ფართო ევროატლანტიკური სივრცის შექმნა და ამ საქმეში დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. თუმცა, სერიოზული წარმატებების მიუხედავად, მათ რუსეთთან გარკვეული პრობლემები მაინც აქვთ. რუსეთი ჯერ ვერ გათავისუფლდა ძველებური მიდგომებისაგან. თანაც, რუსეთს საკუთარი ინტერესებისა და პოლიტიკური კურსის გასატარებლად ძველი ბერკეტებიც შემორჩა. მისთვის აუცილებელია, ე.წ. ახლო საზღვარგარეთის ქვეყნები საკუთარი გავლენის ქვეშ ამყოფოს და ამისთვის ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტად იგი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სწორედ თავისი სამხედროების ყოფნას განიხილავს. ყველაზე უფრო გამოკვეთილად ეს პრობლემა, ალბათ, საქართველოში იჩენს თავს, იმის მიუხედავად, რომ, წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, ამ ბაზებს ფუნქცია დაკარგული აქვთ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ამერიკამ რუსეთის მიმართ ტონი გაამკაცრა

რევაზ ბახტაძე

კოლინ პაუელის თქმით, იგორ ივანოვმა მის ყველა შეკითხვას არ გასცა პასუხი. REUTERS

გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ოფიციალური ვიზიტი დაიწყო მოსკოვში, სადაც მან რუსეთში დემოკრატიული ინსტიტუტების შეზღუდვა აღნიშნა და მეზობლების მიმართ კრემლის პოლიტიკის საკითხები კრიტიკულად შეაფასა.

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობები იმდენად მტკიცეა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ნებისმიერი სირთულის დაძლევა შეიძლება.

თუმცა, ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე აშკარა იყო, რომ პაუელი პუტინის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გაკრიტიკებას აპირებდა. სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ იგი რუსეთში დემოკრატიის თვალსაზრისით არსებული ვითარების შესახებ "ღია და გულახდილი საუბრის" გამართვას აპირებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

დიდი თანხმობის კიდევ ერთი აქტი

ლელა მჭედლიძე

"ღმერთი ამთლიანებს, ბოროტი სული ანაწევრებს... საქართველო გამარჯვებულად მაშინ ჩაითვლება, როცა მთლიანი იქნება. თქვენი პრეზიდენტობა მშვიდობით დაიწყო... დაე, მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს თქვენთან და სრულიად საქართველოში," - მიხეილ საკაშვილისა და სრულიად საქართველოსადმი ასეთი მიმართვის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქაშუეთის ეკლესიაში საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობისათვის ლოცვა აღავლინა. ლოცვა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ეროვნული თანხმობის დეკლარაციისათვის ხელის მოწერას უძღოდა წინ. მართალია, ილია მეორე, მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, როგორც სასულიერო პირი, პოლიტიკური ცხოვრებისგან შორს დგას, მაგრამ მისმა პოზიციამ, "არ მისულიყო პარლამენტის სამარცხვინო სხდომაზე", "ვარდების რევოლუციის" დროს დიდი როლი ითამაშა. საერთოდ, პრეზიდენტ სააკაშვილის აზრით, ილია მეორის ღვაწლს და მის მიერ დროულად გადადგმულ ნაბიჯებს ისტორია ღირსეულად დააფასებს.

"სიმბოლურია, რომ ამ დეკლარაციას ხელი სწორედ აქ მოეწეროს - იმ ადგილას, საიდანაც გავარდა პირველი ტყვია, დაიწყო სამოქალაქო ომი," - აცხადებდნენ გუშინ ქაშუეთის ეკლესიაში შეკრებილნი.

გაგრძელება A3 გვერდზე

დიდი თანხმობის კიდევ ერთი აქტი

ლელა მჭედლიძე

"ღმერთი ამთლიანებს, ბოროტი სული ანაწევრებს... საქართველო გამარჯვებულად მაშინ ჩაითვლება, როცა მთლიანი იქნება. თქვენი პრეზიდენტობა მშვიდობით დაიწყო... დაე, მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს თქვენთან და სრულიად საქართველოში," - მიხეილ საკაშვილისა და სრულიად საქართველოსადმი ასეთი მიმართვის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქაშუეთის ეკლესიაში საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობისათვის ლოცვა აღავლინა. ლოცვა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ეროვნული თანხმობის დეკლარაციისათვის ხელის მოწერას უძღოდა წინ. მართალია, ილია მეორე, მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, როგორც სასულიერო პირი, პოლიტიკური ცხოვრებისგან შორს დგას, მაგრამ მისმა პოზიციამ, "არ მისულიყო პარლამენტის სამარცხვინო სხდომაზე", "ვარდების რევოლუციის" დროს დიდი როლი ითამაშა. საერთოდ, პრეზიდენტ სააკაშვილის აზრით, ილია მეორის ღვაწლს და მის მიერ დროულად გადადგმულ ნაბიჯებს ისტორია ღირსეულად დააფასებს.

"სიმბოლურია, რომ ამ დეკლარაციას ხელი სწორედ აქ მოეწეროს - იმ ადგილას, საიდანაც გავარდა პირველი ტყვია, დაიწყო სამოქალაქო ომი," - აცხადებდნენ გუშინ ქაშუეთის ეკლესიაში შეკრებილნი.

გაგრძელება A3 გვერდზე

ციდან ჩამოტანილი სიხარული

"დინამო" ორი თასით დაბრუნდა

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის აეროპორტში "დინამოელებს" მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს. თეიმურ სახიტაშვილის ფოტო

ძალიან მოგვნატრებია გამარჯვებები. მოსკოვიდან ტრიუმფით დაბრუნებულ თბილისის "დინამოს" გუშინ დედაქალაქის აეროპორტში იმაზე გაცილებით მეტი ხალხი დახვდა, ვიდრე ეროვნულ ჩემპიონატში მისსავე მატჩებს ესწრება ხოლმე. არცაა გასაკვირი: 1981 წლის შემდეგ, არც საკლუბო, არც ეროვნულ ნაკრებთა დონეზე, ქართველ ფეხბურთელებს რაიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო წარმატება არ მოუპოვებიათ.

25 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალზე, პირველად აღიმართა საქართველოს ახალი, ხუთჯვრიანი დროშა.

25 იანვარს, მოსკოვის სპორტკომპლექს "ოლიმპიისკში", თბილისის "დინამოს" პატივსაცემად, პირველად აღიმართა ახალი საქართველოს ახალი დროშა.

გაგრძელება B4 გვერდზე

ბათუმელ ჟურნალისტთა მიმართვა

25 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქალაქ ბათუმში სამხედრო აღლუმის მიღებისა და ქალაქის დატოვების შემდეგ, მოეწყო პრეზიდენტის მხარდამჭერთა მშვიდობიანი მსვლელობა-აქცია, რომელმაც მოგვიანებით მიტინგის სახე მიიღო.

მშვიდობიან მიტინგს დასაშლელად ე.წ. "სპეცნაზი" შეესია და მომიტინგეები დაარბია. მიუხედავად ამისა, მომიტინგეებმა გააგრძელეს ქალაქის ქუჩებში მსვლელობა.

"გაზეთ ბათუმელების" ჟურნალისტები, პროფესიული მოვალეობის შესრულების მიზნით, ბუნებრივია, მიმდინარე მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდნენ.

მიტინგის, ფაქტობრივად, დარბევის შემდეგ, შეიქმნა ნაცნობი (ყოველ შემთხვევაში ჟურნალისტებისათვის) სიტუაცია, რომელიც ბოლო დროს ხშირად მოსდევს ხოლმე ანალოგიურ აქციებს, სადაც მეტ-ნაკლებად, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრი ფიქსირდება. ანუ, ამჯერადაც, მიტინგის დარბევის შესახებ ბრძანებას გასცემდა და უშუალოდ დარბევას ახორციელებდა ერთი და იგივე ჯგუფი, რომელსაც ანალოგიური აქციები და მასმედიის სხვადასხვა საშუალებათა ჟურნალისტები ხშირად, ზოგჯერ უსასტიკესადაც კი დაურბევია.

გაგრძელება A2 გვერდზე

"დემოკრატიული აჭარა" ასლან აბაშიძეს "ყვითელ ბარათს" უჩვენებს

ვერიკო თევზაძე

საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დემოკრატიული აჭარის" მიზანია აჭარაში დემოკრატიული გზით ხელისუფლების შეცვლა. ორგანიზაციის წარმომადგენლები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ. "დემოკრატიული აჭარის" დამფუძნებელთა შორის "დემოკრატი" ედვარდ სურმანიძეც გახლავთ. სურმანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის პოსტზე ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად განიხილება.

გაგრძელება A2 გვერდზე

გენერალური პროკურატურა ყოფილი პრეზიდენტის ოჯახს მიუახლოვდა

თამარ კაციტაძე

დღევანდელი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი კავშირგაბმულობის ყოფილ მინისტრს ფრიდონ ინჯიას ჯერ კიდევ ადვოკატობის პერიოდში დაუპირისპირდა. "ჯეოსელის" საქმეზე მიმდინარე სასამართლო დავა წლების წინ ოქრუაშვილის გამარჯვებით დასრულდა. პირველი სამართალდამცველი კომუნიკაციის კარგად ცნობილ თემას კვლავ დაუბრუნდა, კავშირგაბმულობის თითქმის დავიწყებულ საქმეზე მტკვერი გადაბერტყა და ამით ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის ხელშეუხებლობის გარანტიას საფუძველიც შეურყია.

"კომუნიკაციასთან დაკავშირებით დამკითხეს", - ხუთსაათიანი დაკითხვის შემდეგ მოკლე კომენტარი გააკეთა გენერალური პროკურატურიდან გამოსულმა, "მაგთიკომის" დამფუძნებელმა გია ჯოხთაბერიძემ.

გაგრძელება A7 გვერდზე

პოლიტიკა

ნათელაშვილი საკუთარ თავს სააკაშვილისგან ვეღარ არჩევს

სულ ცოტა ხნის წინათ შალვა ნათელაშვილი იმუქრებოდა, რომ თუ ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებს ხუთი-ექვსი თვით მაინც არ გადაავადებდა, ალტერნატიულ პარლამენტს ჩამოაყალიბებდა. ნათელაშვილს თავისი მუქარა "აღარ ახსოვს".

A3

ეკონომიკა

იტალიელი ინვესტორი ასობით მეტალურგს უმუშევრად ტოვებს

"ნაციონალები" და უმუშევარი მეტალურგები ქარხნის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდნენ. მალე მეტალურგიული კომბინატიდან რეზერვში მყოფ 1300 მუშას დაითხოვენ. "რმკ"-ს ახლა "რამკ"-ი ჰქვია. აბრევიატურაში ასო "ა" კომბინატში იტალიელი ინვესტორის, "არესის" შესვლის შემდეგ გაჩნდა.

A4

უცხოეთი

აშშ დღეს ექსტრემისტთა ჯგუფის ხელშია

გუშინ ბრიტანულმა გავლენიანმა გაზეთმა "გარდიანმა" გამოაქვეყნა ნაწყვეტი ჯორჯ სოროსის წიგნიდან "ამერიკული უპირატესობის საპნის ბუშტი." წიგნი ხუთშაბათს გამომცემლობამ "Weidefeld & Nicolson" გამოსცა. გთავაზობთ "გარდიანში" გამოქვეყნებულ ნაწყვეტს.

A5

სამართალი

ყოფილი მეომარი პატიმრები პრეზიდენტის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

ეროვნული შერიგების დეკლარაციის გაფორმებას და მისი ამოქმედებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი აქტით ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი 30-მდე პატიმრის გათავისუფლებას პატიმართა დიდი ნაწილი სერიოზული პრეტენზიით შეხვდა.

A7

თვალსაზრისი

ინაუგურაცია მშვენიერ ამინდში

მასმედიებიც ძალას არ იშურებენ, რომ სოროში შემძვრალი ჩვეული სახეები არ დაგვავიწყონ. მათ შექმნეს ერთი მუჭა "ცნობადი სახეები" და მათვე უჭირთ, მათ შეელიონ. რევოლუციის შიშით მიმალულებს გაზეთების გვერდებზე და ტელეეკრანებზე ისევ ჭკუას ეკითხებიან...

A8

ამინდი

თბილისი	11
ქუთაისი	13
ბათუმი	13
სოხუმი	10
ფოთი	12
თელავი	9
ზუგდიდი	12
გორი	8
ახმეტა	9
ჭიათურა	11

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1300
ევრო	2.6757
გირვანქა სტერლ.	3.8796
რუბლი	0.0747

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 პროექტი | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

ბათუმელ ჟურნალისტთა მიმართვა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შეხლა-შემოხლა ბათუმის ქუჩებში.

25 იანვარს, "გაზეთ ბათუმელების" ჟურნალისტებს ე.წ. "სპეცნაზელებმა" არ მისცეს საშუალება პროფესიული მოვალეობის შესრულებისა, კიდევ ერთხელ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაუზიანეს ციფრული ფოტოაპარატი და წაართვეს "ჩიპი", რომელზედაც მიმდინარე მოვლენები და თავად დამბრბევი ჯგუფი იყო დაფიქსირებული.

უახლოეს წარსულში ჟურნალისტების, კერძოდ "გაზეთ ბათუმელების" თანამშრომლებისადმი სიტყვიერი შეურაცხყოფის, ფიზიკური ანგარიშსწორებისა და ტექნიკური აპარატურის დამტვრევა-დაზიანების არაერთ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რის შესახებაც რედაქციამ აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობითაც კი მიმართა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში სცემეს "გაზეთ ბათუმელების" ერთ-ერთი თანამშრომელი, შემდეგ კი, სოფელ გონიოში გამართულ მიტინგზე ჩვენს რამოდენიმე ჟურნალისტს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაუმტვრიეს დიქტოფონი და ციფრული ფოტოაპარატი. ხშირია რედაქციის თანამშრომლებისადმი მუქარაც.

"გაზეთი ბათუმელები" ვერანაირად ვერ შეეგუება თავისუფალი ჟურნალისტებისადმი, და საერთოდ, განსხვავებული აზრის მქონეთა მიმართ, აღნიშნულ ვანდალურ დამოკიდებულებას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი.

გამომდინარე აქედან - საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და ყველა შესაბამისი სამსახურებისაგან, კატეგორიულად მოვითხოვთ, შეწყდეს თავისუფალი ჟურნალისტების დევნა-დაშანტაჟება და მასმედიის წარმომადგენლებს მიეცეთ ნორმალური მუშაობის საშუალება!

მოვითხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ დაერქვას ყველაფერს თავისი სახელი და მიეცეს სამართლებრივი შეფასება.

მოვითხოვთ, აგრეთვე, რომ შეწყდეს "გაზეთ ბათუმელებისაგან" მტრის ხატის შექმნა და მავანთა მხრიდან მისი დისკრედიტაციის მცდელობა!

"გაზეთი ბათუმელები" მიმართავს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ კორპუსებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფალი სიტყვის, საერთოდ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, ხმა აღიმაღლონ აჭარაში ჟურნალისტთა უფლებების დასაცავად.

"გაზეთი ბათუმელები"

"დემოკრატიული აჭარა" ასლან აბაშიძეს "ყვითელ ბარათს" უცვენებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

"ჩვენი აჭარა" გრანდიოზული ფორუმისთვის ემზადება.

დღეს ფილარმონიაში საზოგადოებრივი მოძრაობა "დემოკრატიული აჭარა" დაფუძნდება. მოძრაობის წევრები დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებას აჭარაში აპირებდნენ, ამის შესახებ მათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას წერილობით მიმართეს, მაგრამ უარი მიიღეს. ედვარდ სურმანიძე იმედოვნებს, რომ ორგანიზაცია რამდენიმე დღეში აჭარაში ოფისს გახსნის.

ფორუმს ფილარმონიაში ოთხი ათასამდე ადამიანი დაესწრება. ისინი ბათუმიდან, ხულოდან, ხელვაჩაურიდან, ქობულეთიდან და აჭარის სხვა კუთხეებიდან ჩამოვლენ.

ორგანიზაციის დამფუძნებლები აცხადებენ, რომ მათ, დაახლოებით, 30 ათასი კაცი უჭერს მხარს, თუმცა, მათივე განმარტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ორგანიზაციის აქტივისტებს და მხარდამჭერებს აშანტაჟებს: **"ცუდი ინფორმაციები მოგვდის აჭარიდან, ყველანაირად ცდილობენ, ხელი შეგვიშალონ. ჩვენს მხარდამჭერებს არ აძლევენ საშუალებას, რომ 27-ში ფორუმზე ჩამოვიდნენ. მძღოლების დაშანტაჟება დაიწყეს, მათ საბუთებს ართმევენ. მიუხედავად ამისა, აჭარის მოსახლეობა მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე, რაც ცხადყოფს, რომ ამ კუთხეში დემოკრატიული პროცესების შეჩერება შეუძლებელია. ეს პროცესები დღითიდღე კიდევ უფრო განვითარდება".**

ედვარდ სურმანიძის თქმით, მას **"სხვაზე ნაკლები შანსი არ აქვს",** სამართლიანი არჩევნების გზით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი გახდეს. თუმცა, სურმანიძის განმარტებით, ყველაფერი ეს მეორე რიგის ამოცანაა. ამ ეტაპზე იგი უმთავრესად **"რადიკალური ცვლილებებისთვის"** აჭარის მოსახლეობის მომზადებას მიიჩნევს.

ედვარდ სურმანიძე ძალმომრეობას უწოდებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ "დემოკრატიული აჭარის" წევრების დაშანტაჟების ფაქტებს და აჭარის ხელმძღვანელობის მისამართით გამაფრთხილებელ მინიშნებებს აკეთებს: **"ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ აჭარაში ხელისუფლება მშვიდობიანი გზით შეიცვალოს, მაგრამ თუ აბაშიძის რეჟიმი ძალმომრეობით დაგვიპირისპირდება, ეს მისთვის ვადაზე ადრე გამოტანილი განაჩენი იქნება."**

როგორ დატოვა ლევან მამალაძემ ბათუმი

ლევან მამალაძე, გასული წლის ნოემბრის ბოლოს მოსკოვში ჩასვლის შემდეგ, დეკემბრის ბოლოს დაბრუნდა ბათუმში. ბათუმიდან მამალაძე მოსკოვში დაბრუნდა ა.წ. 9 იანვარს, ბათუმი-მოსკოვის სარეისო თვითმფრინავით, რომლითაც სრულდება ჩვეულებრივი რეისები "ბათუმი-მოსკოვი". თვითმფრინავში მგზავრები არ იმყოფებოდნენ. ეკიპაჟის გარდა იყვნენ მხოლოდ ლევან მამალაძე და ბადრი მელაძე - ასლან აბაშიძის წარმომადგენელი მოსკოვში, რომელსაც რამდენიმე დღის წინ მიენიჭა აჭარის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერის რანგი.

ბადრი მელაძემ ასლან აბაშიძეს განუცხადა, რომ სასწრაფოდ სჭირდებოდა თვითმფრინავი მოსკოვში გასაფრენად და მისაგან მიიღო ამისათვის სარეისო თვითმფრინავის გამოყენების თანხმობა.

მოსკოვის ვნუკოვოს აეროპორტში მელაძემ მამალაძე გამოატარა "ვიპ"-ში, სადაც ყველა ფორმალობის დარღვევით ის რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ. ზემოაღნიშნულ "მომსახურებაში", როგორც სარწმუნო წყარო იუწყება, ლევან მამალაძეს ბადრი მელაძისთვის სოლიდური თანხა გადაუხდია.

24 საათი

ასლან აბაშიძის მორიგი პრობლემა

გუშინ იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გააატარა ასლან აბაშიძისა და "აღორძინების" მიერ "დევნილი" პოლიტიკური ორგანიზაცია "დემოკრატიული სამართლიანობის პარტია", რომელსაც, როგორც ამბობენ, ასლან აბაშიძის პირადი მტერი, ამჟამად საზღვარგარეთ მყოფი ლევან ქიძინიძე ხელმძღვანელობს.

წარსულში ბათუმის მერი და ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის ყოფილი დირექტორი ლევან ქიძინიძე უკვე რამდენიმე თვეა, იბრძვის საკუთარი პარტიის დაფუძნებისათვის. ზაფხულში დაპირისპირებამ იუსტიციის სამინისტროსა და ქიძინიძის მომხრეებს შორის პიკს მიაღწია. შედეგად კი, ჯერ კიდევ დაუფუძნებელი პარტიის აქტივისტებმა სახელმწიფო კანცელარიისა და იუსტიციის სამინისტროს წინ საპროტესტო აქციათა სერია გამართეს და იუსტიციის სამინისტროს სასამართლოშიც უჩივლეს.

გუშინ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, რომ "დემოკრატიული სამართლიანობის პარტია" რეგისტრაციაში უკვე გატარებულია. შესაბამისად, დღეს დაგეგმილი სასამართლო პროცესი, რომელსაც ლევან ქიძინიძის მომხრეებისა და იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი დავა უნდა განეხილათ, არ შედგება.

სხვათა შორის, გუშინ გიგი უგულავამ პირდაპირ განაცხადა, რომ "თავის დროზე, იუსტიციის სამინისტროს უარი აჭარის ხელმძღვანელობისა და ყოფილი ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური გარიგებით იყო გამოწვეული", და რომ "პარტიას დოკუმენტაცია სრულ წესრიგში ჰქონდა".

ბუნებრივია, იუსტიციის მინისტრის მოადგილე არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა რეაქცია მოჰყვება ამ ფაქტს ასლან აბაშიძის მხრიდან. თუმცა, გუშინ პოლიტიკურ კულუარებში უკვე გაისმა მოსაზრება, რომ ეს ფაქტი ნამდვილად დაამძიმებს აჭარაში ისედაც დაძაბულ პოლიტიკურ ფონს, მით უფრო, რომ ქიძინიძე აჭარაში ჯერ კიდევ საკმაო გავლენით სარგებლობს და, საჭიროების შემთხვევაში, მის მომხრეებს ასლან აბაშიძისა და მისი გარემოცვისთვის საკმაოდ სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლიათ, თუნდაც იმ კონკრეტული ფაქტებით, რომელიც მათთვის არის ცნობილი და რომელიც აბაშიძის გარემოცვის ფინანსურ საქმიანობას და საკმაოდ საეჭვო პოლიტიკურ კავშირებს ეხება.

პარტიის სამომავლო გეგმების თაობაზე გუშინვე გახდა ცნობილი. დაახლოებით, საღამოს ექვსი საათისთვის, სამუშაო დღის დასრულებამდე რადენიმე წუთით ადრე, ცესკო-ს კანცელარიაში პარტიის წარმომადგენელმა სპეციალური განაცხადი შეიტანა. ეს კი ნიშნავს, რომ პარტია 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს.

ვინ მიიღებს "რუსთაველზე" ვაჭრობის უფლებას?

რუსთაველის გამზირზე განლაგებული სავაჭრო დახლები პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალისთვის დროებით აიღეს. გუშინ "სამსახურში" გამოცხადებულმა მოვაჭრეებმა გაარკვიეს, რომ ისინი სამსახურს, დროებით კი არა, სამუდამოდ უნდა გამომშვიდობებოდნენ. მერიის შენობის წინ შეკრებილი მოვაჭრეების მოთხოვნებით არავინ დაინტერესებულა. უპასუხოდ დარჩენილი ათობით ადამიანი დღეს რუსთაველის გამზირის გადაკეტვას გეგმავს.

"ახლა რომ გვეუბნებიან, მთავრობა არ გვყავს და ვერაფერს გეტყვითო, დახლები რომ აგვაღებინეს, მაშინ გვყავდა? ჩვენ ხომ ტროტუარს არ ვკეტავთ. გამაგრილებელი სასმელების მაცივრები და სიგარეტის პატარა დახლები გვიდგას. სამი დღეა, ულუკმაპუროდ ვართ დარჩენილები. რამდენი წელიწადია, გარე ვაჭრობაზე ოფიციალური ნებართვა და გამგეობაში ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული. დაგვასაქმონ და სულ არ გვინდა ქუჩაში ხუთი ლარისთვის ღამეების თენება", - აცხადებდნენ მერიის წინ შეკრებილი მოვაჭრენი. რამდენიმე საათის თათბირის შემდეგ, მერიისგან უყურადღებოდ დარჩენილმა მოვაჭრეებმა ერთადერთ გამოსავალს მიაგნეს: **"რადგან ჩვენი წუხილი არავის ესმის და პასუხსაც არავინ გვცემს, ერთადერთ გამოსავალს რუსთაველის გამზირის გადაკეტვაში ვხედავთ. ხვალ გადავკეტავთ გამზირს და სანამ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, არ დავიშლებით,"** – განაცხადა ორი წლის ბავშვთან ერთად მოსულმა ქალბატონმა.

როგორც მთაწმინდის გამგებელმა დავით ღვინიაშვილმა გვითხრა, რუსთაველის გამზირზე გარე ვაჭრობა მთლიანად არ აიკრძალება, მაგრამ მოვაჭრეების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდება: **"გვინდა, ქალაქი ქალაქს დაემსგავსოს. რამდენიმე დღეში საკრებულოსთან ერთად დისლოკაციის ადგილებს განვსაზღვრავთ. პირველი თებერვლიდან ხელშეკრულებებს ხელმეორედ გავაფორმებთ. ამჯერად ბევრად უფრო ნაკლები ადამიანი მიიღებს ვაჭრობის უფლებას. ზოგიერთს ბაზრობის ტერიტორიაზე გამოვუნახავთ ადგილს. ყველა ჩამოსული მაინცდამაინც რუსთაველზე უნდა დადგეს? დროა, ქალაქის ცენტრი გავათავისუფლოთ. რა ვქნათ, ადრე თუ გვიან ეს პროცესი ხომ უნდა დაგვეწყო?!"**

თამარ დვალი



ᲖᲐᲖᲐ ᲒᲣᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

რუსთაველზე გარე ვაჭრობა აიკრძალება, მაგრამ არა - ყველასთვის.

მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი ხდება

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲮᲘᲫᲔᲡ ᲤᲝᲢᲝ

ვანო მერაბიშვილი გუშინ თავშეკავებულ კომენტარებს აკეთებდა.

ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხებს მერაბიშვილი ძალოვანების გაკონტროლებას, თუმცა, ხელისუფლებასთან დაახლოებული წრეების ინფორმაციით, დღემდე ახალი საკადრო ცვლილებები, ძირითადად, სწორედ ვანო მერაბიშვილის უშუალო კონტროლის პირობებში ხორციელდებოდა. ამბობენ იმასაც, რომ მერაბიშვილი, რომელიც ბოლო პერიოდში შედარებით ჩრდილში იდგა, "ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სტრუქტურის მთავარი შემქმნელია.

საგულისხმოა, რომ უშიშროების ახალი საბჭო მომავალში ახალი უფლება-მოვალეობებითაც დაიტვირთება და აქ განხორციელდება არა მხოლოდ უშიშროების საბჭოში ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების მიერ დაწყებული რეფორმა, ანუ საბჭო შეიძენს ანალიტიკურ ფუნქციებს, არამედ, როგორც ამბობენ, მას დაექვემდებარება მომავალში ანტიკორუფციული საბჭოც, რომელიც ძველი ფორმითა და ძველი შემადგენლობით, სავარაუდოდ, აღარ იარსებებს.

ეს ნიშნავს, რომ კორუფციასთან ბრძოლის მაკოორდინირებელი ქვეყანაში სწორედ უშიშროების საბჭო და, შესაბამისად, მისი ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი გახდება, რაც მერაბიშვილის გავლენაზე თავისთავად მეტყველებს.

ამასთან, სახელისუფლებო კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილი გახდება იმ ფონდის განმკარგველი, რომელიც საქართველოს დასახმარებლად შეიქმნა და რომელიც კორუფციასთან ბრძოლის კონტექსტში მთავრობის წევრების ფინანსურ სტიმულირებას ითვალისწინებს.

თამარ ხორბალაძე

ქიჭიაშვილის მხარდამჭერი აქცია მატანაში

გუშინ პანკისის ხეობის სოფელ მატანის საშუალო სკოლაში ტერორისტად გამოცხადებული შოთა ქიჭიაშვილის ახლობლებმა და მეგობრებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი ქიჭიაშვილის მიმართ ძალოვანების მიერ წაყენებულ ბრალდებებს აპროტესტებენ.

თითქმის ყველა მათგანი გუშინ ქიჭიაშვილის უდანაშაულობაზე საუბრობდა. **"ჩვენ ვერ ვიჯერებთ, რომ შოთა ასეთი საშინელი დამნაშავეა. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, არის ის, რომ ჩემი ნამოწაფარი შოთა ქიჭიაშვილი უწყინარი ადამიანია,"** - ამბობს ტერორისტის პედაგოგი ეთერ ბახტურიძე.

შოთა ქიჭიაშვილის კრიმინალად გამოცხადებას მატანელები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირებენ და მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვენ. "ჩვენ ვიცით, რომ შოთას ფიზიკური ლიკვიდაცია ემუქრება. ერთადერთი, რასაც ვითხოვთ, სასამართლომ სამართლიანად წარმართოს პროცესი," - თხოულობენ მატანელები. აქცია რამდენიმე საათს გაგრძელდა და მასში 200-მდე მატანელი იღებდა მონაწილეობას.

იმ შემთხვევაში, თუ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებმა მათი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა, ისინი საპროტესტო აქციებს უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის წინ გამართავენ.

24 საათი

მერაბ ჟორდანია პატიმრობიდან გაათავისუფლეს

გუშინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გაათავისუფლეს. ჟორდანიას ადვოკატს, რომელიც გუშინ დილიდან გენერალური პროკურორის სახელზე საჩივრის შეტანას აპირებდა, ამ ნაბიჯის გადადგმა აღარ მოუწია. "მერაბ ჟორდანიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებას პროკურატურა დღესაც თუ არ დაამტკიცებს, სხვა ზომებს მივმართავ", - აცხადებდა ადვოკატი შალვა შავგულიძე.

სწორედ გუშინ ამოიწურა ის ვადა, რომელსაც პროკურატურა ჟორდანიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების დასამტკიცებლად კანონიერად მიიჩნევდა.

ერთი სიტყვით, პროკურატურას კანონით გათვალისწინებული ვადა არ დაურღვევია. ჟორდანია ვადის ამოწურვისთანავე გაათავისუფლეს და მან ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო ისე დატოვა, რომ ჟურნალისტების შეკითხვას პასუხი არ გასცა.

შეგახსენებთ, მერაბ ჟორდანია 2003 წლის 12 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალად ბიუჯეტისთვის 741 989 ლარის დაფარვა წაუყენეს. შს სამინისტროს არგუმენტებით, თუკი ჟორდანია სადავო თანხას დაფარავდა, მაშინ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდებოდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სრული თანხა ბიუჯეტში 16 იანვარს შეიტანა. შს სამინისტრომ საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება მაშინვე მიიღო. გენპროკურატურამ აღნიშნული დადგენილების დამტკიცებისთვის კანონიერად ათი დღე მიიჩნია. ეს ვადა გუშინ ამოიწურა.

24 საათი

მერაბ ჟორდანია პატიმრობიდან გაათავისუფლეს

გუშინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გაათავისუფლეს. ჟორდანიას ადვოკატს, რომელიც გუშინ დილიდან გენერალური პროკურორის სახელზე საჩივრის შეტანას აპირებდა, ამ ნაბიჯის გადადგმა აღარ მოუწია. "მერაბ ჟორდანიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებას პროკურატურა დღესაც თუ არ დაამტკიცებს, სხვა ზომებს მივმართავ", - აცხადებდა ადვოკატი შალვა შავგულიძე.

სწორედ გუშინ ამოიწურა ის ვადა, რომელსაც პროკურატურა ჟორდანიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების დასამტკიცებლად კანონიერად მიიჩნევდა.

ერთი სიტყვით, პროკურატურას კანონით გათვალისწინებული ვადა არ დაურღვევია. ჟორდანია ვადის ამოწურვისთანავე გაათავისუფლეს და მან ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო ისე დატოვა, რომ ჟურნალისტების შეკითხვას პასუხი არ გასცა.

შეგახსენებთ, მერაბ ჟორდანია 2003 წლის 12 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალად ბიუჯეტისთვის 741 989 ლარის დაფარვა წაუყენეს. შს სამინისტროს არგუმენტებით, თუკი ჟორდანია სადავო თანხას დაფარავდა, მაშინ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდებოდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სრული თანხა ბიუჯეტში 16 იანვარს შეიტანა. შს სამინისტრომ საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება მაშინვე მიიღო. გენპროკურატურამ აღნიშნული დადგენილების დამტკიცებისთვის კანონიერად ათი დღე მიიჩნია. ეს ვადა გუშინ ამოიწურა.

24 საათი

დავით მირცხულავას დაკითხვა კვლავ შეუძლებელია

საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა გუშინ სემეკ-ის თავმჯდომარის დავით მირცხულავას დაკითხვა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო კიდევ ვერ მოახერხეს. მისი დაკითხვა, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება.

მირცხულავას დაცვის მხარე მოითხოვს საბუღალტრო და სარევიზიო ექსპერტიზის დანიშვნასაც. "ეს აუცილებელია, რადგან ამ ექსპერტიზების დასკვნების გარეშე საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა გართულდება", - აცხადებს მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია.

შეგახსენებთ, სემეკ-ის თავმჯდომარე, ენერგეტიკის ექსმინისტრი დავით მირცხულავა გასული წლის 18 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალად წაუყენეს თაღლითობის გზით განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების მითვისებაში თანამონაწილეობის მუხლი, რაც 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

საგამოძიებო მასალებით, საქმე 2001 წელს "არმენენერგოსა" და საქართველოს მხარეს შორის დადებულ ხელშეკრულებას შეეხება, რომლის დროსაც ქართულ მხარეს სომხეთის 4 მილიონ დოლარზე მეტი დავალიანება უსაფუძვლოდ დაუგროვდა. **24 საათი**

ვინ ითბობს ხელს გურჯაანის აგურის ქარხანაზე?

გურჯაანის აგურ-ქარხნის ირგვლივ აჟიოტაჟი ამჯერად უკვე დაპირისპირების საგანი ხდება. თუ "გაერთიანებული დემოკრატები" და "ნაციონალები" დღემდე ამ ობიექტიდან ტექნიკა-აპარატურის ჯართის სახით გაყიდვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ამჟამად ამ პარტიების რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ტვირთის გატანის ინიციატორებად გამოდიან.

გურჯაანის რკინიგზის სადგურში შეჩერებული 16 ვაგონი ამჯერად უკვე აზერბაიჯანში იცლება. "დემოკრატების" განცხადებით, ტვირთის გატარება მას მერე მოხდა, რაც მისმა პატრონმა ლევან ჩიკვაიძემ აზერბაიჯანელ პარტნიორთან ერთად რაიონის ბიუჯეტში დამატებით 25 ათასი ლარი ჩარიცხა, ხოლო საკრებულოში საგარანტიო წერილი დატოვა.

"აღნიშნულ წერილში ნათქვამია, რომ ჩიკვაიძე ინვესტორებს მოიზიდავს და რაიონს ახალ ქარხანას აუშენებს," - ამბობს რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა კობიაშვილი. აღნიშნული განცხადება კი რაიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს სასაცილოდ არ ჰყოფნით. ისინი აცხადებენ, რომ გარიგება შედგა. **"ზღაპარია და არავინ დაიჯერებს, რომ ჩიკვაიძე გურჯაანში ქარხანას მართლაც ააგებს, თანაც - ხვალიდან. თუ ეს აპარატურა არაფერს წარმოადგენს, მის გატანას რატომღა ჩქარობენ? ეჭვის საფუძველს სწორედ ის გვაძლევს, რომ ამ საქმეში უამრავი ჩინოვნიკია გარეული,"** - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია "ერის იმედის" თავმჯდომარე გელა მთივლიშვილი.

ამ ყველაფრის თავი და თავი, როგორც უკვე ირკვევა, გენერალური პროკურატურაა. არასამთავრობოების უმრავლესობის განცხადებით, აუდიტმა, რომელიც უწყებამ აგურის ქარხნის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის შემოწმებისათვის გაგზავნა, საქმის გადამოწმება 15 წუთში მოახერხა. რეგიონის საგადასახადო ინსპექციაში კი ამ საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებს ინფორმაციის მიღება ეკრძალებათ. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი კვირის წინ ქარხნიდან გატანილი ტექნიკა-აპარატურით დატვირთულ მატარებელს რაიონის მოსახლეობამ, ყოფილ ოპოზიციასთან ერთად, სარკინიგზო მაგისტრალი გადაუკეტა. ისინი ტვირთის უკან დაბრუნებას მოითხოვენ. აპარატურის ჯართად გაყიდვა კი რეგიონის საგადასახადო ინსპექციამ აუქციონის საფუძველზე მოახდინა. ერთ დროს სამ მილიონად, შემდეგ 210 ათას ლარად შეფასებული, ბოლოს კი 57 ათას ლარად გაყიდული ტექნიკა ქარხნის მიმართ დავალიანებას შეეწირა, რომელიც 80 ათას ლარს შეადგენდა.

გუშინ, ქარხნიდან გამოსულ, ტექნიკა-აპარატურით დატვირთულ მატარებელს სარკინიგზო მაგისტრალი არასამთავრობებმა და "კმარელებმა" გადაუკეტეს.

ზვიად რუაძე, კახეთიდან

დირექტორი და ბუღალტერი დიდი ოდენობით თანხის მითვისებას გადაყვნენ

სამართალდამცველებმა სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტზე ამხილეს ზესტაფონის ზონალურ საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული შპს "მურუსიძე-სხილაძის" დირექტორი, ზესტაფონში მცხოვრები გოჩა სხილაძე და ბუღალტერი, 44 წლის გიორგი ქოჩარიანი.

მათ 1998-2003 წლებში შპს "ზესტაფონის კომუნალური მეურნეობისათვის" და შპს "ზესტაფონის წყალკანალისათვის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას ხელოვნურად გაზარდეს შესრულებული სამუშაოების ღირებულება და 150 000 ლარი მიითვისეს.

ამავე დროს შპს "მუსურიძე-სხილაძეს" (საგადასახადო შემოწმების შედეგად) ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 98 870 ლარი, მათ შორის - ძირითადი გადასახადი 34 815 ლარი. გამოძიებას აწარმოებს სამხარეო პროკურატურა.

მედია-ნიუსი

ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

თბილისი. ასპინძის რაიონში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნების 25 იანვარს გამართულ მეორე ტურში "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" წარმომადგენელმა რამაზ თედორაძემ გაიმარჯვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტს ახალი მინისტრების კანდიდატურებს დასამტკიცებლად, საჭიროების შემთხვევაში, ერთ კვირაში წარუდგენს.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მინისტრების კანდიდატურების შერჩევისას გადამწყვეტი იქნება პროფესიონალიზმი და რეპუტაცია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საზოგადოებრივმა მოძრაობამ "დემოკრატიული აჭარა", რომელიც დამფუძნებელ ფორუმს დღეს თბილისში, ფილარმონიაში გამართავს, აჭარაში 30 ათასამდე მხარდამჭერის შემოკრება შეძლო, ხოლო თავად ფორუმში მონაწილეობის სურვილი 3 ათასზე მეტმა აჭარელმა გამოთქვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკურ გაერთიანება "ახალ მემარჯვენეებს" პარტიული ბლოკის შექმნა"მრეწველებსა" და "ედპ-ტრადიციონალისტებთან" სურს. როგორც პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში "მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ განაცხადა, გაერთიანების შესახებ კონსულტაციები მხოლოდ ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტთან მიმდინარეობს, თუმცა თანამშრომლობაზე საუბარი, ასევე, "ქრისტიან-დემოკრატიულ ალიანსთან" და "სახალხო პარტიასთან" მიმდინარეობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "სახალხო მოძრაობა - ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე აცხადებს, რომ 28 მარტს საქართველოში დანიშნული ხელახალი საპარლამენტო არჩევნები აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის რეჟიმის კრახის კატალიზატორი გახდება, რადგან აჭარაში აბაშიძის პარტია - "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" გამანადგურებელ მარცხს იწვნევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუს მშვიდობისმყოფელთა სარდალი ალექსანდრ ევტეევი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთი უარს იტყვის რუსეთის სამშვიდობო ძალებზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მეორე დღესვე დატოვებენ აფხაზეთს. რუს სამშვიდობოებს ქართულმა მხარემ მანდატი იმ პირობით გაუგრძელა, რომ თუ ერთ-ერთი მხარე მშვიდობისმყოფელებზე უარს იტყოდა, ისინი კონფლიქტის ზონას დატოვებდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სტრასბურგში დღეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესია დაიწყებს მუშაობას. 28 იანვარს სესიაზე საქართველოში 4 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს განიხილავენ. საკითხის განხილვას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად დაესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ გრიბოედოვის თეატრში გამართულ დევნილთა ფორუმზე, აფხაზეთიდან ლტოლვილებმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ჯარების გაყვანა სთხოვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში იანვრის თვის პენსიებისა და ხელფასების გაცემა მიმდინარეობს. გავრცელებულ ინფორმაციას, გასული წლის პენსიების და ხელფასების „გაყინვის" შესახებ, ფინანსთა სამინისტროში არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ მათი დაფინანსება 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების შემდეგ დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სტრასბურგში დღეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესია დაიწყებს მუშაობას. 28 იანვარს სესიაზე საქართველოში 4 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს განიხილავენ. საკითხის განხილვას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად დაესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ გრიბოედოვის თეატრში გამართულ დევნილთა ფორუმზე, აფხაზეთიდან ლტოლვილებმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ჯარების გაყვანა სთხოვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში იანვრის თვის პენსიებისა და ხელფასების გაცემა მიმდინარეობს. გავრცელებულ ინფორმაციას, გასული წლის პენსიების და ხელფასების „გაყინვის" შესახებ, ფ

დიდი თანხმობის კიდევ ერთი აქტი

ᲘᲘრველი გვერდიდან

“ბარიკადების ორივე მხარეს იყო ხალხი, რომელსაც სჯეროდა, რომ ამას საქართველოს ინტერესებისთვის აკეთებდა... როცა ერის გამთლიანებაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, რომ ყველაფერი უნდა დავივიწყოთ. კი არ უნდა დავივიწყოთ, არამედ შევუნდოთ ხალხს. ჩვენ უნდა შევძლოთ საქართველოდან გაძევებული ხალხის, ინტელიგენციის წარმომადგენლების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ასპარეზზე დაბრუნება. ჩვენ პატრიოტი კადრები გვჭირდება. ვისაც ოცნება ერთხელ უკვე წაართვეს, ხელმეორედ მის ჩახშობას კი უკვე აღარ დაუშვებს!” - ასეთია მიხეილ სააკაშვილის მოტივი, რის გამოც მან გუშინ “ეროვნული თანხმობის” დეკლარაციას მოაწერა ხელი. თავის ამ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი კონკრეტული ნაბიჯებითაც ამაგრებს. უახლოესი სამი-ოთხი დღის განმავლობაში ახალი ხელისუფლება, გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობასთან ერთად, იმ პატიმრების სიას გადახედავს, ვისაც პოლიტპატიმრის სტატუსი და, აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის შეწყალებაც ერგო. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ პოლიტპატიმრის სტატუსს თავს სხვადასხვა კრიმინალური წარსულის ადამიანები ვერ შეაფარებენ, რადგან ამის საშუალებას მას თუნდაც სახელმწიფო მინისტრის მოადგილის და ეროვნული თანხმობის კომისიის თავმჯდომარის გურამ აბსანძის მსგავსი მრჩეველები არ მისცემენ. გუშინ სააკაშვილი სწორედ იმ პერიოდს იგონებდა, როცა ზვიად ძიძიგურმა **“თითიდან გამოწოვილი ბრალდების გამო 6-7 წელი ციხეში გაატარა.”** თავად მას ძიძიგური საშინელი კრიმინალი ეგონა, ისევე როგორც **“ინტელიგენტი გურამ აბსანძე, რომელიც ურჩხულად დახატეს.”**

ᲔᲮᲔᲠ ᲒᲔᲚᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დეკლარაციას მიხეილ სააკაშვილმა აბსანძის კალმით მოაწერა ხელი.

პრეზიდენტი სააკაშვილი გუშინ დიდი მოწიწებით ახსენებდა უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებსაც დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელისმოწერის პატივი ერგოთ. დიდი მოწიწებით იხსენებდა, ასევე, **“საქართველოს პირველ, ტრაგიკული ბედის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რომელიც თავის ოცნებას შეეწირა.”**

პრეზიდენტი ჯერ კიდევ საკრებულოს თავმჯდომარეობისას ჩაფიქრებულის განხორციელებას აპირებს და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭება. ამასთან, დაგეგმილია, მაქსიმუმ 9 აპრილამდე, პირველი პრეზიდენტის ცხედრის საქართველოში გადმოსვენება და საპრეზიდენტო პატივით მისი დაკრძალვა იქ, სადაც ამას ხალხი გადაწყვეტს.

რუსული ბაზები - რისკ-ფაქტორი საქართველოსთვის

ᲘᲘრველი გვერდიდან

ამასთან ერთად, რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო ოპტიმისტურია საქართველოს მომავალი, პოლიტიკოსთა ახალმა თაობამ გამოთქვა მზადყოფნა ევროატლანტიკურ სივრცეში მჭიდრო ინტეგრაციისა, შეიქმნა იმის წინაპირობები, რომ კავკასია ამერიკისა და ნატო-ს საიმედო პარტნიორი გახდეს; აქედან გამომდინარე, რუსეთის სამხედრო ყოფნა უკვე სერიოზული ანაქრონიზმი და შემაფერხებელი ფაქტორია. ეს რუსეთმაც იგრძნო. მან დაიწყო სამხედრო ბაზების გაძლიერება. აშკარაა მისი მცდელობები პირადი შემადგენლობების შეიარაღების გაძლიერებასთან დაკავშირებით

- რუსული მხარე 11 წელს ან 500 მილიონ დოლარს ითხოვს ბაზების გასაყვანად...

- რუსეთის მხარის არგუმენტაცია, რომ მას სჭირდება 11 წელი ბაზების გასაყვანად, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან რუსების სამხედრო ძალა აქ იმდენად მცირეა, რომ მის გასაყვანად ასეთი დრო და ძალისხმევა საჭირო არ არის. ეს არის, უბრალოდ, ყურით მოთრეული არგუმენტი, რომ რაღაც შეესაფუთი მოუძებნონ თავის პოლიტიკურ პოზიციას. რაც შეეხება ღირებულებას: ციფრებს რომ თავი დავანებოთ, მიდგომაა არასწორი, რადგან რუსეთის პირდაპირი ვალდებულებაა უცხო სახელმწიფოდან ბაზების გაყვანა. სხვა საქმეა, თუ ამ პროცესს ვინმე საკუთარი ნებით დააფინანსებს. სამწუხაროდ, რუსეთი ცდილობს პროცესის გაწელვას. ნახევარი მილიარდი დოლარი - ეს იმდენად აბსურდული ციფრია, რომ კომენტარიც არ ღირს. გაუგებარია თვითონ არგუმენტაციაც, თუ რატომ უნდა გადაიხადოს ვინმემ ეს თანხა. რუსეთმა ეს მოთხოვნა ასე ახსნა – თურმე, მას გადაწყვეტილი აქვს სამხედრო ნაწილების არა დაშლა და განადგურება, არამედ მისი შენარჩუნება და რუსეთის ტერიტორიაზე გადაყვანა. ეს არასწორი მიდგომაა, რადგან რუსეთის არმია მოდერნიზაციისა და შემცირების პროცესში იმყოფება და ამ სიტუაციაში ყველაზე უფრო ლოგიკური იქნებოდა, შემცირებულიყო სწორედ ის ნაწილები, რომელიც სხვა ქვეყნებიდან არის გასაყვანი. აქედანაც ჩანს, რომ პროცესი ხელოვნურად ჭიანურდება. დაბოლოს: ნამდვილად არსებობს იმის გამოცდილება, რომ პარტნიორმა სახელმწიფომ ან საერთაშორისო ინსტიტუტმა დააფინანსოს რუსეთის სამხედრო ტექნიკის გატანა, მაგრამ რუსეთის სამხედრო აღმშენებლობას არავინ დააფინანსებს. ეს აბსურდია.

- აქვს თუ არა საქართველოს ხელისუფლებას რაიმე ბერკეტი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია პროცესის დაჩქარება, თუნდაც - გადასახადების და კომპენსაციის მოთხოვნა სამხედრო ბაზების ჩვენს ტერიტორიაზე ყოფნისთვის?

- პროცესი საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობს. 1998-99 წლიდან პირადად ვხელმძღვანელობდი ქართულ მხარეს როგორც წინასწარ მოლაპარაკებებზე, ასევე სტამბულში გამართულ ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრაზე. უნდა ვთქვა, რომ ამ წლების მანძილზე უდიდესი ძალისხმევაა გაწეული და ის, რომ სტამბულში მოხერხდა რუსეთის დათანხმება ორი ბაზის დახურვასა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილის გაყვანაზე, იყო კარგად გათვლილი დიპლომატიური სტრატეგიისა და ტაქტიკის, არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის მაქსიმალურად გამოყენების შედეგი. ახალი ხელისუფლება სერიოზულად უნდა გაერკვეს ამ პროცესის დინამიკაში და უნდა მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებები. რაც შეეხება გადასახადებს: ეს მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ რუსებს ამის გაკეთება ჩვენს მიმართ არ სურთ, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენი მხრიდან ეს საკითხი დადგეს კიდეც; თუმცა, ალბათ, იმის ილუზიაც არ უნდა გვქონდეს, რომ რუსული მხარე იოლად დათანხმდება ამ მოთხოვნებს.

ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗ ᲮᲐᲠᲔᲨᲐᲕᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ნიკოლოზ ვაშაკიძე არარეალურად მიიჩნევს რუსეთის პრეტენზიებს ბაზებთან დაკავშირებით.

- ქართული მხარე რუსებს სამი წლის ვადას აძლევს. თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა ეს პერიოდი ბაზების გასაყვანად?

- ამ მოლაპარაკებების პერიოდში ჩამოყალიბდა დიპლომატებისა და სამხედრო ექსპერტების ძალიან ძლიერი გუნდი. სპეციალისტთა დახმარებით შეიქმნა სერიოზულ გათვლებზე დაფუძნებული დოკუმენტაცია და უკვე წარედგინა რუსულ მხარეს არგუმენტაციად. ასე რომ, ეს არ არის მხოლოდ ქართული მხარის სურვილი. ეს არის არგუმენტირებული მოთხოვნა, რადგან რუსულ მხარეს ორი სამხედრო ბაზის გასაყვანად მეტი დრო არ სჭირდება.

- დღეს საქართველოში პოლიტიკურად საკმაოდ არაორდინალური ვითარებაა. აქედან გამომდინარე და რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, წარმოადგენს თუ არა რუსული ბაზების არსებობა პრობლემას ქვეყნის უსაფრთხოებისათვის? მით უფრო, რომ ეს ბაზები საკმაოდ პრობლემატურ რეგიონებშია განლაგებული.

- ბუნებრივია, რუსეთში გარკვეული ძალები სარგებლობენ საქართველოში არსებული სიტუაციით და იწყებენ ამ ბაზების განახლებასა და გაძლიერებას, თუმცა ეს ფაქტი ჩვენ გაძლიერებულ კონტროლზე გვყავს აყვანილი. ამ ვითარებაში რუსული ბაზები ჩვენთვის ნამდვილად წარმოადგენს პოლიტიკურ საფრთხეს და ეს ცალსახაა. რაც შეეხება აჭარას, იგი ყოველთვის იყო პრობლემური რეგიონი საქართველოსთვის. ეს დასამალი არ არის. ამავე დროს, რუსეთის სამხედრო ბაზის წარმომადგენლები ბათუმში მშვენივრად გრძნობენ თავს. მათ თავად ადგილობრივი ხელისუფლება უწევდა სერიოზულ დახმარებას, უშენებდა და ურემონტებდა შენობებს. თვითონ ის ფაქტი, რომ ცენტრისთვის პრობლემური რეგიონის ხელმძღვანელობა ასე მჭიდროდ თანამშრომლობს სამხედრო ბაზებთან, უკვე იმის მანიშნებელია, რომ საქმე სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს. დღეს აჭარაში შექმნილი ვითარება გვაფიქრებინებს, რომ რუსეთის სამხედრო ბაზა ნამდვილად წარმოადგენს ჩვენთვის რისკ-ფაქტორს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს დიდი გონიერება და მოქნილობა, რომ პოლიტიკური პრობლემები საქართველოს სასარგებლოდ იქნეს გადაწყვეტილი, ხოლო საფრთხეები - თავიდან აცილებული. ქართულ მხარეს ძლიერი და არგუმენტირებული პოზიცია აქვს და საქართველოს პრეზიდენტს არანაირად არ გაუჭირდება დაიცვას საქართველოს ინტერესები. მით უფრო, რომ ნამდვილად გვაქვს ორმხრივი ურთიერთობის გაჯანსაღების სერიოზული იმედი. ჩემი აზრით, ძალზე ბევრი პრობლემა და სირთულე მოიხსნება, თუკი ეს კონკრეტული გამაღიზიანებელი ფაქტორი (ანუ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზები) აღარ იარსებებს. სანამ ეს ასე არ მოხდება, რუსეთში ყოველთვის მოიძებნებიან ის ძალები, რომლებიც თავს ვერ აარიდებენ ამ ბერკეტების გამოყენების ცდუნებას.

ნათელაშვილი საკუთარ თავს სააკაშვილისგან ვეღარ არჩევს

სულ ცოტა ხნის წინათ შალვა ნათელაშვილი იმუქრებოდა, რომ თუ ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებს ხუთი-ექვსი თვით მაინც არ გადაავადებდა, ალტერნატიულ პარლამენტს ჩამოაყალიბებდა. მიუხედავად იმისა, რომ ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარის ულტიმატუმი არავინ შეისმინა და არჩევნები 28 მარტისთვის დაინიშნა, ნათელაშვილს თავისი მუქარა "აღარ ახსოვს": იგი აცხადებს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მისი პარტია აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ვარდების რევოლუციის შემდეგ ლეიბორისტების ლიდერმა ჩვეული თავდაჯერებულობა დაკარგა. ახლა ის უკვე აღარ ტრაბახობს, რომ საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს. **"მანდატებზე აცქმუტებულები არა ვართ,"** - არჩევნებში წარუმატებლობის შემთხვევაში, თავის გასამართლებელი მიზეზი ნათელაშვილს უკვე მზადა აქვს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან, ტრადიციულად, ხელისუფლების ლანძღვა- გინებითაც იჯერა გული. ერთ-ერთი ბრალდების მიხედვით, დღევანდელ მმართველ ძალას, თურმე, **"ლეიბორისტული პარტიის მოსპობა და ერთპარტიული პარლამენტის შექმნა სურს."**

ნათელაშვილის ეს განცხადება საკმაოდ უცნაურია იმის გათვალისწინებით, რომ ერთპარტიული პარლამენტის თავიდან ასაცილებლად სწორედ ხელისუფლება გამოვიდა საარჩევნო ბარიერის შვიდიდან ხუთ პროცენტამდე დაწევის ინიციატივით. ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე ხელისუფლების კეთილ ნებას მისსავე საწინააღმდეგოდ იყენებს. **"ბარიერის დაწევა პარლამენტში თავისი სატელიტი პარტიების შესაყვანად უნდა,"** - მმართველი ძალის ფარული ზრახვები ნათელაშვილს უკვე ამოცნობილი აქვს.

ლეიბორისტები არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ აპირებენ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებას, თუმცა მათთან თანამშრომლობაზე უარს არ ამბობენ. ნათელაშვილის თქმით, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ის აუცილებლად გამართავს კონსულტაციებს არჩევნების დროს ხმების დაცვის საკითხებზე. **"სააკაშვილი პარლამენტში ჩვენს შეშვებას არ აპირებს, მაგრამ მის განზრახვას ასრულება არ უწერია,"** - აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი.

ამასთან, შალვა ნათელაშვილს ძალიან აღიზიანებს, როდესაც მისი პარტიის შიგნით არსებულ განხეთქილებაზე იწყებენ საუბარს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე იგი გაურბოდა ამ საკითხზე მსჯელობას და დასმულ შეკითხვებზე ჯიუტად მხოლოდ იმას პასუხობდა, რომ ლეიბორისტული პარტიის მთლიანობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

როგორც ირკვევა, ორი კვირის განმავლობაში რუსეთში, ბელგიასა და საფრანგეთში მყოფი ნათელაშვილი სამშობლოში გრანდიოზული "პროექტით" დაბრუნდა. შემოდგომაზე ის აპირებს, ჩაატაროს ევრაზიის ქვეყნების კონგრესი, რომლის შემდეგაც **"თბილისი ევრაზიის დედაქალაქად, სხვადასხვა კულტურების ცენტრად გადაიქცევა."**

რაც შეეხება მისი ვიზიტის პოლიტიკურ მხარეს, ნათელაშვილის თქმით, რუსებთან მას სააკაშვილზე საუბარი არ ჰქონია, დასავლეთ ევროპელებს კი აუწყა, რომ **"საქართველოს პრეზიდენტი სოროსის ტროას ცხენს წარმოადგენს."**

ისე, ლეიბორისტების ლიდერი თავად აღიარებს, რომ საკუთარ თავსა და მიხეილ სააკაშვილს შორის ბოლო დროს საოცარ მსგავსებას პოულობს. **"სააკაშვილს ჩემი თავისგან ვეღარ ვარჩევ, ისე ხშირად ახმოვანებს ჩემს მოსაზრებებს,"** - აღნიშნავს "გაორებული" ნათელაშვილი.

ვიქტორ იუშჩენკო: "ახალმა ხელისუფლებამ ხალხს მოლოდინი არ უნდა გაუცრუოს"

უკრაინული ოპოზიციური ბლოკის "ნაშა უკრაინას" ლიდერი, საპრეზიდენტო რეიტინგებში პირველ ადგილზე მყოფი ვიქტორ იუშჩენკო ქართული "ვარდების რევოლუციის" უკრაინაში ექსპორტს არ აპირებს. "ასეთი მოვლენების ექსპორტირება, როგორც წესი, შეუძლებელია. ჩვენ ჩვენი გზით წავალთ," - ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია "ნაშა უკრაინას" ლიდერმა იუშჩენკომ სასტუმრო "მარიოტში" გამართულ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

თᲐᲛᲐᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ვიქტორ იუშჩენკო ცდილობდა, ჟურნალისტები დაერწმუნებინა, რომ უკრაინული ოპოზიცია საკუთარი და ხალხის საარჩევნო უფლებების დაცვას პარლამენტის ფარგლებში შეძლებს. თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, იგი "ადეკვატური ზომების" მიღებასაც არ გამორიცხავს. **"იმედი მაქვს, უკრაინელი ხალხი შეძლებს ადამიანის უმთავრესი არჩევანის უფლების დაცვას და ხელისუფლებას არ მისცემს იმის საშუალებას, რომ უკრაინის პრეზიდენტი პარლამენტის მიერ იქნეს არჩეული,"** - ოპტიმისტურადაა განწყობილი უპირველესი უკრაინელი ოპოზიციონერი.

ვიქტორ იუშჩენკოს აზრით, უკრაინაში რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს ამ საკითხთან დაკავშირებით და ხალხი გადაწყვეტს, პარლამენტი აირჩევს პრეზიდენტს, თუ ეს საყოველთაო არჩევნების გზით მოხდება. როგორც იგი ამტკიცებს, უკრაინელთა 88 პროცენტი მხარს საყოველთაო არჩევნების ჩატარებას უჭერს.

რაც შეეხება საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და პრეზიდენტის ინაუგურაციას, ვიქტორ იუშჩენკოს მოსაზრებით, ქართველმა ხალხმა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევით მხარი დაუჭირა ცვლილებებს და ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს მოლოდინი ხალხს არ გაუცრუოს.



ᲘᲣᲠᲘ ᲚᲣᲢᲐᲠᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ვიქტორ იუშჩენკოს იმედი აქვს, რომ კრიზისი უკრაინაში პარლამენტის კედლებში გადაწყდება.

საარჩევნო განაცხადები

გუშინ ცესკო-მ დაასრულა იმ პარტიათა განაცხადების მიღება, რომლებიც 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავენ და რომელთაც პარლამენტში საკუთარი წარმომადგენელი არ ჰყავთ.

მათ შორის არიან:

"ქრისტიან-კონსერვატორები" (შოთა მალაშხია), "საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი" (ზაზა სიხარულიძე), "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "მერაბ კოსტავას გზა – ერთობა" (გია სუბელიანი), "საქართველოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება – კონსერვატორები" (ზვიად ძიძიგური), "საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია" (პანტელეიმონ გიორგაძე), "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი" (გურამ აბსანძე), "ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება "მძლეველი" (ლაშა ლომიძე), "კონსერვატიული პარტია" (გიორგი კარტოზია), "ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია" (ნოდარ გურგენიძე), "პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" (მიხეილ სვიმონიშვილი), "სამართლიანი განვითარების პარტია – "მომავალი" (ბადრი ცერცვაძე), "საქართველოს ჰელსინკის კავშირი" – "ეროვნული აღორძინება" (თორნიკე ამაშუკელი), "კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია" (თეიმურაზ ჟორჟოლიანი), "პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული ღირსების პარტია" (ნანა ჭიჭინაძე), "სამართლიანობა" (იგორ გიორგაძე, მაია თოფურია), "სახალხო პარტია" (მამუკა გიორგაძე), "პარტია - ნოდარ ნათაძე – "სახალხო ფრონტი", "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი" (აკაკი ასათიანი) "საქართველოს ადვოკატები" (ქართლოს ღარიბაშვილი), "დემოკრატიული სამართლიანობის პარტია" (ლევან ქიძინიძე).

24 საათი

"მადნეულის" დირექტორის ბედი დღეს გადაწყდება

დღეს, 12 საათზე, ს.ს. "მადნეულის" აქციონერთა კრებაა დანიშნული. სავარაუდოდ, დღევანდელ კრებაზე საწარმოს აქციონერები "მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოს ცხრაკაციან შემადგენლობას უფლებამოსილებას შეუწყვეტენ. დღესვე აქციონერთა კრება ახალ სამეთვალყურეო საბჭოს აირჩევს, რომელიც უახლოეს მომავალში "მადნეულის" გენერალურ დირექტორს ზურაბ ლობჟანიძეს თანამდებობიდან გაათავისუფლებს. მოვლენების ამ სცენარის განვითარებაზე დღეს უკვე ღიად საუბრობენ თავად სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოში, რომელიც "მადნეულის" აქციათა 98 პროცენტის სამართალმემკვიდრეა.

მარიამ ჯაჭვაძე

წინასწარ ისიც არის ცნობილი, რომ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო დღევანდელ შეკრებას (მით უმეტეს – გადაწყვეტილებას) რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრებს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აქციონერთა კრების დანიშვნა კანონდარღვევით მოხდა.

შეგახსენებთ, რომ დღევანდელი აქციონერთა კრება მოწვეულია საწარმოთა მართვის სააგენტოს დაჟინებული მოთხოვნითა და ბოლნისის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სააგენტომ აქციონერთა შეკრება მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა "მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოსგან საწარმოს დირექტორის ზურაბ ლობჟანიძის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე ორჯერ მიიღო უარი. თავად "მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭომ აქციონერთა კრების მოწვევაზე სააგენტოს უარი განუცხადა. ამ უკანასკნელმა მოქმედი კანონმდებლობის

ქოროღლიშვილი აქციონერთა შეკრებას უკანონოს უწოდებს.

ფარგლებში კრების დანიშვნა სასამართლოს ძალით მოახერხა.

საწარმოს ჯერ კიდევ მოქმედი სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა კრების დანიშვნის შესახებ მოსამართლე ლუიზა ხუციშვილის მიერ 23 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებს. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გოგი ქოროღლიშვილი ირწმუნება, რომ მოსამართლემ "უკანონო" გადაწყვეტილება საწარმოთა მართვის სააგენტოს ზეწოლისა და მასთან გარიგების შემდეგ მიიღო. **"მოსამართლე ლუიზა ხუციშვილს უფლებამოსილების ვადა ჰქონდა ამოწურული. მას შეჰპირდნენ, თუკი ის სააგენტოსთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებდა, უფლებამოსილების ვადას გაუხანგრძლივებდნენ. მთელი სასამართლო პროცესი უამრავი კანონდარღვევის ფონზე მიმდინარეობდა. არც ერთი ჩვენი შუამდგომლობა და შესაგებელი სარჩელი არ დააკმაყოფილა მოსამართლემ. მას საერთოდ არ ჰქონდა უფლება, განსახილველად მიეღო საწარმოთა მართვის სააგენტოს სარჩელი, რადგან "მადნეულის" აქციათა 98.2 პროცენტს ფლობს საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო; აქციონერთა რეესტრში კი დღემდე არ არის გატარებული ცვლილება, რომელშიც საწარმოთა მართვის სააგენტო დაფიქსირდებოდა ქონების მართვის სამინისტროს სამართალმემკვიდრის სახით და, შესაბამისად, ს.ს. "მადნეულის" აქციათა 98.2 პროცენტის მფლობელად. ამიტომაც მოსამართლის მიერ დანიშნული აქციონერთა კრება უკანონოა და ჩვენ ამას აუცილებლად გავასაჩივრებთ",** - განაცხადა გივი ქოროღლიშვილმა.

"მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვარაუდობენ, რომ საწარმოთა მართვის სააგენტოსა და მოსამართლის "უკანონო" ქმედებები მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, "მადნეულის" გენეარალური დირექტორის პოსტზე ჟვანიას ნათესავის დანიშვნას", - აცხადებენ ისინი.

იტალიელი ინვესტორი ასობით მეტალურგს უმუშევრად ტოვებს

"ნაციონალები" და უმუშევარი მეტალურგები ქარხნის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდნენ. მალე მეტალურგიული კომბინატიდან რეზერვში მყოფ 1300 მუშას დაითხოვენ. "რმკ"-ს ახლა "რამკ"-ი ჰქვია. აბრევიატურაში ასო "ა" კომბინატში იტალიელი ინვესტორის, "არესის" შესვლის შემდეგ გაჩნდა.

მაია მოსიაშვილი

"რამდენიმე დღის წინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ მეტალურგიულ კომბინატში მისი ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი ქმედებების მამხილებელი ფინანსური დოკუმენტაციის განადგურება დაიწყეს, რაც იმას მოწმობს, რომ დღემდე ქარხანას სერიოზული დამნაშავეები ხელმძღვანელობენ," - ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა გუშინ რუსთავის საკრებულოს მდივანმა, "ნაციონალმა" მამუკა ჩიქოვანმა.

ამ განცხადებიდან ერთი საათის შემდეგ მეტალურგიული კომბინატის წინ მისი მუშა-მოსამსახურეების, დაახლოებით, სამასკაციანი აქცია დაიწყო. თეთრ-წითელი ხუთჯვრიანი დროშებით შეიარაღებულმა აქციის მონაწილეებმა პრეზიდენტ სააკაშვილისათვის გასაგზავნი წერილი შეადგინეს. **"ჩვენ წინააღმდეგნი ვართ "რმკ"-ს ჯართად დაჭრა-გაყიდვის. მოვითხოვთ სახელფასო დავალიანებების დაფარვას და ქარხნის ყოფილი დირექტორის, გურამ ქაშაკაშვილის დაბრუნებას,"** - აცხადებდნენ ისინი.

სამწუხაროდ, "აჯანყებულმა" მეტალურგებმა და ზოგადად რუსთაველებმა არც იციან, რომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ანუ "რმკ", ფაქტობრივად, აღარ არსებობს. **შპს "რამკ"-ი, ანუ "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატი" ძველი "რმკ"-ს 70%-ს ფლობს და ის გარკვეული პირობით აქვს გადაცემული იტალიელ ინვესტორს, "არეს ინტერნეიშნლ"-ს.**

"24 საათი" პირველი იყო, ვინც იტალიელი ინვესტორისათვის ქარხნის ქონების ყველაზე აქტიური და დიდი ნაწილის გადაცემის სქემა გაშიფრა. კომბინატის ერთ-ერთმა კრედიტორმა, "კილიგარდმა" სასამართლოში იჩივლა და შპს "რუსთავის მილი"-სთვის რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა. სასამართლო განხილვა თითქმის ნახევარ წელს გაგრძელდა. **თბილისის საოლქო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება კომბინატის სასარგებლოდ 11 ნოემბერს გამოიტანა და სასწრაფოდ შეიქმნა ახალი შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატი", რომლის აქციათა 98% იტალიურ "არესს" ეკუთვნის, ხოლო 2% საქართველოს სახელმწიფოს.**

"რამკ"-ის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ჟორდანია აცხადებს, რომ იტალიელებს ამ დროისათვის უკვე 8 მილიონი დოლარი აქვთ ჩადებული ქარხანაში და დამზადებულია 8 ათასი ტონა მილი.

იანვარში ქარხნის რეორგანიზაცია დაიწყო, შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც იტალიელი ინვესტორების ხელმძღვანელობით იმუშავებს. უკვე შედგა იმ ობიექტების ნუსხა, რომლებიც დემონტაჟს და ჯართის დამზადების მიზნით გადამუშავებას საჭიროებენ.

ჟორდანიას თქმით, ქარხანაში სულ 70 ათასი ტონა ჯართი თუ იქნება, თუმცა მისი რეალიზაცია მხოლოდ მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით და მიზნობრივად მოხდება.

მალე დაიწყება ქარხნის რეორგანიზაციის ყველაზე მტკივნეული ნაწილი - დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეების გათავისუფლება. "24 საათის" ინფორმაციით, უკვე არსებობს ბრძანება, რომლის თანახმად 15 მარტიდან, შტატების შემცირების ეგიდით, კომბინატის მუშებთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდება. დღემდე სარეზერვო ფონდში ჩარიცხული 1300 მეტალურგი კი საბოლოოდ გათავისუფლდება და მათთვის 20-ლარიანი კომპენსაციის დარიცხვაც შეწერდება.

მეტალურგიულის ხელმძღვანელობა ასეთ მასშტაბურ შემცირებას კატასტროფად არ მიიჩნევს. ისინი აცხადებენ, რომ გათავისუფლებულ ახალგაზრდა ასაკის ადამიანებს რამდენიმე თვეში ისევ დაასაქმებენ. **"ფუნქციადაკარგული საამქროების ტერიტორიაზე ახლო მომავალში ინვესტორები არატრადიციული საწარმოების ამუშავებას გეგმავენ. არსებობს ევროგაერთიანების მიგრაციის შეწყვეტის ხელშემწყობი პროექტი, რომელში ჩართვასაც იტალიელები გეგმავენ და ქარხნის თავისუფალ ტერიტორიაზე 10-15 კაციანი პატარა საწარმოები გაიხსნება. ამ საწარმოებში, პირველ რიგში, ჩვენგან გათავისუფლებული კადრები დასაქმდებიან,"** - განუცხადა "24 საათს" ირაკლი ჟორდანიამ.

"ნაციონალების" სკანდალურ ბრალდებას მეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელობაში უარყოფენ. ისინი ასევე გამორიცხავენ ყოფილი დირექტორის გურამ ქაშაკაშვილის ქარხანაში დაბრუნების შესაძლებლობას. ჟორდანიას თქმით, "რამკ"-ში დირექტორი მართლაც შეიცვლება, მაგრამ ის, სავარაუდოდ, იტალიელი იქნება.

საზოგადოებრივი დამცველი სემეკ-ის რეორგანიზაციას ითხოვს

"საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (სემეკი) ექვსი წელია, რაც არსებობს და სულ ორიოდე ნორმატიული დოკუმენტი აქვს მიღებული (ისიც სერიოზულ გადახედვას საჭიროებს). არ არსებობს ელექტროენერგიისა თუ ბუნებრივი აირის მომხმარებელთან ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა. არსებულ ვაკუუმში პასუხისმგებლობა სემეკ-ს ეკისრება". ეს მხოლოდ მცირე ამონაწერია სემეკ-თან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის დავით ებრალიძის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშიდან, რომლის განხილვაც დღეს მოხდება სახალხო დამცველის აპარატში.

სახალხო დამცველის წინაშე ანგარიშით წარდგება კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის ანალოგიური სამსახურის ხელმძღვანელი ლია მუხაშავრიაც. თუმცა დავით ებრალიძის მოხსენებაში არსებული მონაცემები გაცილებით მძაფრ კრიტიკასა და ბრალდებებს შეიცავს. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ მეზობელი ქვეყნების დავალიანებების ტარიფის დადგენით, სემეკ-მა დაარღვია კანონმდებლობა და გადაამეტა თავის უფლებამოსილებებს, რითიც მომხმარებელს ზედმეტად ასანაზღაურებელი გაუხდა 19 088 186 ლარი. კომისიის ფინანსური ანგარიშები ფიქტიურია, ხოლო "თელასისათვის" განსაზღვრული ტარიფები - დანაშაულებრივი. აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობაზე კი სემეკ-თან ერთად პასუხისმგებლობა ენერგეტიკის სამინისტროსაც ეკისრება.

დავით ებრალიძე მიიჩნევს, რომ რიგი დარღვევები პროკურატურის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. მისი თქმით, აღნიშნული მოხსენება ერთი კვირის წინ გაეგზავნა სახელმწიფო მინისტრს, ანტიმონოპოლიურ სამსახურს, ენერგეტიკის სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებას, მაგრამ რეაგირება - დადებითი ან უარყოფითი შეფასება – ჯერჯერობით, არც ერთი სტრუქტურიდან არ ჩანს. დავით ებრალიძე მიიჩნევს, რომ უნდა განხორციელდეს სემეკ-ის სერიოზული რეორგანიზაცია, რათა კომისიამ თავისი მომავალი გადაწყვეტილებები მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს და შეწყდეს დანაშაულებრივი ქმედებები. მით უმეტეს - დაწესებული ვადების მიხედვით, აპრილის თვე ახალი სატარიფო განაცხადების წარმოდგენის ვადაა და მნიშვნელოვანია, მოსახლეობას ვინ, როგორ და რის მიხედვით დაუწესებს გადასახადს. ენერგეტიკაში საზოგადოებრივი დამცველის განცხადებით, რევოლუციური ცვლილებები ამ სფეროსათვის ისეთივე გადაუდებელი აუცილებლობაა, როგორიც ხელისუფლების ცვლილება იყო.

24 საათი

აქციზებით მოვაჭრე ფირმები აჭარაში „გადაბარგდნენ„

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა არსებობის თვენახევრის განმავლობაში სისხლის სამართლის 14 რეზონანსული საქმის აღძვრა მოახერხა. ამის შესახებ დეპარტამენტის პრესსამსახური იტყობინება. მისივე ცნობით, სამი საქმე უახლოეს დღეებში წარიმართება სასამართლოებში.

"სისხლის სამართლის აღძრულ საქმეებში ათეულობით სხვადასხვა ფირმის ხელმძღვანელი უკანონო საქმიანობაში იმხილება. კერძოდ, საქმე ეხება ყალბი აქტივებით ვაჭრობას, რა დროსაც მილიონობით ლარი მხოლოდ ქაღალდზე ფიქსირდებოდა, ბიუჯეტში კი ერთი თეთრიც არ შედიოდა. საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით მათ ამ საქმიანობაში, ფაქტობრივად, ხელს უწყობდნენ საგადასახადო დეპარტამენტის სხვადასხვა რანგის თანამშრომლები, რომლებიც ფინანსთა მინისტრის ბრძანებით უკვე გათავისუფლებულნი არიან დაკავებული თანამდებობებიდან. დანაშაულებრივი გზით მითვისებული თანხების ამოღება უახლოეს დღეებში დაიწყება. იმ პირებზე, რომლებიც უკანონოდ მიღებულ შემოსავლებს ნებაყოფლობით დააბრუნებენ, ყველა შესაძლო შეღავათი გავრცელდება", - ნათქვამია პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საგამოძიებო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ მათ მიერ გატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ქვეყანაში საეჭვო აქტივებით მანიპულირების შემთხვევები, პრაქტიკულად, აღიკვეთა.

საგამოძიებო დეპარტამენტის ცნობით, გადადგმულია პირველი ნაბიჯები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის მხრივაც. "მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აქტივების წარმოშობის საკითხის შესწავლას სერიოზულად შეუდგა, ათეულობით ფირმამ, რომლებიც აქციზურ საქონელთან მიმართებაში (საწვავი, სპირტი, სიგარეტი) საეჭვო აქტივებით მანიპულირებდნენ, იურიდიული მისამართი შეიცვალა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაბარგდა. ფინანსთა მინისტრის დავალებით, ა/წ 20-22 იანვარს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მივლინებულ გამოძიებო დეპარტამენტი აქტივების წარმოშობის საკითხის შესწავლას სერიოზულად შეუდგა, ათეულობით ფირმამ, რომლებიც აქციზურ საქონელთან მიმართებაში (საწვავი, სპირტი, სიგარეტი) საეჭვო აქტივებით მანიპულირებდნენ, იურიდიული მისამართი შეიცვალა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაბარგდა. ფინანსთა მინისტრის დავალებით, ა/წ 20-22 იანვარს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მივლინებულ საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენლები. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ უახლოეს მომავალში, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს კონკრეტული ფირმების საბუღალტრო დოკუმენტაცია გადმოეცემა, რის შედეგადაც გამოძიება უფრო ინტენსიურად და მიზანმიმართულად წარიმართება", - აცხადებენ დეპარტამენტში.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ ფოთის საზღვაო ნავსადგურში ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობისთვის განკუთვნილი მილების პირველი პარტია შემოვიდა. მილების ეს პარტია საქართველოს მონაკვეთის მშენებლობას მოხმარდება. ჩამოტანილია 3544 ერთეული მილი, რომლითაც მილსადენის 41 კილომეტრი იქნება აგებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, რეგიონების ელექტრომომარაგების მიზნით, რუსეთიდან 200 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტს განაგრძობს. იმპორტის ანაზღაურება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ კომპანიისათვის ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 2 მილიონი აშშ დოლარით ხდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. წლეულს რამდენიმე რეგიონში საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაზიდვებზე ახალი ტენდერები ჩატარდება. როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს“ სახმელეთო ტრანსპორტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ხელახალი ტენდერები ქუთაისში, მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში ჩატარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს ლონდონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის აქციონერებსა და კრედიტორებს შორის ფინანსური დოკუმენტაცია დამტკიცდება. როგორც კომპანია "British Petroleum"-ის აზერბაიჯანის ოფისში განაცხადეს, 27 იანვარს, ნავთობსადენის პროექტის აქციონერებსა და კრედიტორებს შორის საბოლოო შეხვედრა გაიმართება, რომელზეც კრედიტის გამოყოფის შესახებ დოკუმენტი დამტკიცდება, შესაბამის ხელშეკრულებას კი 3 თებერვალს, ბაქოში საზეიმო ვითარებაში მოეწერება ხელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ხადორჰესი" 7 თებერვალს ჩაირთვება. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" ჰესის მშენებლობის მენეჯერმა დავით შავშიშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ამჟამად, ჰესში სამონტაჟო და გაზომვითი სამუშაოები მიმდინარეობს და, მაქსიმუმ, 7 თებერვალს ჰესი მუშაობას დაიწყებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თელავის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" შემოწმება დაიწყო. შემოწმების წინასწარი შედეგები, სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. **ინტერ-პრესი**

ამერიკამ რუსეთის მიმართ ტონი გაამკაცრა

პირველი გვერდიდან

26 იანვარს, საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვთან და პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის დაწყებამდე, რუსულ ყოველდღიურ გაზეთ "იზვესტიაში" გამოქვეყნდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის სტატია, სადაც სახელმწიფო მდივანმა რუსეთში მიმდინარე პროცესების გამო ამერიკის შეშფოთება გამოთქვა.

"დემოკრატიულმა სისტემამ რუსეთში... აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის ჯერ კიდევ ვერ შექმნა აუცილებელი ბალანსი. პოლიტიკური ხელისუფლება საკანონმდებლო ნორმებს, ჯერჯერობით, სრულად არ იცავს," - აღნიშნულია სტატიაში.

პაუელის კომენტარები ერთმნიშვნელოვანია. მიმომხილველები გაკვირვებას ვერ მალავდნენ მაღალი დონის დიპლომატიური შეხვედრის წინ პაუელის ასეთი მკაცრი ტონის გამო.

"ჩვენს შეშფოთებას იწვევს ჩეჩნეთში რუსეთის შიდა პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი," - აღნიშნავს კოლინ პაუელი.

პაუელს მედიისა და პოლიტიკური პარტიების შეზღუდვაც არ დავიწყებია. "სამოქალაქო საზოგადოების საკვანძო ასპექტებს, როგორიცაა, მაგალითად, მასმედიის თავისუფლება და პოლიტიკური პარტიების განვითარება, მდგრადი და დამოუკიდებელი ხასიათი ჯერ კიდევ არ შეუძენია," - წერს სახელმწიფო მდივანი.

პაუელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეერთებულ შტატებსა და რუსეთს მრავალი საერთო ინტერესი აქვთ და მრავალ საკითხში თანამშრომლობენ, მაგრამ "ძირითადი პრინციპების გაზიარების გარეშე, ჩვენი თანამშრომლობა სრულ მასშტაბებს ვერ შეიძენს."

პაუელი ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს მოსკოვს, რომ ვაშინგტონი რუსეთის მეზობლების მიმართ კრემლის პოლიტიკით შეშფოთებულია. "ჩვენ ვაღიარებთ რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას... თუმცა, ჩვენ არანაკლები დოზით ვაღიარებთ რუსეთის მეზობლების სუვერენიტეტსა და მთლიანობას და მათ უფლებას მშვიდობიანად... იცხოვრონ იმათთან ერთად, ვისაც ისინი ესაზღვრებიან".

რუსი მიმომხილველების აზრით, ორ ქვეყანას შორის განხეთქილების ვაშლი საქართველო იქნება. საქართველოს შესახებ დასმულ შეკითხვაზე პასუხისას, პაუელმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და განაცხადა, რომ იგი პუტინსა და ივანოვს მოეთათბირება, "როგორ იმუშაონ ერთად, რათა ქართველებს სტაბილური დემოკრატიის აშენებაში დაეხმარონ."

რუსეთში გამგზავრებამდე, თბილისში მყოფმა პაუელმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ მოსკოვში საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხს დააყენებდა. "მე კიდევ ერთხელ შევახსენებ რუს კოლეგებს, რომ ჩვენ მოსკოვისგან 1999 წელს სტამბულის სამიტზე აღებული ვალდებულებების შესრულებას მოველით," - აღნიშნა კოლინ პაუელმა.

კოლინ პაუელი და იგორ ივანოვი. REUTERS

სახელმწიფო მდივანი რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა, რომ რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანას 500 მილიონი ამერიკული დოლარი დასჭირდება. ამ ვალდებულების შესასრულებლად "დასახელებული რამდენიმე მილიონი ...ჩვენ არაგონივრულად მიგვაჩნია," - თქვა მან. თუმცა, გარკვეული რაოდენობის თანხის გამოყოფა არ გამორიცხა.

მიმომხილველების აზრით, საქართველოდან ბაზების გაყვანა დიდწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა პაუელი რუსების დარწმუნებას, რომ ვაშინგტონი ბაზების გახსნას არ აპირებს საქართველოში. "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ფარგლებში რამდენიმე ათეული ამერიკელი ინსტრუქტორის ყოფნა საქართველოში რუსეთის დიდ გაღიზიანებას და შეშფოთებას იწვევს.

თბილისში მყოფმა პაუელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ "მოსაზრება, თითქოს, შეერთებული შტატები საქართველოში სამხედრო ბაზების გახსნას აპირებს, არასწორია."

თუმცა, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასწრებამ და სააკაშვილისა და პაუელის ერთობლივმა პრესკონფერენციებმა რუსები, ცხადია, გააღიზიანა.

საქართველოს საკითხის გარდა, კოლინ პაუელმა ომამდე ერაყელებისათვის რუსული იარაღის მიყიდვის საკითხიც განიხილა. ამერიკელების ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთის ერთ-ერთმა კერძო ფირმამ ერაყში ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება ჩაიტანა.

ჟურნალისტებთან საუბრისას, სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ იგორ ივანოვმა მის შეკითხვებს პასუხები გასცა, მაგრამ - არა ყველას.

ირანელმა კონსერვატორებმა ახალი კანონი დაბლოკეს

ირანელმა კონსერვატორებმა პარლამენტის მიერ ორი დღის წინ მიღებული კანონი დაბლოკეს, რომელიც საარჩევნო კოდექსის შეცვლას ითვალისწინებდა. ამას გარდა, აღნიშნული კანონი გუშაგთა საბჭოს მიერ დისკვალიფიცირებულ კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას აძლევდა.

"ეს ნათლად მიანიშნებს, რომ დეპუტატებსა და გუშაგთა საბჭოს შორის დაპირისპირება გრძელდება და საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლა არ სურს," - განაცხადა რეფორმატორმა რეზა იუსეფიანმა "რეიტერის" კორესპონდენტთან საუბრისას. "მეორე მხრივ, თავიანთ მოთხოვნებზე უარის თქმა არც დეპუტატებს სურთ", - დასძინა მან.

დეპუტატების აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა პრეზიდენტ მოჰამად ხათამის განცხადება, რომელმაც გუშაგთა საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლა მოსთხოვა.

ირანის უმაღლეს მმართველ ორგანოს - რევოლუციის გუშაგთა საბჭოს - არჩევნების წინ დეპუტატობის ნებისმიერ კანდიდატს დისკვალიფიკაციის უფლება აქვს. დღემდე გუშაგთა საბჭომ 2000-ზე მეტი დისკვალიფიცირებულიდან მხოლოდ 350-ს დართო ნება, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

კვირას გამართულ საპარლამენტო სესიაზე, რომელიც რადიოთი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, არჩევნების შესახებ ახალ კანონს "სამაგად მნიშვნელოვანი" უწოდეს.

ამ კატეგორიაში ესა თუ ის საკითხი მხოლოდ მაშინ ხვდება, როდესაც პარლამენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანას პოლიტიკური ან სამხედრო საფრთხე ემუქრება, - იუწყება "ბი-ბი-სის" კორესპონდენტი. პარლამენტს მსგავსი ფორმულირება 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ აღარ გამოუყენებია.

კონსერვატორების წინააღმდეგ გამოსვლას უკვე სტუდენტებიც გეგმავენ. "სტუდენტები თეირანში არსებული უნივერსიტეტების პროფესორებს შეუერთდებიან და დისკვალიფიცირებულ დეპუტატებს მხარს დაუჭერენ," - განაცხადა სტუდენტთა ლიდერმა ჰოსეინ ბაქერიმ.

კონსერვატორების მიერ კანონის დაბლოკვის საპასუხოდ, რეფორმატორმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ 20 თებერვალს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტირების შანსი ძალზე მაღალია. მათი თქმით, ამ შემთხვევაში ქვეყანაში, შესაძლოა, ქაოსი დაიწყოს.

აშშ დღეს ექსტრემისტთა ჯგუფის ხელშია

გუშინ ბრიტანულმა გავლენიანმა გაზეთმა "გარდიანმა" გამოაქვეყნა ნაწყვეტი ჯორჯ სოროსის წიგნიდან "ამერიკული უპირატესობის საპნის ბუშტი." წიგნი ხუთშაბათს გამომცემლობამ "Weidefeld & Nicolson" გამოსცა. გთავაზობთ "გარდიანში" გამოქვეყნებულ ნაწყვეტს.

ჯორჯ სოროსი

ფუნდამენტალიზმმა ამერიკული უპირატესობის იდეოლოგია შვა

ერაყში შეჭრა ბუშის პრევენტული სამხედრო მოქმედების დოქტრინის პირველი დამღუპველი პრაქტიკული ნაბიჯი იყო და მან მსოფლიოში ალერგიული რეაქცია გამოიწვია. არა იმიტომ, რომ ვინმე დადებითად იყო სადამ ჰუსეინის მიმართ განწყობილი, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ დაჟინებით მოვითხოვდით ერაყში ცალმხრივად შეჭრას, ყოველგვარი სამხილის გარეშე, თითქოს მას რაღაც კავშირი ჰქონდა 11 სექტემბრის ტრაგედიასთან და მასობრივი განადგურების იარაღს ფლობდა.

ამერიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ასეთი ღრმა უფსკრული ადრე არასდროს ყოფილა. საზღვარგარეთ დარწმუნებულნი არიან, რომ ამერიკა თავის დომინანტურ მდგომარეობას ბოროტად იყენებს. თავად აშშ-ში საზოგადოებრივი აზრი ისე განაწყვეს, თითქოს სადამი ამერიკელების ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრებოდა. მხოლოდ ერაყში შეჭრის შემდეგ გააცნობიერა ხალხმა, რომ ისინი არასწორად ფიქრობდნენ.

დღესაც კი ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ 11 სექტემბერი ამართლებს იმ ქცევას, რაც ნორმალურ დროში მიუღებელია. ამერიკული მბრძანებლობის იდეოლოგები და პირადად პრეზიდენტი ბუში მუდმივად გვახსენებენ, რომ 11-მა სექტემბერმა შეცვალა მსოფლიო. და დღეს, მხოლოდ ერაყში შეჭრის არასასურველი შედეგების მიღების შემდეგ, ხალხმა იმის გაცნობიერება დაიწყო, რომ ისინი არასწორად ფიქრობდნენ.

ჩვენ მახეში გავებით. თვითმკვლელი კამიკაძეების მოტივაცია იმ დროისათვის ჩვენთვის გაუგებარი იყო. ახლა კი ნათელი ხდება: მათ სურდათ, ჩვენ ამაზე ისეთი რეაქცია გვქონოდა, როგორიც გვქონდა. ალბათ, მათ უკეთესად გაგვიგეს, ვიდრე ჩვენ გავუგეთ საკუთარ თავს.

და ჩვენ მოტყუებულები აღმოვჩნდით. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტმა ბუშმა მოკრძალებული საგარეო პოლიტიკური კურსი აღგვითქვა. მე ვამტკიცებ, რომ ბუშის ადმინისტრაციამ შეგნებულად გამოიყენა 11 სექტემბერი, რათა ბიძგი მიეცა ისეთი პოლიტიკისათვის, რასაც ამერიკის საზოგადოება სხვა შემთხვევაში არ შეურიგდებოდა. აშშ-მ შეიძლება თავისი დომინანტობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეცდომების წყალობით დაკარგოს. ამჟამად ქვეყანა ასეთი შეცდომების დაშვების პროცესშია, რადგანაც ის იმ ექსტრემისტთა ჯგუფის ხელშია, ვისი მისიაც თვითდაჯერებულობის ყალბი გრძნობით არის ნაკარნახევი.

ამან კი დამახინჯებული პოსტულატი მოგვცა: რადგანაც ჩვენ სხვებზე ძლიერები ვართ, ჩვენ უკეთ ვიცით და სიმართლეც ჩვენს მხარესაა. ეს ის მომენტია, როდესაც რელიგიური ფუნდამენტალიზმი საბაზრო ფუნდამენტალიზმთან ერთად გამოდის და ქმნის ფორმას, რასაც ამერიკის მბრძანებლობის იდეოლოგია ჰქვია.

ჩვენ შესაძლოა, სირთულეები შეგვექმნას იმ აბსურდის გამო, რასაც მბრძანებლობის სამხედრო საშუალებით დამყარება წარმოადგენს. ჩვენ სამხედრო ძალაუფლებაზე დაყრდნობა გვეხერხება და ამის საჭიროებას განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობთ, როდესაც ჩვენს არსებობას საფრთხე ექმნება. მაგრამ დედამიწაზე ყველაზე ძლიერმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას, რომ ის შიშით იმართებოდეს. ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ჩვენი ეროვნული სტრატეგიის ცენტრალურ ნაწილად გახდომით, ჩვენ, როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა, აღებულ პასუხისმგებლობაზე უარს ვამბობთ. აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია, იტვირთოს წინამძღოლობა იმ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაც კოლექტიურ მოქმედებას მოითხოვს: მშვიდობის შენარჩუნება და ეკონომიკური პროგრესი, გარემოს დაცვა და ა.შ.

როგორც არ უნდა იყოს გამართლებული სადამის დამხობა, ყოველგვარი ეჭვის გარეშეა, რომ ჩვენ ერაყში ყალბი პრეტენზიებით შევიჭერით. ნებსით თუ უნებლიეთ, პრეზიდენტმა ბუშმა მოატყუა ამერიკის საზოგადოება და კონგრესი და თავის მოკავშირეთა აზრს უხეშად მოექცა.

უფსკრული ადმინისტრაციის მოლოდინსა და საქმის რეალურ არსს შორის არ შეიძლება, დიდხანს არსებობდეს. ჩვენ რისკის ქვეშ ვაყენებთ არა მხოლოდ ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლეს, არამედ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნას. ჩვენ გადავაჭარბეთ ჩვენს შესაძლებლობას და ჩვენი შესაძლებლობები საზღვარგარეთ მოქმედების საკითხში პრობლემების წინაშე დადგა. ამჟამად ძალიან ბევრი ადგილია, სადაც ჩვენ ისე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც არასდროს. ჩრდილოეთ კორეა ღიად ქმნის ბირთვულ იარაღს, ირანი ამ საკითხში საიდუმლოდ მოქმედებს, თალიბანი ავღანეთის პუშტუნურ რაიონებში გადაჯგუფებას ახორციელებს. ოკუპაციის ღირებულება და პერმანენტული ომის პერსპექტივა აღემატება ჩვენს ეკონომიკას და ჩვენ აღარ შეგვიძლია, ურთულეს პრობლემებს პასუხი გავცეთ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გლობალური მასშტაბით. თუკი ჩვენ როდესმე გვჭირდებოდა დაგვემტკიცებინა, რომ ნეო-კონსერვატორთა ოცნება ამერიკული მბრძანებლობის შესახებ არასწორია, ერაყმა ამის საშუალება მოგვცა.

ჯორჯ სოროსი. REUTERS

თავდაცვის სამინისტროს გეგმების ასეთი დამახინჯება ძალზე რთული წარმოსადგენია. ჩვენ აღმოვჩნდით ჭაობში, რომელიც რაღაცით ვიეტნამს ჰგავს. ერაყში შევიჭერით და იქიდან გამოსვლა აღარ შეგვიძლია. მოთხოვნები ჯარების გაყვანის შესახებ კიდევ უფრო გაძლიერდება, როგორც ეს ვიეტნამის დროს იყო, მაგრამ ჯარების გაყვანა ჩვენს მდგომარეობას მსოფლიოში გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებს. ამ თვალსაზრისით, ერაყი ვიეტნამზე უარესია, რამდენადაც ჩვენ ახლო-აღმოსავლურ ნავთობზე ვართ დამოკიდებული.

იქ ძალით არავის შევუყვანივართ, პირიქით, ყველა გვირჩევდა, რომ ეს არ გაგვეკეთებინა. დავუშვათ, სადამ ჰუსეინი საზიზღარი ტირანი იყო და მისი მოშორება –სასურველი, მაგრამ, რა ფასად? საოკუპაციო ჯარები, როგორც მაგნიტი, ისე იზიდავენ ტერორისტებს და ისლამის რადიკალიზებას ახდენენ. ჩვენმა ჯარისკაცებმა კი პოლიციელთა სამუშაო უნდა შეასრულონ, ამ სიტყვის სრული გაგებით.

ხოლო ოკუპაციის ღირებულება, არსებული შეფასებებით, 2003-2004 ფინანსურ წლებში 160 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს: 73 მილიარდი 2003 წელს და დამატებით 87 მილიარდი - 2003 წლის სექტემბერში. 87 მილიარდიდან ქვეყნის აღდგენაზე მხოლოდ 20 მილიარდი დაიხარჯება, ხოლო აღდგენითი სამუშაოების საერთო ღირებულება კი, არსებული შეფასებებით, 60 მილიარდ დოლარს შეადგენს. შედარებისათვის: 2002 წელს საზღვარგარეთის ქვეყნების დასახმარებლად 10 მილიარდი დოლარი იყო გამოყოფილი.

უბრალო გამოსავალი არ არსებობს. ბუშის ადმინისტრაციას გაერო-ს უფრო მეტი ჩარევა სურს, მაგრამ არ სურს აუცილებელ დათმობებზე წასვლა. ჩვენ უნდა შევეგუოთ და ჩვენი შეცდომებისათვის პასუხი ვაგოთ, ალტერნატივა არ არსებობს. ბოლოს და ბოლოს, ახალმა პრეზიდენტმა, საერთაშორისო თანამეგობრობასთან სხვა ურთიერთობებით, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა, შესაძლოა, მოახერხოს.

აშშ არა მხოლოდ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ცენტრია, არამედ გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალაც. ევროკავშირი შესაძლოა, აშშ-ს თანაბარია პოპულაროობითა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, მაგრამ ის არ არის ისეთი მონოლითური და გლობალიზაციისათვის ნაკლებად მოსახერხებელია. სამხედრო თვალსაზრისით კი, ევროკავშირს არც კი შეიძლება სახელმწიფო ეწოდოს, რადგანაც მისი წევრი ქვეყნები საკუთარი გადაწყვეტილებებით მოქმედებენ.

თუკი რომელიმე ქვეყანაა მსოფლიო წესრიგზე პასუხისმგებელი, ეს არის აშშ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნები სამყაროს კეთილდღეობაზე არ უნდა წუხდნენ. მათი მოქმედება უშედეგოდ არ რჩება, მაგრამ აშშ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

თუ 2004 წელს ბუშს უარს ეტყვიან, მისი პოლიტიკა ჩამოსაწერი გახდება, ხოლო ამერიკა მსოფლიოში მისთვის განკუთვნილ ადგილს დაიკავებს. ხოლო, თუ მას ხელახლა აირჩევენ, მისი პოლიტიკა ელექტორატის მონობას დაიმსახურებს და ჩვენ ამ პოლიტიკის შედეგებით მოგვიწევს ცხოვრება. მაგრამ ეს ცოტაა იმისათვის, რომ ბუში არჩევნებზე დამარცხდეს. აშშ-მ თავისი გლობალური როლი უნდა გაიგოს და უფრო კონსტრუქციული შეხედულებებით იმოქმედოს. ჩვენ არ შეგვიძლია ვიწრო, ნაციონალური ინტერესებით მოქმედება. ჩვენი მდგომარეობა უდავო პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

ახალგაზრდობა versus კორუფცია

არასამთავრობო ორგანიზაციამ "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" პროექტის "ახალგაზრდობა versus კორუფცია" ფარგლებში, ახალგაზრდობის კანონიერებისა და კორუფციის მიმართ ინტერესის გაღვივების მიზნით, ჩაატარა კონკურსი იმ სკოლის მოსწავლეებს შორის, სადაც მე-8 კლასში გაიარეს საგანი "კანონიერების კულტურა". წარმოდგენილი წერილები კონკურსზე შეირჩა.

მაკა მიქავა
მე-60 სკოლა

მაგარი მანქანები, სახლები, ვილები. აუ რა ინტერიერით, რა აუზი, ნახე მოსამსახურეებიც ყოფილან, ვაა დაცვაც?

ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

"კეთილი ბიძა", ვინც ძალიან ბევრს შრომობს, საცოდავი რამდენს წვალობს, რომ ოჯახი არჩინოს. დღეები ისე გადის, რომ სახლში მოსვლასაც ვერ ახერხებს.

კი, მაგრამ არც გადაღლილი სახე, თანაც ნახე რა მსუქანია. პურის ფული თუკი არ აქვს, როგორ?

. . . მსუქანი, დაახლოებით 200 კგ-მდე. უზარმაზარი ღიპით. წითელი აღაჟღაჟებული ლოყებით. ქონიანი, დიდი თითებით. ("ნეტავი ტელეფონზე როგორ რეკავს?" ალბათ კარგი მობილურიც აქვს.) როგორი მოკლე და მსხვილი ფეხები აქვს. კისერი არც კი უჩანს. (აუ, რა ცოდოა. როცა დაბერდება მერე როგორღა ივლის?) სიგარეტს არ ეწევა, ეშინია-ნაადრევ სიკვდილს იწვევსო.

ეგაა საცოდავი? ფეხით მაგი არ დადის! რამდენი მანქანა ემსახურება?! სახლში ლიფტი აქვს, კიბეებზე სიარულიც არ უწევს. ეხ, ნეტავი მასეთი "საცოდავი" მეც ვიყო! . .

კი, მაგრამ ამდენი ფული საიდან აქვს?!

საიდან?! კორუფცია, ჩემო კარგო კო-რუფ-ცია.

ეგ რაღაა???

უკანონო გზით შემოსული შემოსავალი. ანუ მაგ კაცს იმ ხალხის ხარჯზე აქვს აწყობილი ცხოვრება, ვინც ერთოთახიან სახლში ზის ამ ზამთარში და სიცივისაგან და შიმშილისაგან გული მისდის.

არ არსებობს! მას ხომ ასეთი სათნო და კეთილი სახე აქვს!

მერე და მაგ კეთილ და სათნო სახის უკან, ნეტავ იცოდე, რა ეშმაკი ადამიანის სახე იმალება?! ადამიანის, რომელსაც, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია იმ ხალხის ბედი, რომლებიც შრომობენ, მაგრამ პურის ფული არ აქვთ. ხოლო, გუშინ მაგ ვაჟბატონის ცოლი მანიკურ-პედიკურის გასაკეთებლად რიოში გადაფრინდა. მაგის შვილი ოქსფორდში სწავლობს.

მეორე შვილი?

რა მეორე, ერთი შვილი ჰყავთ. ეშინიათ, ქონებას ვერ გაიყოფენ, ჩხუბი მოუვათ და კარგი დედმამიშვილობა არ ექნებათ . . .

ისე მართლა, შენ ვინ ხარ?!

მე?! მე ერთი ადამიანი ვარ, ვინც ყოველ დილით ამ სახლის უკანა კარებთან მივდივარ სამათხოვროდ და თუ ბედმა გამიღიმა, სამზარეულოშიც მოვხვდები, ნარჩენებსაც მივიღებ საუზმედ, სადილად და სავახშმოდ . . .

თამუნა პაპავაძე
ბათუმის მე-3 გიმნაზია

რა არის სამართლიანობა და რა არის უსამართლობა? ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ნაწილისათვის, ჯერჯერობით, გაუგებარია.

რა არის კორუფცია და მისი ლაიტ-მოტივი?

კორუფცია და უსამართლობა, როგორც ორი ერთმანეთისაგან განუყოფელი რამ, ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ განსხვავდება დოზით. ქვეყანაში სადაც კანონი უზენაესია, საზოგადოება კანონიერების კულტურის მატარებელია, სავსებით ლოგიკურია ის, რომ უსამართლობა ნაკლებ მასშტაბებში შეიმჩნევა, რადგან ასეთ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც იცის თავისი უფლებები და თავისუფლებები.

განვითარებულ სახელმწიფოში, და მე მას სამართლიან სახელმწიფოსთან ვაიგივებ, კორუფციის წყაროები ნაკლებია, რადგან სწორედ იქ, სადაც უსამართლობაა კორუფციაც ახლო-მახლოა.

უპრიანი იქნება თუ უსამართლობისა და, აქედან გამომდინარე, კორუფციის შესახებ დავკონკრეტდები და განათლების სისტემის მაგალითზე წარმოვაჩენ მას.

საქართველოში განათლების სისტემა, ისევე როგორც სხვა ბევრი სისტემა კრიზისს განიცდის და აუცილებელია მათი რეფორმირება. ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია კომუნისტური იდეოლოგიის გადმონაშთები, საკმაოდ რთულია და ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, შეუძლებელია ჩვენი ჩამოყალიბება დემოკრატიულ საზოგადოებად, XXI-ე საუკუნის სახელმწიფოდ.

უსამართლობა და დაუსჯელობის სინდრომი მთელს ქვეყანაში და კონკრეტულად განათლების სისტემაში, ბადებს კორუფციას სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩემი აზრი რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, ამ კოლოსალურად დიდ საკითხს დავავიწროვებ და დავიყვან შემდეგ პრობლემამდე: ნიშანი – კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წყარო ქართულ სკოლებში.

Status Quo-ს რაც შეეხება, პრობლემა საკმაოდ აქტიური და აქტუალურია. სიტუაცია კრიტიკულია, როგორც რუსები იტყვიან "хуже некуда" და ვინ არის დამნაშავე ამ პრობლემის აქტუალურობაში?

ჩვენი ქვეყანა? - რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს დემოკრატიისკენ, თუ საზოგადოება, რომელიც გაუთვითცნობიერებელია?

მე მახსენდება ფილმი "სათამაშო", პიერ რიშარის მონაწილეობით, სადაც ყველასათვის ცნობილ ეპიზოდში რედაქციის დიქტატორი პრეზიდენტი ეუბნება თავის ქვეშევრდომს, რომ შარვალი გაიხადოს. ის კი მზადაა საკუთარი ღირსება დაკარგოს, ყველაზე წმინდა, რაც ადამიანს გააჩნია. და შეასრულოს მისი ბრძანება . პრეზიდენტი კი ეუბნება მას: ვინ არის ჩვენს შორის ცუდი? მე, რომელიც გიბრძანებ? თუ შენ, რომელმაც ღირსება დაკარგე და მზად ხარ ყველაფერი გააკეთო?

პარალელი შეიძლება გაივლოს განათლებს სისტემასთან. ვინ არის დამნაშავე: მასწავლებელი, რომელიც ფულს იღებს ნიშანში, თუ მოსწავლე, რომელიც ნიშნის "ჩარჩოშია" ჩასმული და ფულს აძლევს მას?

ნიშანი რომ კორუფციის წყაროა ამას განაპირობებენ მშობლები. ჩემდა სამწუხაროდ, ისინი სვამენ თავიანთ შვილებს ნიშნის "ჩარჩოში".

რაღაც გამოსავალი ხომ უნდა არსებობდეს? ამ პრობლემის გადასაჭრელად რაღაც პროექტი ან გეგმა ხომ უნდა არსებობდეს.

პირველ რიგში სკოლებში საგნად უნდა დამკვიდრდეს სამოქალაქო განათლება, რათა მომავალი თაობა უსამართლობას განყენებულად არ უყურებდეს და უშუალო ნაბიჯები გადადგას მის წინააღმდეგ საბრძოლველად. და ამას იგი გააკეთებს იმით, რომ აღარ შესთავაზებს ფულს მასწავლებელს, ამით აღმოფხვრის უსამართლობასა და კორუფციას.

გარდა ამისა, უნდა შეიცვალოს ნიშნით შეფასება, ან საერთოდ უნდა გაუქმდეს, რომ კორუფციის და უსამართლობის მთავარი კერა სკოლებში აღმოიფხვრას შემოღებულ იქნას ძ+" და ძ-" სისტემები.

მოსწავლე შეიგნებს, რომ მთავარი ცოდნაა და არა ნიშანი, მივაღწევთ სამართლიან და არაკორუმპირებულ სკოლას, რაც მთლიანად განათლების სისტემაში კორუფციის ხარისხს საგრძნობლად შეამცირებს.

და ეს ყველაფერი სახელმწიფოს მასშტაბებში რომ გადავიტანოთ, შემცირდება კორუფციის ხარისხი სახელმწიფოში. არაკორუმპირებული სახელმწიფო ეს იგივეა, რაც სამართლიანი სახელმწიფო.

ჩემი სუბიექტური აზრი კი ისაა, რომ სადაც უსამართლობაა, იქ კორუფციაა, ანუ, ეს ორი რამ ერთმანეთისაგან განუყოფელია როგორც სიამის ტყუპები.

ნინო გეწაძე
123-ე სკოლა

ორივე ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. თუ არ იქნებიან მშობლები, "შვილი" არ დაიბადება.

როგორც რვაფეხას აჭრიან საცეცებს, ანუ ამ საცეცების მოჭრის მერე, იგი კარგავს სიცოცხლისუნარიანობას, ასევე უნდა მოიკვეთოს ყველა კორუმპირებული პირი საქართველოში და დღეს-დღეობით საქართველოში ის ადამიანებიც კორუმპირებულები არიან, ვინც ზუსტად ამ კორუფციას ებრძვიან.

რაც ყველაზე მთავარია, უნდა მოიშალოს დაუსჯელობის სინდრომი. წერტილი უნდა დაესვას, რომ დაიწყოს ახალი წინადადება. მაგრამ . . . წერტილი საქართველოში არ ისმება და წინადადება გრძელდება.

უნდა იყოს საჯარო სახელმწიფო. აზრი უნდა იყოს თავისუფალი, ყოველგვარი დაფარვის გარეშე გამოთქმული, ანუ უნდა იყოს სიტყვის თავისუფლება.

მაგრამ, სახელმწიფოში, რომელსაც ერთი კლანი მართავდა, ძნელია, სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკი.

ყველა პარავს სახელმწიფოს, სახელმწიფო ჩვენ ვართ და ჩვენვე ვრჩებით დაზარალებული. ერთი იგავია, თუ მოთხრობა, რომ ერთ სოფელს ძალიან გაუჭირდა და გადაწყვიტეს, სოფლის შუაგულში დაედგათ კასრი და ყველას ამ კასრში ჩაესხა ერთი ლიტრი რძე, ხოლო შემდგომ ამ რძეს თანაბრად გაინაწილებდნენ. ერთმა იფიქრა მოდი მე ამ კასრში რძის ნაცვლად წყალს ჩავასხამ, მაინც არაფერი შეემჩნევაო. ჩაასხა და ბოლოს, როდესაც ჩაიხედეს კასრში, ნახეს, რომ იქ წყლის გარდა არაფერი იყო, საერთოდ არ იყო რძე გარეული. ვინ დაზარალდა? ყველამ ასე რომ იფიქროს, მე რას შევმატებ, ან რას დავკარგავ ჩემს სამშობლოსო, არაფერი გამოვა. შენ გადარჩი და შენს გარშემო ათასი გადარჩებაო. ამიტომაც მივდივართ დაბლა. იცვლება ადამიანების აზროვნება. იკარგება აზრი. ფიქრობს ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე, უკეთეს შემთხვევაში, ოჯახზე, ხოლო სახელმწიფოზე . . . "სახელმწიფო ვალები" უნდა იხადოს ჩვენმა თაობამ.

ვის აწყობს კორუფციის მოშლა საქართველოში? უმეტესად იმ ადამიანებს, ვისაც ხელი არ მიუწვდება კორუფციაში.

ვის აწყობს დაკავდეს კორუმპირებული პირი?

იგი გათქვამს თანამონაწილეებს, ხოლო თანამონაწილეა საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი.

ეს ყველაფერი უკანონობაა. უკანონობაა თუნდაც მოსყიდული ჟურნალისტები.

ჩემი აზრით:

უნდა გაიზარდოს ოჯახის ინსტიტუტის როლი;

დამკვიდრდეს დემოკრატიული პრინციპები;

მოიძებნოს ადამიანები, თუკი არსებობენ, და მე მჯერა, რომ ჯერ კიდევ არიან პროფესიონალი ადამიანები ამ საქმეში, რომლებიც კორუფციასთან ბრძოლაში მარტო ფურცლებს არ იყენებენ. და ამის შემდეგ დაიწყოს საქმე;

გაძლიერდეს არასამთავრობო სექტორის როლი კორუფციასთან ბრძოლის საქმეში;

მე მომწონს მაგალითად "ცხელი ხაზი" სადაც შეიძლება ფაქტების დაფიქსირება;

კანონის წინაშე ყველა თანაბარუფლებიანი იყოს;

იყოს ასევე სამართლიანობა, რომ ადამიანს არ გაუჩნდეს მოპარვის სურვილი. შენს გარშემო, რომ ყველა იპარავს შენც . . . კი მართალია "შენ გადარჩი და შენს გარშემო ათასი გადარჩებაო", მაგრამ ცოტა ძნელია საქართველოში ასეთი ქმედება, თუნდაც ამ იდეის გაჩენა გონებაში. ანუ საჭიროა პირობები, ხელშემწყობი პირობები სახელმწიფოში.

ეს უნდა უნდოდეს თითოეულ ჩვენგანს;

ძნელია საქართველოში დღეს-დღეობით კორუფციის აღკვეთა, მაგრამ შესაძლებელია - ეს უნდა უნდოდეს ყველა მოქალაქეს. ამისთვის კი ხელშემწყობი პირობებია საჭირო.

ნინო მაისურაძე
მე-60 სკოლა

თვალები ადამიანის სარკეა. გამჭოლი მზერა, უძირო, შავი, მბზინავი თვალები, წყნარი ნაკვთები, ამოგანგლული სახე და დაძონძილი ტანსაცმელი.

ის რუსთავის უპატრონო ბავშვთა სახლში ცხოვრობს. გამქრალი აქვს ცხოვრების და ბედნიერების სურვილი. ცოცხლობს მხოლოდ მოვალეობის გამო.

ყოველ დილით შედის შუშებჩამსხვრეულ, გაყინულ საკლასო ოთახში, რამდენიმე საათში კი, იმის მაგივრად, რომ ითამაშოს და შეიგრძნოს ბავშვობა, ძალით აგდებენ მშენებლობაზე სამუშაოდ. თუ გაუძალიანდება რეზინის მილით სცემენ, ალურჯებენ, ამცირებენ. გათოშილი ბრუნდება ბავშვთა სახლში. აჭმევენ ნახევრად გაყინულ სალაფავს და აგდებენ სკოლის ეზოში. შებინდებისას ყველას აძინებენ, მათ შორის მასაც, მაგრამ არ ეძინება. სიბნელიდან ლანდები გამოდიან და არ ასვენებენ. შფოთავს, ცქმუტავს, სცივა. . . გათენებისას ჩასთვლემს და აი, უკვე აღვიძებენ. ყოველდღიური კოშმარი თავიდან მეორდება. მისი ერთადერთი იმედი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან ჩამოსული სტუმრები არიან. მათი სტუმრობისას აცმევენ და ყოველდღიური ცხოველური რეჟიმი, ცოტა ხნით მაინც ემსგავსება ნორმალურს. ეს არ არის სამართალი! ეს არ არის ნორმალური ყოფა! ეს არის რეალური ცხოვრება და მისი კოშმარული ნაწილი!

სკოლას, რომ კეთილი დირექტორი ჰყოლოდა, ეგებ თავი ადამიანად ეგრძნო და ნორმალურად ეცხოვრა, მაგრამ... სასტიკმა ცხოვრებამ კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა: დირექტორის ქვის გულს ვერაფერი დაამსხვრევს. სკოლის წიმამძღოლი თავისი ხელით სცემს, დახმარებიდან მიღებულ ტანსაცმელს ხდის და ძონძებში გახვეულს გაყინულ სარდაფში ჰკეტავს. აღარ უნდა, აღარ შეუძლია ასე ცხოვრება. დედა ენატრება, მასზე ფიქრით ვეღარ ისვენებს. რა ქნას? როგორ მოიქცეს? რა წყალში გადავარდეს? თავი მოიკლას, თუ დასჯერდეს უსამართლობას? უსამართლობამ დაბადა კორუფცია, კორუფციამ - საშინელება, საშინელებამ - ქაოსი. უბედურებით გაჯერებულ გულში აღარ დარჩა იმედის ადგილი. ამ დროს მისი დირექტორი "წინამორბედი" ზის გაღუღუნებულ კაბინეტში, სვამს ცხელ ჩაის და ფიქრობს. . . უბრალოდ ფიქრობს. . . რამდენი ფული აქვს, რამდენი სჭირდება. . . ბავშვი კი დგას ფანჯარასთან. რამდენჯერმე გაიქცა სკოლიდან, მაგრამ დააბრუნეს. და აი ერთ დღეს წყვდიადში გამოჩნდა ნათელი. დაუკითხავად ჩამოვიდა სტუმარი და ნახა მისი ყოფა. ატყდა აჟიოტაჟი. მთელი მედია იქ არის. კეთდება რეპორტაჟები, იწერება სტატიები. კორუმპირებული თანამშრომლები ღელავენ, შფოთავენ, არ იციან სად შეძვრნენ. ეშინიათ, ვაი, თუ გახმაურდა მათი ცოდვები და თითოეული ქამრის დარტყმისთვის მიეზღოთ. დირექტორი ყველაზე ცუდ დღეშია. ცდილობს სტუმრებს თავგზა აუბნიოს, მაგრამ არა. . . დადგა განსჯის დღეც. . . ბოლოს კი მინდა ერთი ფრაზა მოვიპარო და ვთქვა: "მე არ ვწერ ერთ კონკრეტულ პირზე. მე ვწერ საზოგადოებრივ პირზე." და თუ ვინმე ამ თემაში თავის თავს შეიცნობს, ნუ დამზრახავს და ლაფის სროლას ნუ დამიწყებს, რადგან იტყვიან: " მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო."

წერილები მთავრობას

ალექსანდრე დულუზაური
თიანეთის სკოლა

თუ ქვეყანაში არ არსებობს სამართალი, იქ წარმოიშობა და იზრდება კორუფცია. მაგალითად: უხსოვარ დროში არსებობდა ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ტომი. მათ შორის მტრობა თანდათან ღვივდებოდა და ბოლოს ზენიტს მიაღწია. ერთმა ტომმა მეორე ტომი გაანადგურა, ხელში ჩაიგდო მრავალი ტყვე და აურაცხელი სიმდიდრე. დადგა ნადავლის გაყოფის დრო მეთაურმა ყველაფერი ტოლად გაყო. გარდა ერთი ულამაზესი თასისა, მან თასი თვითონ მიიკუთვნა, როგორც მეთაურმა. მის წინაშე მხოლოდ ერთმა მეომარმა აღიმაღლა ხმა, მეთაური უსამართლობაში ამხილა და მოუწოდა, რომ თასი, რომელიც მან უსამართლოდ მიიკუთვნა, დაებრუნებინა და ყველა მეომრისთვის ტოლად და სამართლიანად გაეყო. მეთაურმა ურჩი მეომარი სიკვდილით დასაჯა. დანარჩენ მეომრებს ხმა აღარ ამოუღიათ, შეშინებულები დამორჩილდნენ მეთაურს. აქედან ჩანს, რომ უსამართლობამ კორუფცია წარმოშვა. დანარჩენ მეომრებსაც რომ ხმა ამოეღოთ და მეთაურისთვის სამართლიანობისკენ მოეწოდებინათ, ასეთი სიტუაცია არ წარმოიშობოდა. იმ ქვეყანაში, სადაც უსამართლობა ბატონობს, კორუფცია ვითარდება და მასთან ერთად კორუმპირებულ ადამიანთა რაოდენობა იზრდება. ჩემი აზრით კორუფცია რომ აღმოვფხვრათ უნდა გავერთიანდეთ, უნდა ვამხილოთ კორუმპირებული ადამიანები და საქვეყნოდ დავსაჯოთ. ადამიანებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნდა იბრძოლონ კორუფციის წინააღმდეგ, დაიცვან და სულიერად გაამხნეონ არაკორუმპირებული ადამიანები. ადამიანებს უნდა უყვარდეთ სამართლიანობა და პატივი სცენ მას და კორუფციაც ვეღარ გაიდგამს ფესვებს.

სოსო ღარიბაშვილი
თელავის საშუალო სკოლა

ჩემი აზრით, დღესდღეობით საქართველოს ყველა ორგანიზაციაში კორუფცია ნორმაა. ამ ორგანიზაციებში ყოველი წარმომადგენელი პირი კორუმპირებულია. მე ასეთ ორგანიზაციაში მუშაობას არ დავიწყებდი, მაგრამ თუ შემთხვევით მოვხვდებოდი ასეთ დაწესებულებაში, იქ ბრძოლას დავიწყებდი კორუფციის წინააღმდეგ, რადგან შემდეგ ყველა ადამიანს გაეთვალისწინებინა ჩემი მაგალითი. მე თუ სამუშაოზე უარს ვიტყოდი, მაშინ მოსახლეობის უმეტესობა მე მომბაძავდა, ამით კი მთელ ქვეყანას კორუმპირებული ადამიანები წარმართავდნენ.

ვთქვათ, მე უკვე ვმუშაობ ორგანიზაციაში, სადაც კორუფცია ნორმაა, იქ პირველსავე დღეს ბრძოლის წამოწყებას აზრი არა აქვს, რადგან შენც დაგადანაშაულებენ და ნელ-ნელა ჩაგითრევენ თავის ბრბოში. თუ მათ აზრს არ დაეთანხმები, მაშინ ისინი დაიწყებენ შენს წინააღმდეგ ბრძოლას და აღვილადაც დაგამარცხებენ, რადგან შენ ჯერ იმ დაწესებულებაში ავტორიტეტი არ გექნება მოხვეჭილი. მე ჯერ დავიწყებდი იმ ადამიანების ბუნების შესწავლას, შევიტყობდი ვის რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ამის შემდეგ მოვაგროვებდი ამ დანაშაულის სამხილებს და გადავცემდი ქვეყნის უმაღლეს ორგანოს-სასამართლოს. ამ ყველაფრის შემდეგ, თუ სასამართლოც კორუმპირებული გამოდგებოდა, მაშინ ამ დოკუმენტებს გადავცემ სხვა სახელმწიფოს სასამართლოს. ამის მერე ამ ორგანიზაციაში მომუშავე "გმირებს" სასამართლო თავისი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით გამოუტანდა სასჯელს. ამის მერე სხვა ორგანიზაციებიც განიცდიდნენ დროებითი შიშის გრძნობას მაინც, ხოლო კონკრეტულად იმ ორგანიზაციაში, სადაც ეს ყველაფერი მოხდებოდა, საერთოდ განიდევნებოდნენ კორუმპირებული პირები. სწორედ ამ ორგანიზაციით დავიწყებდი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. სხვა ორგანიზაციები, რომელიც დროებით შიშს განიცდიდნენ, ცოტა ხანს შეწყვეტდნენ კორუფციას, სწორედ ამ პატარა ხანს გამოვიყენებდი და ჩემი ორგანიზაციით, სადაც მე ვმუშაობ და ჩემი მომხრეებით დავიწყებდი მიწყნარებულ კორუმპირებულ ადამიანებზე სამხილების შეკრებას და მათ მხილებას. მე მგონი მე ბევრი სხვა ორგანიზაციაც გამომეხმაურება და ერთად შევძლებთ კორუფციის დამარცხებას. მე, ჯერჯერობით, ასე ვფიქრობ, მაგრამ საქართველოსთვის ყველაფერი ჯერჯერობითია.

ნათია ნიკოლაიშვილი
თბილისის 51-ე სკოლა

წარმოვიდგინოთ, როგორია კორუმპირებული ადამიანი, რაზე ფიქრობს ის და რას აკეთებს. ფიზიკურად, ის, რა თქმა უნდა, ღიპიანია, რადგან ისინი არაფერზე უარს არ იტყვიან და ჭამენ და ჭამენ, "გუჩის" სათვალეებით და თითებზე ოქროს ბეჭდებით დადის, თბილისში ორი ბინა აქვს- ერთი ორსართულიანი, გარემონტებული ბაგებში, და ერთიც, იქვე ვაკეში სადმე. ჰყავს ცოლი, რომელსაც ის ძალიან უყვარდა, სადღაც შორეულ წარსულში, მაგრამ მერე კაცმა გემო გაუგო ქრთამს და გადაწყვიტა, ისე ეცხოვრა როგორც მისი უფროსები. სულ მოდიოდა სახლში ბუზღუნით და ცოლს ეუბნებოდა რატომ არ უნდა ვიყო მეც იმათსავით, მათზე ნაკლებს ვმუშაობ?! " მერე მთელი ღამე იბუზღუნებდა და დილით ისევ სამსახურში წავიდოდა.

ერთ მშვენიერ დღეს კი ჩვენი პატიოსანი კაცი დაბრუნდა სახლში და ძველისძველ მაგიდაზე, ქალს, რომელიც სანთლის მბჟუტავ ცეცხლზე ცდილობდა ქმრისთვის ჯემპრი ამოეკემსა, ასდოლარიანების შეკვრა დაუდო. ცოლმა ეჭვით გახედა გახარებულ ქმარს, თუმცა არც არაფერი უთქვამს, რადგან იფიქრა "ფული არ გვაწყენს, და ამას რომ რამე ვუთხრა უკან წაიღებსო . . . "

ახლა დავუფიქრდეთ, მართალია, ქრისტიანი იმით უნდა იყოს კმაყოფილი რაც აქვს და ჰმადლობდეს ღმერთს. მაგრამ მე შემიძლია ის კაციც გავამართლო - მას რომ აეღო თავისი მუშაობის გასამრჯელო დაადგებოდა ასეთ გზას?

ამ ქვეყანაში ყველაფერი ჯაჭვივითაა გადაბმული და ძალიან დიდი დრო დაგვჭირდება რომ ვიპოვოთ თავი, რომელიც იკარგება ჩაბნელებულ უფსკრულში. მე იმ კაცს ვერ გავამართლებ, მაგრამ ახლანდელ საქართველოში მცხოვრები ალბათ სადღაც გონების კუნჭულში ვერც გავამტყუნებ. მისი ცხოვრების დასასრული არავინ იცის, ის არც მე ვიცი. არ ვიცი ამას ვინ კითხულობს, მაგრამ გირჩევთ, ნუ დაადგებით ამ გზას, რადგან უფალი ჩვენთანაა და ის არასდროს გაგვწირავს.

თამუნა ქარჩავა
თბილისის 123-ე სკოლა

მარტოხელა ქალი, რომელსაც ჰყავს ორი შვილი, ყველანაირ სახსარს მოკლებული, მეგობრის რჩევით მიდის ორგანიზაციაში, სადაც ზუსტად ასეთი დაუცველი ადამიანები სჭირდებათ. ფორმალური გასაუბრების შემდეგ მას მიიღებენ სამსახურში და იწყება ახალი ცხოვრება.

თავიდან ყოველივე კარგად და პატიოსნად მიედინებოდა, მაგრამ ნელ-ნელა ქალი ამჩნევს რაოდენი უსამართლობაა გამეფებული, დაუცველი ხალხის ჩაგვრა, სამსახურიდან გაძევება, უსამართლოდ ნაშოვნი ფული, რომელიც ვიღაცის ჯიბეს ასქელებს.

გარკვეული პერიოდის შემდგომ ქალი გადაწყვეტს დატოვოს ადგილი, რომელიც თავიდან ბოლომდე კორუფციას ემსახურება. ამ განზრახვით მიდის სახლში. ცოტა ფერშესხმული და გამოცოცხლებული შვილები ეგებებიან ღიმილით, ღიმილით, რომელიც ასე ენატრებოდა გატანჯულ დედას.

საწყალი და გაორებული ქალი მოწყვეტით ეშვება სკამზე. როგორ უთხრას შვილებს, რომ მათ ისევ მოენატრებათ პური და სითბო, რადგან სამსახურში ვიღაც ფულს იპარავს, ვიღაცასაც უსამართლოდ ექცევიან. განა გაუგებენ შვილები? დაუფასებენ მის ქცევას? ამ ფიქრებში ჩაფლული გადაწყვეტს გააგრძელოს მუშაობა, დროს და ღმერთს ანდოს ყოველი. მაგრამ ის ავიწყდება, რომ დროთა განმავლობაში ისიც შეიძლება გახდეს მსხვერპლი, ან ის პიროვნება, ვისი გავლენის ქვეშაც მოექცევა მსხვერპლი.

გაჭირვება აიძულებს პიროვნებას თვალი დახუჭოს ყველაფერზე, აჰყვეს ცხოვრების რიტმს და ემსახუროს უსამართლობას.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
შემდეგი გვერდი გამოვა 10 თებერვალს

გენერალური პროკურატურა ყოფილი პრეზიდენტის ოჯახს მიუახლოვდა

პირველი გვერდიდან

ჯოხთაბერიძე საკუთარი ფორმის კეთილსინდისიერ საქმიანობაში დარწმუნებულია.

გენპროკურორი უახლოეს დღეებში მაღალჩინოსნების დაპატიმრებას გვპირდება.

გიორგი გახარიას ფოტო

ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიძე გენერალურ პროკურატურაში გუშინ მოწმის სახით დასაკითხად დაიბარეს და იქიდან იმავე სტატუსით გამოვიდა. ჯოხთაბერიძე პროკურატურაში, საკუთარ ადვოკატთან ერთად, პირველივე გამოძახებისთანავე მივიდა და რამდენიმე საათის განმავლობაში ოჯახური ფირმის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოძიებას ჩვენებას აძლევდა.

შევარდნაძის სიძის დაკითხვა გასაიდუმლოებულ პირობებში მიმდინარეობდა. დაკითხვის შემდეგ კომენტარს არც მოწმე და არც გამომძიებლები აკეთებდნენ.

"მაგთიკომის" დამფუძნებლის გენერალურ პროკურატურაში დაბარებასთან დაკავშირებით მწირი ინფორმაცია ჟურნალისტებს თავად გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა მიაწოდა.

"ჩვენ სერიოზული მტკიცებულებები და ეჭვი გვაქვს "მაგთიკომის" ფინანსურ საქმიანობასა და ქონების კანონიერებაზე. ორ-სამ დღეში უფრო მეტი მასალა გვექნება და სრულ ინფორმაციას მაშინ მოგაწვდით", - განაცხადა გენპროკურორმა, რომელმაც ყოფილი პრეზიდენტის ოჯახური ფირმის საქმიანობა კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის ფრიდონ ინჯიას მინისტრობის პერიოდთან დააკავშირა და ის საქმე გაიხსენა, რომელიც წლების წინ სწორედ ინჯიას გადეპუტატების მოტივით შეჩერდა.

"ჩვენ განვაახლეთ კავშირგაბმულობასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც უშუალოდ ინჯიას მინისტრობის პერიოდს უკავშირდება. ჯოხთაბერიძე ამ საქმის ირგვლივ დაიკითხა", - ამბობს ირაკლი ოქრუაშვილი.

კავშირგაბმულობის სახელით ცნობილი საქმე გენერალურ პროკურატურაში 1996 წელს აღიძრა და მისი გამოძიება 1999 წელს მას შემდეგ შეჩერდა, რაც ფრიდონ ინჯიამ დეპუტატის იმუნიტეტი მიიღო. პარლამენტარებმა კი პროკურატურის შუამდგომლობას – იმუნიტეტი მოხსნოდა თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ დეპუტატს, უარით უპასუხეს. ინჯიას, როგორც მინისტრს, გამოძიება მაშინ კავშირგაბმულობის სისტემაში კერძო ფირმების შექმნისთვის, აქციების მფლობელობის და ფოსტის შენობის უკანონო პრივატიზაციისთვის ედავებოდა. თუმცა, ეს უკანასკნელი ბრალდება მას მალევე მოეხსნა, რადგან სასამართლომ დაამტკიცა, რომ ფოსტის შენობის პრივატიზაცია კანონის დაცვით მოხდა. ჩვენი ინფორმაციით, წლების წინ აღძრულ, კავშირგაბმულობის საქმეში "მაგთიკომზე" საუბარი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ყოფილი პრეზიდენტის სიძის ფირმის საქმიანობის შესწავლა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაიწყო და, როგორც ახალი გენერალური პროკურორი გვპირდება, უახლოეს დღეებში რეალური შედეგით დასრულდება.

"აღნიშნულ საქმეზე, ჯოხთაბერიძის გარდა, სხვა პირებიც დაიკითხებიან, მათ შორის - ფრიდონ ინჯია, რომლის იმუნიტეტის მოხსნის შუამდგომლობით პარლამენტს ამ დღეებში მივმართავთ", - ამბობს ირაკლი ოქრუაშვილი.

გუშინდელი დღე, ჯოხთაბერიძისგან განსხვავებით, უიღბლო აღმოჩნდა სააქციო საზოგადოება "რელასის" ყოფილი დირექტორის კობა ღომიძის, რკინიგზის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსის ლევარდ ჯვარშეიშვილის და იმავე განყოფილების მთავარი ინჟინრის გიორგი გოგსაძისთვის. ისინი გენერალური პროკურატურის შენობიდან პირდაპირ წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

"რელასის" ყოფილი დირექტორი განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებაშია ეჭვმიტანილი. გამოძიების მასალების თანახმად, "რელასმა", ღომიძის დირექტორობის პერიოდში, საბითუმო ბაზრიდან 127 ათასი ლარის ღირებულების ელექტროენერგია მიიღო, რომელიც უგზოუკვლოდ დაიკარგა. გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის პაატა ჯაველიძის განცხადებით, კობა ღომიძეს დღეს ბრალი წარედგინება და წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, გამოძიება სასამართლოსაც მიმართავს.

დღესვე ბრალდებულის სტატუსი მიეცემა ლევარდ ჯვარშეიშვილს და გიორგი გოგსაძეს, რომლებიც, თავდაპირველად, ასევე ეჭვმიტანილის სახით დაკითხეს. რკინიგზის დეპარტამენტის ორივე მაღალჩინოსანი პროკურატურამ ორიოდე თვის წინ საბავშვო რკინიგზის (მუშტაიდის) ადმინისტრაციული შენობის უკანონო პრივატიზაციასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო დააკავა. როგორც გაირკვა, ჯვარშეიშვილის ბრძანებით, მუშტაიდის ადმინისტრაციული ნაგებობის მშენებლობისთვის რკინიგზის დეპარტამენტიდან 84 ათასი ლარი შენობის ქონების მართვის სამინისტროსთვის გადაცემის შემდეგ გადაირიცხა. გამოძიების მტკიცებით, აღნიშნული ნაგებობა რკინიგზის დეპარტამენტს აღარ ეკუთვნოდა და არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული თანხის გარკვეული ნაწილი კონკრეტულმა პირებმა მიითვისეს, რითაც რკინიგზის დეპარტამენტს ზიანი მიადგა.

ერთი სიტყვით, გუშინდელი დღე გენერალური პროკურატურისთვის დაკითხვებით და დაპატიმრებებით განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო. თუმცა, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი გვპირდება, ამ მხრივ სიურპრიზები არც უახლოეს დღეებში მოგვაკლდება.

ყოფილი მეომარი პატიმრები პრეზიდენტის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

ეროვნული შერიგების დეკლარაციის გაფორმებას და მისი ამოქმედებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი აქტით ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი 30-მდე პატიმრის გათავისუფლებას პატიმართა დიდი ნაწილი სერიოზული პრეტენზიით შეხვდა.

ინგა ალავიძე

ყოფილი მეომარი პატიმრები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცემულ შეწყალების აქტს აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ყოფილი მეომარი პატიმრებისათვის მიუღებელია მხოლოდ "ზვიადისტების" გათავისუფლება. მათი განცხადებით, შეწყალება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ყველა მეომარს უნდა შეხებოდა. მით უმეტეს, რომ შეწყალების საფუძველზე გათავისუფლდებიან ის "ზვიადისტები", ვისაც მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი, როცა შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის გასამართლებული ყოფილი მეომრები ისევ პატიმრობაში დარჩებიან.

პატიმრების პოზიციით, "ზვიადისტური ნიშნით" პატიმართა შეწყალებაზე "ეროვნული თანხმობის კომისიის თავმჯდომრის" გურამ აბსანძის ფაქტორმა იქონია გავლენა. **"ეს არ არის ეროვნული შერიგება, ჩვენ გვჯეროდა, რომ ეს მთავრობა შევარდნაძის შეცდომებს არ გაიმეორებდა, მაგრამ ახალმა პრეზიდენტმა საქმიანობის პირველივე დღეს შევარდნაძის ტრადიცია გააგრძელა. შევარდნაძემაც გააფორმა ეროვნული შერიგების აქტი და გაათავისუფლა მხოლოდ ის პატიმრები, რომლებიც პოლიტიკურად აწყობდა... ჩვენ მოგვწყინდა ეს პოლიტიკური ვაჭრობა და ჩვენს პროტესტს აუცილებლად გამოვხატავთ,"** - აცხადებენ ყოფილი მეომარი პატიმრები.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ მხოლოდ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრე პატიმრების შეწყალების გამო პროტესტს გამოთქვამენ ის გვარდიელები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მომხრეები არ არიან, მაგრამ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებში იბრძოდნენ და შევარდნაძის ხელისუფლებამ პოლიტიკური ნიშნით დაუპატიმრა. გარდა გვარდიელებისა, ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ ყოფილი მხედრიონელებიც.

სხვათა შორის, პატიმართა პროტესტს საფუძველი ნამდვილად აქვს. ბოლო პერიოდში განხორციელებული ყველა შეწყალების აქტს მართლაც პოლიტიკური "სარჩული" თუ პირადი ურთიერთობის მოტივი ედო საფუძვლად. ამის დასტურად რამდენიმე დღის წინ უზენაეს სასამართლოში გამოტანილი გადაწყვეტილებაც გამოდგება. "ეროვნული თანხმობის კომისიის" შუამდგომლობით, პატიმრობიდან გათავისუფლდნენ 9 თებერვლის ტერაქტში ბრალდებულები - ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი სოსო თორია და ლოთი ქობალიას გვარდიის ყოფილ წევრი ვეფხია დურგლიშვილი. შუამდგომლობას, რომელიც ხსენებულმა კომისიამ გააგზავნა სასამართლოში, ხელს აწერდა კომისიის თავმჯდომარე, სწორედ 9 თებერვლის ტერაქტის ბრალდებით გასამართლებული, 12-წლიანი პატიმრობამისჯილი და შემდეგ გამართლებული ყოფილი ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე. არსებული ინფორმაციით, გურამ აბსანძისა და მისი კომისიის მიერ შედგენილ 30-კაციან "ზვიადისტთა" სიის თავში, რომელსაც 29 იანვარს პრეზიდენტი სააკაშვილი ხელს მოაწერს, ლოთი ქობალიას ძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის პაატა ჯაველიძის განცხადებით, კობა ღომიძეს დღეს ბრალი წარედგინება და წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, გამოძიება სასამართლოსაც მიმართავს.

დღესვე ბრალდებულის სტატუსი მიეცემა ლევარდ ჯვარშეიშვილს და გიორგი გოგსაძეს, რომლებიც, თავდაპირველად, ასევე ეჭვმიტანილის სახით დაკითხეს. რკინიგზის დეპარტამენტის ორივე მაღალჩინოსანი პროკურატურამ ორიოდე თვის წინ საბავშვო რკინიგზის (მუშტაიდის) ადმინისტრაციული შენობის უკანონო პრივატიზაციასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო დააკავა. როგორც გაირკვა, ჯვარშეიშვილის ბრძანებით, მუშტაიდის ადმინისტრაციული ნაგებობის მშენებლობისთვის რკინიგზის დეპარტამენტიდან 84 ათასი ლარი შენობის ქონების მართვის სამინისტროსთვის გადაცემის შემდეგ გადაირიცხა. გამოძიების მტკიცებით, აღნიშნული ნაგებობა რკინიგზის დეპარტამენტს აღარ ეკუთვნოდა და არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული თანხის გარკვეული ნაწილი კონკრეტულმა პირებმა მიითვისეს, რითაც რკინიგზის დეპარტამენტს ზიანი მიადგა.

ერთი სიტყვით, გუშინდელი დღე გენერალური პროკურატურისთვის დაკითხვებით და დაპატიმრებებით განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო. თუმცა, როგორც ირაკლი ოქრუაშვილი გვპირდება, ამ მხრივ სიურპრიზები არც უახლოეს დღეებში მოგვაკლდება.

კანცელარია ყალბ ჭილდოებსა და სიგელებს არიგებდა

სამართალდამცველებმა სახელმწიფო კანცელარიიდან დაახლოებით 2500 პირადი საქმე ამოიღეს, რომლებსაც გენერალური პროკურატურა შეამოწმებს. დოკუმენტების ამოღებისა და შესწავლის მიზეზი ყველასთვის მოულოდნელად გახდა კანცელარიის უფროსის მოადგილე, სახელმწიფო ჯილდოებისა და სახელმწიფო წოდებების მინიჭების სამსახურის კურატორი, ამავე საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის მდივანი თამაზ ყიფიანი. შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ის ყალბი დოკუმენტების გამოყენებით სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენაში ამხილეს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, წინასწარი მოკვლევით ირკვევა, რომ სახელმწიფო კანცელარიის ჩინოვნიკმა თამაზ ყიფიანმა უხეშად დაარღვია "სახელმწიფო ჯილდოების, პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებისა და იარაღით დაჯილდოების საკითხთა გამხილველი კომისიის" დებულების მოთხოვნები.

"თამაზ ყიფიანმა გამოიყენა რა სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ და გამორჩენის მიღების მიზნით დაარღვია იმ კომისიის დებულება, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა. მან აიძულა საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კუჭუხიძე, წარედგინა კომისიაში ყალბი წარდგინება და დაჯილდოების ფურცელი მოქალაქე გიორგი ბერიშვილისათვის ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის მინიჭებაზე", - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ. სამართალდამცველთა ინფორმაციითვე, ყიფიანმა ერთპიროვნულად, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, საკითხის კომისიაზე განხილვის გარეშე მოამზადა განკარგულება, რასაც ხელს აწერდა ყიოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ამ განკარგულებით, გიორგი ბერიშვილს მიენიჭა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი თითქოსდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის.

"ანალოგიურ ფაქტებს სხვა შემთხვევებშიც ჰქონდა ადგილი, სახელმწიფო კანცელარიის ერთ-ერთი სამსახურიდან სწორედ ამიტომ ამოვიღეთ უამრავი პირადი საქმე. თამაზ ყიფიანის საქმე შემდგომი გამოძიებისთვის უკვე გადავგზავნეთ გენერალურ პროკურატურაში", - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

24 საათი

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ნიუ-იორკი) აცხადებს უნივერსიტეტის მასწავლებელთა კონკურსს

ამ კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია შემდეგი: გამარჯვებული გაატარებს ორი წლის განმავლობაში ერთ სემესტრს ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში და ერთ სემესტრს საკუთარ ქვეყანაში (ყოველწლიურად).

განმცხადებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. ამჟამად უნდა ასწავლიდნენ შემდეგ დისციპლინებს საქართველოს რომელიმე რეგისტრირებულ უნივერსიტეტში:
ხელოვნების ისტორია
კულტურული ანთროპოლოგია
რელიგია
ისტორია
ფილოსოფია
პოლიტიკური მეცნიერებები
სოციოლოგია
2. უნდა ჰქონდეთ სანიმუშო აკადემიური მოსწრება (საბუთებს თან უნდა ახლდეს დიპლომის დანართი).
3. კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.
პროგრამა არ ითვალისწინებს განმცხადებელთა ოჯახის წევრების დაფინანსებას.

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 15 მარტი, 2004.

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ:
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", ჭოველიძის ქ. 10, 25 04 63, 25 05 92.

სარჩელი სასამართლოში შეიტანეს

სენტ-ვინსენტის დროშით მცურავი ტვირთმზიდი გემის – "ბერენის" მფლობელებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ისინი ასაჩივრებენ ქართული მხარის გადაწყვეტილებას გემის მფლობელის 200 ათასი ლარით დაჯარიმების შესახებ. უახლოეს ორ დღეში სარჩელი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნება, რადგან ქართველმა მესაზღვრეებმა გემი ერთი კვირის წინათ, საზღვრის დარღვევის ბრალდებით, სწორედ ხელვაჩაურთან დააკავეს. სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს აჭარის განყოფილების ხელმძღვანელის ედნარ ხაბაზის ინფორმაციით, ამჟამად გემი და მისი ეკიპაჟის 20 წევრი გათავისუფლებულია, რადგან საგარანტიო თანხა - 200 ათასი ლარი (შეიტანეს საბამისი კურსით დოლარებში) საბანკო ანგარიშზე მათ უკვე ჩარიცხეს. ანგარიში, ჯერჯერობით, ბლოკირებულია. თუ სასამართლო სარჩელს დააკმაყოფილებს, თანხა გემის მფლობელებს უკანვე დაუბრუნდება, თუ –არა, მაშინ ჯარიმა - 200 ათასი ლარი საქართველოს ბიუჯეტში ჩაირიცხება.

მედია-ნიუსი

თანამდებობის პირებს დაუსწრებლად გაასამართლებენ და დაუსაბუთებელ ქონებასაც ჩამოართმევენ

კორუფციულ დანაშაულში ეჭვმიტანილ თანამდებობის პირთათვის დაუსწრებლად ბრალის წაყენებას, გასამართლებასა და უკანონოდ მითვისებული ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებს იუსტიციის სამინისტროს მიერ ანტიკორუფციულ ღონისძიებათა ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები.

იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების რეგისტრაციის, კოდიფიკაციისა და სამართლებრივი ინფორმატიზაციის დეპარტამენტის უფროსის ვალერი ცერცვაძის თქმით, ცვლილებები გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექში, ასევე საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში, საქალაქო კანონმდებლობაში, საგადასახადო კანონში, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსსა და ზოგადადმინისტრაციულ კოდექსში, პროკურატურის შესახებ კანონში და სხვა.

საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს თანამდებობის პირის მიერ კორუფციული დანაშაულის (თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მითვისება, გაფლანგვა, გადასახადის დაფარვა და სხვა) ჩადენის შემთხვევაში დაუსწრებლად გასამართლებას, თუ იგი თავს არიდებს გამოძიებას ან იძებნება. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორს აქვს სათანადო მტკიცებულება, რომ თანამდებობის პირის მიერ ქონების შეძენა სახელმწიფო ქონების მითვისების შედეგად მოხდა, იგი ვალდებულია, სამოქალაქო სარჩელი აღძრას ამ ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით. თუ თანამდებობის პირი ვერ დაამტკიცებს, რომ ქონება კანონიერად შეიძინა, მას ეს ქონება ჩამოერთმევა.

მნიშვნელოვანია, რომ გაფართოვდა თანამდებობის პირთა წრეც. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილების თანახმად, თანამდებობის პირად სხვებთან ერთად ითვლება იმ საწარმოთა ხელმძღვანელი პირებიც, რომელთა ქონების 50%-ზე მეტი სახელმწიფოს კუთვნილებაა.

კანონში შედის „დაკავშირებული პირის ცნება", რომელშიც იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელიც იურიდიულად ფლობს ქონებას, რეალურად კი ამ ქონებით სარგებლობს თანამდებობის პირი. „დაკავშირებული პირი" ვალდებულია, თანამდებობის პირის მსგავსად, დაასაბუთოს თავისი ქონების კანონიერება.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგაც, იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი ლმობიერია, გენერალურ პროკურორს მისი დამძიმების მოთხოვნის უფლება ეძლევა, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც სასამართლო მიიღებს. დღეს მოქმედი კანონით, მოსამართლეს არ აქვს უფლება, განსასჯელს დაუნიშნოს იმაზე მძიმე სასჯელი, როგორსაც პროკურორი მოითხოვს. ახალი მექანიზმით კი, განაჩენის სიმკაცრე მხოლოდ ერთ პროკურორზე არ იქნება დამოკიდებული.

ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმაში აგრეთვე გათვალისწინებულია პროკურატურის კოლეგიის წევრთა და გამომძიებელთათვის იმუნიტეტის მოხსნა.

კანონპროექტზე მუშაობა უკვე დასრულებულია და იგი ჯერ სახელმწიფო კანცელარიაში, ხოლო შემდეგ პარლამენტში შევა განსახილველად.

ცვლილებათ

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

ტელეღლაბუცები

ახლახან გოგი გვახარიას "ფსიქოში" ერთობ საამაყო ეპითეტით შემამკეს – კრემლიდან მართული მსახვრალი ხელი მიწოდეს.

ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ ძალიან გაბრაზებული ვარ. ამიტომ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვიტყვი, რომ ჩემი მართვა შეუძლებელია. ერთადერთი, რითიც ჩემი ცხოვრების ბოლომდე შემიძლია ვიამაყო, სწორედ ეს არის. საბუთი კი რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილია, რომელთა მიტოვება მსგავსი მცდელობების შემდეგ მიხდებოდა.

ეს ამბავი ვიღაც ინგლისელის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენებით დაიწყო. როგორც ჩანს, ზოგიერთს ჰგონია, რომ როცა სიტყვა "ინგლისელს" ახსენებ, იქვე თავისთავად უნდა იგულისხმო პროფესიული ოსტატობა, ობიექტურობა და კეთილსინდისიერება. 1991-1992 წლების სამოქალაქო ომზე გადაღებულ ამ "ფილმს", ძალიან მოკლედ თუ ვიტყვი, პირწმინდად აკლია ეს ნიშნები. ფილმის ანონსში ქართველი მაყურებლისთვის აქამდე უცნობ კადრებსა და ფაქტებს შეგვპირდნენ. სამწუხაროდ, ჩემთვის მაინც, ეს ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, აღმოჩენა არ ყოფილა. სამაგიეროდ აღმოჩენა იყო ის, რომ "სამოქალაქო ომზე" გადაღებულ "დოკუმენტურ ფილმში" არც პრეზიდენტის ერთგულ სამხედროებს, არც მისი გაძევების შემდეგ აღმოცენებულ, მისი იდეების მხარდამჭერ სახალხო ლაშქრობის არც ერთ, ვიმეორებ, არც ერთ ჯგარისკაცსა თუ მოხალისეს იარაღი არ უჭირავს ხელში. უბრალოდ, უიარაღონი არიან. სამაგიეროდ სულ ავტომატისა და მჭიდების ჩხაკუნი ისმის მოწინააღმდეგის ბანაკში. მსხვერპლიც, ცხადია, სულ ერთი მხრიდანაა. თუნდაც ეს დეტალი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ამ, ფირზე გადატანილი კადრების თანმიმდევრობას იმთავითვე მოაცილო ერთობ პრეტენზიული სახელწოდება "ფილმი", მით უფრო, "დოკუმენტური".

არასდროს არ მითქვამს, მაგრამ ახლა "ფსიქოში" მოწვეულ სტუმრებსა და გვიანობამდე შემორჩენილ მაყურებელს აუცილებლად უნდა შევახსენო 1991 წლის 5 ოქტომბრის ღამის სამი საათი, როცა წინა დღეს რესპუბლიკის მოედანზე გამართული 70-ათასიანი მიტინგიდან შემორჩენილ მომიტინგეებს თავს დაესხა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგული, ავტომატებით შეიარაღებული რაზმი. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ეს იყო მიტინგის დარბევის, თანაც, არა ხელკეტებითა და ნიჩბებით, არამედ ტყვიებით დარბევის პირველი შემთხვევა. იმ არეულობაში დაკარგული ჩემი ცოლი ნახევარი საათის შემდეგ ვიპოვე – გულწასულს ვიღაც ღვთისნიერები ასულიერებდნენ. დილის ათ საათზე რუსთაველზე მიბრუნებულ მე და ჩემს მეგობარს საზარელი სურათი დაგვხვდა. ხის მოზრდილი ნაჭრებით შეიარაღებულ პატარ-პატარა ჯგუფებს წინ მიუძღოდნენ და მსხვერპლის აღმოჩენაში ოპერატიულად ეხმარებოდნენ ეგრეთ წოდებული "კარვის ქალები".

რუსთაველის პროსპექტზე ადამიანებზე ნადირობა იყო გაჩაღებული.

შემდეგი პრეზიდენტი გაცილებით უარესი გამოდგა. პირადად მე არც ერთისთვის მიმიცია ხმა და არც მეორისთვის. მაგრამ ის ზიანი, რაც შევარდნაძემ მიაყენა ქვეყანას, ბევრად აღემატება "მრგვალი მაგიდის" ნამოქმედარს. თუმცა, ერთიც უნდა ითქვას: ის, რაც ედუარდ შევარდნაძემ თავისი კარიერის ბოლოში გააკეთა – ერთი რეგიონი დაუპირისპირა დანარჩენ საქართველოს – პირველმა პრეზიდენტმა კარიერის დასაწყისშივე გაიხადა საყვარელ იარაღად.

მაგრამ კმარა ამაზე. აშკარად ჩასავარდნად განწირული გადაცემა მაინც იხსნა გიგა ბოკერიას იქ ყოფნამ. ამასთან, ჩვენს ინტელექტუალურ ელიტაში აშკარად გამორჩეულ ამ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც არც მოსაბოდიშებელი და, მით უფრო, მოსანანიებელი არაფერი სჭირს, სულაც არ გასძნელებია, პასუხისმგებლობა აეღო იმ საშინელი წლების უკანონობებზე. რაც შეეხება შერიგებას. მებრძოლი მხარეები კარგა ხანია შერიგდნენ. აი, იდეოლოგები კი სულ სხვა საქმეა. ვსებით ვიზიარებ ლევან ბერძენიშვილისა და გიგა ბოკერიას მოსაზრებას, ჩემი მხრიდან კი დავძენ, რომ მოლოდინშევილებთან და პეტრიაშვილებთან შესარიგებელ ერთ პანწანკინტელა წერტილსაც ვერ მოვძებნი; რომ ჩემსა და იმათ შორის, ვისაც კაგებეს აგენტებით სავსე პირველი პრეზიდენტის გარემოცვა ფრთიან ანგელოზებად წარმოუდგენია, ვინც დღესაც სანთლებს უნთებს მრგვალი მაგიდის ბელადს, რაღაც მატრაბაზულ შერიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

და ერთიც. "ფილმში" მხოლოდ შევარდნაძისა და "მხედრიონის" შავბნელ საქმეებზე კეთდება აქცენტი. ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად ინგლისელი მოგზაურისა და კინომოყვარულის პრობლემაა. აი, "ფსიქოს" მესვეურთ კი აუცილებლად უნდა ეფიქრათ იმაზე, რომ "ფილმში" ასე გაშავებული "მხედრიონიდან" ერთი კაცი მაინც მოეპატიჟებინათ. ამგვარ საქციელს, გარდა იმისა, რომ უტაქტობის სუნი ასდის, სხვათა შორის, მკრეხელობაც ჰქვია, რადგან სწორედ მკრეხელობაა ზურგს უკან საუბარი ორგანიზაციაზე, რომლის ნახევარი აფხაზეთში გაჩაღებულ ომს შეეწირა. თბილისიდან, კასპიდან, წნორიდან წასული ბიჭების ნაწილი ჯერ კიდევ იმ მიწაში წევს. და საერთოდ, თუ შერიგებაზეა ლაპარაკი, ორივე მხრიდან დაღვრილი ბევრი სისხლის მიუხედავად, უწინარეს ყოვლისა, აფხაზებთან შერიგებაზე უნდა იყოს საუბარი. თუმცა, ამაზე სხვა დროს.

ეჰ, ამ ერთობ სასიამოვნო უიქენდის შემდეგ სულაც არ მქონდა მსგავს პრობლემაზე საუბრის სურვილი, მაგრამ რას იზამ!

ასე თუ ისე, პრეზიდენტის კურთხევამაც ჩაიარა და თბილისი და მთელი ქვეყანაც სასიამოვნო დროსტარების შემდეგ გამოფხიზლებულ მოდღესასწაულეებს დაემსგავსა – ოდნავ გაბრუებულსა და გაზარმაცებულს. პიკნიკი მორჩა, წინ კი ყოფითი წვრილმანებითა და მოსაწყენი ერთფეროვნებით სავსე დღეებია, თუ, რა თქმა უნდა, ძალიან მოვინდომებთ და თავს ამის უფლებას მივცემთ.

ამ წერილში ქართულ მედიაზე მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა, უფრო ზუსტად, მინდოდა, მთელი წერილი ამისთვის მიმეძღვნა, მაგრამ გამოვიდა ის, რაც გამოვიდა.

ამიტომ ადგილის სიმცირის გამო ძირითადად "რუსთავი 2"-ზე გაგანდობთ რამდენიმე მოსაზრებას, რადგან ეს ტელეარხი ქართული მედიის ერთგვარ ფლაგმანად იქცა, ამ ფაქტიდან გამომდინარე ყველა უპირატესობითა და, სხვათა შორის, გაზრდილი პასუხისმგებლობითაც.

"რუსთავი 2"-მა სულ ახლახან ჩართო თავის პროგრამებში "ტელეღიპუცები" და "დისქავერი". ოჯახში ხუთი წლის ასაკისა არავინ გვყავს, მაგრამ ამ მომხიბლავი არსებების დანახვა ყველას გვიხარია. აღარაფერს ვიტყვი ერთ-ერთ საუკეთესო პროგრამა "დისქავერზე". ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ მცირდება იაფფასიანი გადაცემების რიცხვი ხარისხიანების დამატების ხარჯზე. მე მომწონს ამ ტელეარხის სტარტეგია, ოპერატიულობა, პოლიტიკური პლატფორმა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ შემდგომი წინსვლისთვის "რუსთავი 2"-ს ნამდვილად არ სჭირდება შეღავათები. და საერთოდაც, როცა ვინმესთვის რაიმე შეღავათზე ლაპარაკობენ, იქვე რაღაც ზომით თავისთავად იგულისხმება პროფესიული შეურაცხყოფაც. "რუსთავი 2" ჩემი ტელეარხია და სულაც არ ვაპირებ მის შეურაცხყოფას. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ და წერილის პირველ ნახევარში მოთხრობილი ამბებით გაბრაზებული საინფორმაციო პროგრამებში ჩართულ ჟურნალისტებზე ვიყრი ჯავრს.

ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იმ ქართულს, რომლითაც თქვენ ლაპარაკობთ, ვერ გაიგონებთ ვერც სკოლაში, ვერც სოფლად, ვერც ინსტიტუტში; ეგეთი ქართული არ მომისმენია ქუჩაში, მეტროში, თქვენ წარმოიდგინეთ, ბაზრობაზეც კი. საქმე უცხო სიტყვების სიმრავლეში არ არის. როცა გნებავთ და რა სიხშირითაც გნებავთ, ისე იხმარეთ მესიჯები, ჰედლაინები, იმიჯები, პრომოუშენი, მეილბოქსები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ამით ქართულს არაფერი დააკლდება – ან მიიღებს და გამდიდრდება, ან უკუაგდებს. წარმოიდგინეთ, ვერც ჟარგონი დაუზარალებს დიდად. დროდადრო შეიძლება ეშხიც კი შემატოს. მაგრამ აი, ეს თქვენი რეპორტაჟებიდან აკრეფილი მარგალიტები კი ნერვებს მიშლის და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ენას ამახინჯებს:

"უამრავი ბავშვები მოვიდნენ აქ, სადაც მათ საჩუქრები გაუკეთეს. მაღალ სტუმრებს აინტერესებთ, როგორ ხდება ბავშვების სწავლება და ვინ ეს მოიფიქრა. და საერთოდ, აქ ხშირად ხდება სტუმრების მოსვლა, რომლებიც აკეთებენ მისალმებებს ბავშვებისადმი".

ამ თაიგულის შეკვრაში არ მონაწილეობდნენ ნათია ლაზაშვილი და დავით კიკალიშვილი. ყველა დანარჩენს მეტ-ნაკლები წვლილი მიუძღვის ამ მრავალფეროვანი არომატის შექმნაში. იმედია, საქმეს გამიადვილებთ და ამ თაიგულში თქვენ თვითონ და, რაც მთავარია, უშეცდომოდ ამოიცნობთ საკუთარ ყვავილებს.

სილამაზეც ნიჭიაო, ძალიან ჭკვიანი კაცის ნათქვამი უნდა იყოს. და მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტთან ჟურნალისტების შეხვედრაზე საოცრად ნიჭიერი იყო და მართლა დედოფალივით გამოიყურებოდა რუსთაველთა საინფორმაციო სამსახურის უფროსი, მაინც უნდა შევახსენო: დედოფალსაც და მის სადედოფლოსაც კარგი ქართული კიდევ უფრო დაამშვენებს.

ბოლო სტრიქონებმა, შესაძლოა, სატელევიზიო ჭეშმარიტება გაგახსენოთ და მკვახედ მითხრათ: არ მოგწონს და რა პრობლემაა, სხვა არხზე გადართე!

სად გადავრთო, "პირველ სტერეოზე", "იბერიაზე" თუ "მზეზე", სადაც ახლა ინგა გრიგოლია მორიგ ინტერაქტივს, უფრო სწორად კი, მორიგ "ვერიშ ნე ვერიშ"-ს სთავაზობს მაყურებელს ინაუგურაციაზე შევარდნაძის მოსვლის თაობაზე, თან ზურაბ ჟვანია გამოუჭერია და, უკვე მერამდენედ, თანაც, ყოველგვარი პროცესუალური ნორმების დარღვევით, ყოველგვარი ნივთმტკიცების გარეშე, არა და არ უხსნის არჩევნების გაყალბების ბრალდებას. აბა, რა გითხრათ, აკვიატებული იდეების მოჭარბებას მაინცდამაინც ასაკსაც ვერ დააბრალებ კაცი. შესაძლოა, ასეთი წვრილ-წვრილი მწვიტინობა ჰგონიათ "მზეზე" ჟურნალისტური გამბედაობა. მანამდე კი თავის სახელგანთქმულ, საოცრად ტემპიან უვერტიურაში ექვსჯერ იმეორებს ერთსა და იმავე ინფორმაციას. შინაგანი ხმა მეუბნება, რომ ახლა უკვე ცნობილი სერიალის "ტელეღიპუცების" ყველაზე პატარა გმირად წარმოუდგენია თავი, ერთთავად "ისევ, ისევო" რომ გაიძახის. "ტელეღიპუცები" მართლა იმეორებენ სიუჟეტებს, მაგრამ ეს ხომ სამიოდე წლის ბავშვების ცნობისმოყვარობის დასაკმაყოფილებლად კეთდება! აი, ამ საბავშვობაღობანას შემდეგ კი პოლიტიკურ შოუდ ნათლავს ხაზინის ქურდების დაპატიმრებებს, იმას, რასაც ხალხი ოცდაათი თუ კიდევ უფრო მეტი წლის შემდეგ, როგორც იქნა, მოესწრო.

ასე რომ, ძვრფასო რუსთაველებო, ვერსადაც ვერ გადავრთავ. არადა, თქვენ რომ გისმენთ, კი არ იბადებიან, დაბადება ხდება, კი არ სწავლობენ, სწავლება ხდება, კი არ გაისროლეს, გასროლა მოახდინეს. თქვენივე სიტყვებით გამოდის, რომ კი არ მუშაობთ, მუშაობას ახდენთ.

ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, გაზეთები არ მიხსენოთ. ჰო, იქაც იპარება მსგავსი რაღაცები, მაგრამ იმდენად მცირე ტირაჟი აქვთ და მკითხველი აუდიტორიაც ისეთია, რომ ზიანის მიყენების ალბათობა ნულს უტოლდება. თქვენ კი მთელი საქართველო გისმენთ.

მარტივ თუ მძიმეებით შემოსაზღვრულ წინადადებებში ზმნების წყვილ-წყვილად ხმარებითა და სომხურ-რუსული წყობით ქართული სინტაქსის, ესე იგი, დედაენის დედის, კვლავ თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, გაუპატიურებას ახდენთ. ჯერ არც ისეთი მაგრები ხართ და არც ისეთი ასაკოვანნი, რომ სიტყვა "სწავლება" დაივიწყოთ და დღემდე ნასწავლით გახვიდეთ ფონს.

მინაწერი: ნუ ეღლაბუცებით ისტორიას, ნუ ეღლაბუცებით ქართულ ენას, თორემ ერთ მშვენიერ დღეს "ტელეღიპუცები" ტელეღლაბუცებად გადაკეთდება, ინგასა და ლუბასთვის შემონახულ ფრაზას კი "რუსთავი 2"-ის ეკრანს მივახლი:

- თქვენც გაქვთ დუმილის უფლება!

განათლება და გამოცდილება

გიგი თევზაძე
სოციოლოგიის კათედრის გამგე ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გუშინწინ საქართველოს პრეზიდენტმა ინაუგურაციაზე მნიშვნელოვანი სიტყვები თქვა. მნიშვნელოვნება და განსაკუთრებულობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ განსხვავებით წინა პრეზიდენტებისაგან და საერთოდ, წინა პოლიტიკური დისკურსისაგან (თუ დისკურსებიდან), მან ერთმნიშვნელოვნად გამოაცხადა განათლება ქვეყნის პრიორიტეტად. არა "ეკონომიკა და განათლება", ანდა, "ეროვნულობა და განათლება", ან "სამხედრო საქმე და განათლება", არამედ, უბრალოდ, განათლება. ამით მან აღნიშნა, რომ განათლება მხოლოდ სალონებში ციტატების სათქმელად და სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისათვის კი არ არის, არამედ სამხედრო საქმის, ეკონომიკის, კულტურის განვითარების, სამართლიანი პოლიტიკის და დემოკრატიის აუცილებელი ინსტიტუტია.

ეს უნიკალური ფრაზაა ქართულ პოლიტიკაში და თუნდაც სიტყვების მაგიური ძალის გამო, ძველი, "წინა" დისკურსების დაბრუნება უნდა გართულდეს.

"წინა" პოლიტიკური დისკურსების მნიშვნელოვანი ღერძთაგანი იყო განათლების შედეგად მიღებული ცოდნის და გამოცდილების ურთიერთდაპირისპირებულ პოლუსებზე მოთავსება: წინა დისკურსი წინა პრეზიდენტის (თუ პრეზიდენტების) და მისი მოხელეების პირითაც და საქმითაც ხშირად გვარწმუნებდა, რომ განათლებით მიღებული ცოდნა სხვაა, ის რეალობას მოწყვეტილია, სინამდვილეში მხოლოდ გამოცდილმა ხალხმა იცის, როგორ გაუძღვეს ეკონომიკას, როგორ დააფინანსოს კულტურა, როგორ აშენოს სამხედრო ძალები. შედეგი სახეზეა: გამოცდილი ხალხის, რომლებიც განათლებას უარყოფდნენ, გამომუშავებული და გადამუშავებული ქვეყანა.

სამწუხაროდ, პრეზიდენტის სიტყვების მიუხედავად, ინაუგურაციის დღეს ჩვენმა გამოცდილებამ კვლავ იგივე სურათი მოგვცა: ინაუგურაციის მაყურებელთა ტრიბუნები (სექტორები) სავსე იყო იმ ხალხით, ვისაც წინა ხელისუფლების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა და ვინც ჩვენ, მათი გამარჯვების შემთხვევაში, როგორც ერთმა მწერალმა აღნიშნა, აუცილებლად დაგვიჭერდა. მე კარგად მესმის, რომ ე.წ. "პროტოკოლით" აუცილებელი იყო მოქმედი პარლამენტის წევრების დაპატიჟება, მაგრამ იქ ბევრი არც თუ ისე პროტოკოლური ფატალურობით განსაზღვრული ადამიანი იდგა. მე ასევე ვხვდები, რომ დაპატიჟებულთა სიას ისევ ის ხალხი ადგენდა და არიგებდა, ვინც წინა მთავრობის დროს ისწავლეს ამის კეთება. მე შემიძლია ბოროტად ვიხუმრო, რომ თუკი შევარდნაძე და მისი ოჯახი არ იყო დაპატიჟებული, მხოლოდ იმიტომ, რომ "ძველ" სიებში ისინი არ ფიგურირებდნენ: ისინი ხომ მაშინ თვითონ იყვნენ მასპინძლები. ამრიგად, ინაუგურაციის დღეს მივიღეთ ძველი პროტოკოლური კონტინგენტი პლუს ახალი სახეები (მაგ. ყოფილი "დაუმორჩილებლები").

ეს ყველაფერი კი ერთ სევდიან ამბავს მიუთითებს: კანცელარიაში, ანუ, იმ ადგილას, საიდანაც მოსაწვევები დარიგდა, ვერ განიცადეს, ვერ იგრძნეს, რა მოხდა ნოემბერში. მათთვის ძველ ხალხზე მხოლოდ ახალი ხალხის "დამატება" განხორციელდა. მათ მიიღეს ცოდნა, რომ წინა ხელისუფლება დაემხო, მაგრამ მათ არ მიუღიათ ამის შესაბამისი გამოცდილება. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგანაც ხშირ შემთხვევებში ახალი ხელისუფლება დამღუპველ თავდაჯერებულობას ავლენს და წინა ხელისუფლების სრულუფლებიანი მემკვიდრესავით იქცევა.

თუმცა, ესეც არ არის გასაკვირი: როგორც გაირკვა, არც ჩვენი დიდი მეგობრის, აშშ-ს საქართველოს წარმომადგენლობებში თვლიან, რომ რაიმე შეიცვალა: სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი უნდა შეხვედროდა 100 ადამიანს, რომლებმაც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში წვლილი შეიტანეს. დაპატიჟებულებს შორის არ აღმოჩნდნენ არც "თავისუფლების ინსტიტუტის" ხალხი, არც "დაუმორჩილებლები", არც "კმარას" წევრები. სამაგიეროდ, სტუმრებს შორის იყვნენ ყოფილი ხელისუფლების - სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები (აწ ოპოზიცია), აგრეთვე ისინი, ვინც ნოემბერში ხელისუფლებას ჩვენი დაჭერისკენ და დასჯისაკენ მოუწოდებდა და ასევე ისინიც, რომლებიც წინა მთავრობასთან სანაქებო თანამშორმლობით და ზღვარსგადასული კონფორმიზმით გამოირჩეოდა.

ამ შემთხვევაშიც, შეხვედრის მომწყობებმა განათლებას და ცოდნას გამოცდილება არჩიეს. მაგრამ ესეც არ არის მათი ბრალი. მანამ, სანამ ხელისუფლება და ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, თანაც უმოკლეს ვადებში, რომ განათლება და გამოცდილება საქართველოში ურთიერთდაპირისპირებული კი არა, ერთმანეთზე დაყრდნობილი და ურთიერთგამომდინარე ცნებებია, მანამ ყველა, და არა მარტო საქართველოს მოქალაქეები, საქართველოსთან მიმართებაში აირჩევენ, იმოქმედონ არა მრავლის მომტანი, მაგრამ სარისკო მომავლის გათვალისწინებით, არამედ უსაფრთხოდ - მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციაზე დაყრდნობით.

ინაუგურაცია მშვენიერ ამინდში

ლაშა ბაქრაძე

ძალიან გამიჭირდა VIII სექტორამდე მისვლა. ხალხის მასები, რომლებიც საოცარ ორგანიზებულობას იჩენდნენ რევოლუციის დროს, ერთმანეთს ერთ გოჯსაც არ უთმობდნენ. ძნელი იყო ამ ჭყლეტვაში გაღწევა. აღარც პოლიციელები იყვნენ რევოლუციურად კეთილგანწყობილნი.

ბოლოს, როგორც იქნა, VIII სექტორს მივაღწიე. აქედან შეუძლებელი აღმოჩნდა ინაუგურაციისთვის თვალის დევნება. სამაგიეროდ, საუკეთესოდ ჩანდნენ ძველი და ახალი ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც ერთი საფეხურით მაღლა იდგნენ ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლებზე და სექტორის საზღვრებს გარეთ მდგარნი, პრეზიდენტისკენ ხედს გვიკეტავდნენ.

თუ ქართველი ერის გაერთიანება რევოლუციონერებისა და მარადიულად ხელმწიფის ნავში მჯდომ მედროვეთა გაერთიანებას გულისხმობს, ჩემი რწმენა უკეთესი მომავლისა, ცოტა არ იყოს,ირყევა.

საერთოდ, ხშირად ისმის ამ ბოლო დროს, რომ მავანისა და მავანის გარეშე, რომელმაც თურმე მართვა იცის (ხშირად ეს გულისხმობს ტელეფონზე დარეკვის ხელოვნებას), ან, მაგალითად, ღონისძიებების მოწყობის განუმეორებელი სპეციალისტია - არაფერი გამოვა და ახალ საქართველოშიც მათ რაიმე ძვირფასი ადგილი უნდა მოეძებნოთ.

ეს შევარდნაძის შეუცვლელობის რიტორიკას მაგონებს (ამ საქმის სპეციალისტის ანასტას მიქოიანისა არ იყოს: "Бюрократия - как стая ворон: спугнешь - пересядут с одной ветви на другую).

მასმედიებიც ძალას არ იშურებენ, რომ სროში შემძვრალი ჩვეული სახეები არ დაგვავიწყონ. მათ შექმნეს ერთი მუჭა "ცნობადი სახეები" და მათვე უჭირთ, მათ შეელიონ. რევოლუციის შიშით მიმალულებს გაზეთების გვერდებზე და ტელეეკრანებზე ისევ ჭკუას ეკითხებიან.

ხალხი, რომელსაც არც წინათ და არც ახლა არანაირი აზრი არ გააჩნია და ბოღმიანი, არაკონსტრუქციული კრიტიკის მეტი არაფერი შეუძლია, ვერ შექმნის აზრთა სხვადასხვაობას და დემოკრატიული პლურალიზმის ილუზიას. მესმის, რომ გვინდა არსებობდეს და კარგიც იქნებოდა ნამდვილი ოპოზიცია, მაგრამ რეალურად ასეთი დღეს არ არსებობს.

განსაკუთრებით საშიში ტენდენცია შეინიშნება დღეს, როდესაც შევარდნაძის კრიტიკა გამსახურდიას რეაბილიტაციასთანაა გაიგივებული. შევარდნაძის მეორედ მოსვლა, ნაწილობრივ მაინც, გამსახურდიას პოლიტიკის შედეგი და რეაქცია იყო.

ზედმეტი შემორიგება, ყველას სიყვარული და ყველას ყველაგან ერთად დგომა შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს.

ინაუგურაციის ცერემონიის შემდეგ პირდაპირ კონცერტზე გავეშურე, კიდევ ერთხელ - ახლა ელიტურ - ჭყლეტვაში რომ არ მოვყოლოდი.

კონცერტი კარგი იყო, თუ არ ჩავთვლით კომკავშირულად ყალბ პათეტიკურ ტექსტებს, რომლებმაც რატომღაც ორჯერ გაწყვიტა კონცერტი. სხვათა შორის, ოპერაში, მესამე იარუსზე, იქ, სადაც მე ვიჯექი, სულ ბოლო რიგში საქართველოს გენერალური პროკურორი ირკლი ოქრუაშვილი იჯდა. თავმდაბლობის ასეთი მაგალითი ჩვენში ჯერ კიდევ დიდ იშვიათობას წარმოადგენს...

სამწუხარო იყო ის, რომ ახალგაზრდა და ჯერ არამორგებულ მუსიკოსთა დაგეგმილი კონცერტი (რომლებიც ავდარში რევოლუციისთვის პარლამენტის წინ კონცერტებს მართავდნენ) არ შედგა.

ამინდით კი ნამდვილად ძალიან კმაყოფილი დაგირჩით.

დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი

ლაშა ბუღაძე

ოცდახუთი იანვარი. რუსთაველის პროსპექტი. მრავალი ათასი ადამიანი. ყველა ასაკისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი. ოპოზიციური პარტიების ლიდერები. ტრიბუნიდან ისმის ოპოზიციური პარტიების ლიდერების სიტყვები. ისმის ის, რაც ამ ადამიანების უმრავლესობამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ათასჯერ მაინც გაიგონა. ისმის ის, რაც ამ ადამიანების უმრავლესობამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ათასჯერ მაინც თქვა. ისმის ის, რაც ამ ადამიანების უმრავლესობამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ათასჯერ მაინც იფიქრა. ისმის ის, რაც ამ ადამიანების უმრავლესობამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ათასჯერ მაინც იგრძნო. ისმის ის, რაც ამ ადამიანების უმრავლესობამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ათასჯერ მაინც იცოდ

www.24hours.ge 24 B

ნოემბრის სტუმარი

მელორ სტურუა: "ჟურნალისტიკაში სწორის დეფიციტია"

ჟურნალისტი, რომლის სტატიებიც ყველაზე ხშირად იბეჭდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის პრესაში და ყველაზე მეტი გატაცებითაც იკითხებოდა - მელორ სტურუა დღესაც აქტუალურია და, უკვე 40 წელია, დედამიწის ერთ მეექვსედს აკითხებს თავის სტატიებს. ცნობილი ჟურნალისტი მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ინაუგურაციასთან დაკავშირებით მინეაპოლისიდან სამშობლოში სამი დღით დაბრუნდა და რედაქციაში გვეწვია.

მელორ სტურუა "24 საათის" რედაქციაში.





ილიკო ლოლაშვილის ფოტოები

სამწლიანი განშორების შემდეგ

მე აქ ახალმა ხელისუფლებამ მომიწვია, მაგრამ ჩემი ხარჯით ჩამოვედი – არ მინდოდა, ტვირთად დავწოლოდი საქართველოს; ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. მთავარი ის არის, რომ შეცვლილი ხალხი დავინახე, საზოგადოება, რომელსაც ერთად დგომა სურს.

რამდენიმე წლიანი განშორების შემდეგ, ცხადია, სენტიმენტალური გრძნობები მომაწვა, მაგრამ სიტუაციის შეფასებას მაინც ფხიზელი თვალით შევეცადე. ახლანდელი ხელისუფლების წინაშე ძალიან დიდი ამოცანა დგას. შეცდომები რომც არ დაუშვას, ახალ მთავრობას მაინც დიდი დრო დასჭირდება იმისთვის, რომ ქვეყანა ჭაობიდან ამოიყვანოს - ვგულისხმობ ეკონომიკურ სიდუხჭირესაც და დიდ მორალურ დარტყმებსაც, რასაც საქართველო ბოლო წლების განმავლობაში განიცდიდა. ამბობენ, რომ იმედი ბოლოს კვდება, მაგრამ ის ხომ ჯერ იბადება. კვირას, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს სწორედ ამ იმედის დაბადების მოწმე გავხდით მეც და მთელი ქვეყანაც.

ახალი პრეზიდენტი იწყებს მოღვაწეობას და მას ხელთ ორი დიდი კოზირი უპყრია: პირველ რიგში, დასავლეთის, კერძოდ კი, ვაშინგტონის დიდი დახმარება, მეორე მხრივ - ხალხის ნდობა და დიდი სიყვარული. მგონი, სიმბოლური იყო, რომ ინაუგურაციას მზიანი, საზეიმო ამინდი დაემთხვა, დღეს კი უკვე აცივდა - კვირა დღე დამთავრდა, ორშაბათი გათენდა და ხალხმაც სამუშაო განწყობა უნდა დაიბრუნოს.

ახალი ხელისუფლება და წარსული

ჩემი აზრით, ძალზედ სიმბოლურია ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი ახალგაზრდაა, რადგან, მგონია, რომ ძველი პატრიარქების დრო, რომლებიც ქვეყნის სათავეში იდგნენ, ამოიწურა. ახალმა დრომ ახალგაზრდა მმართველის ფენომენი მოიტანა. ძველი პატრიარქები ახალი ცხოვრების მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებენ – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ იციან კომპიუტერთან მუშაობა, არ იცნობენ ახალ ტექნოლოგიებს, და არც ის იციან, თუ რას ფიქრობს და რა სურს ახალ თაობას; ეს წარსულ ეპოქაში ჩარჩენილი ძველი ლიდერები ყავლგასულ იდეებს ტკეპნიან და მათ საზოგადოებასაც აძაღლებენ. ბუნებრივია, მათ პატივს უნდა ვცემდეთ, როგორც წარსულის რელიქვიებს, როგორც ძველ, ისტორიულ ძეგლებს. და როგორც ძეგლია უძლური, ახალ ცხოვრებას ჩაუყაროს საფუძველი, ასევე - ძველი ლიდერები.

დარწმუნებული ვარ, რომ ახალი პრეზიდენტი ხელისუფლებაში ნიჭიერ ახალგაზრდებს მოიყვანს. ახალგაზრდას კი, ძალაუფლებაზე მეტად, ექსპერიმენტები აინტერესებს, სიახლეებს ეძებს; ამ პროცესს, საბოლოო ჯამში, პროგრესი მოჰყვება.

საქართველომ ისედაც ძალიან ბევრი მოითმინა. ის მრავალგზის მოატყუეს. იმედები გაუცრუეს დამოუკიდებლობის მოპოვების დროსაც და მას შემდეგაც, რაც ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა. აი, სწორედ ტყუილების ეს მარაგი ამოწურა შევარდნაძის ხელისუფლებამ და ამ ნეგატიურ მოვლენას მოჰყვა ძალზე ლოგიკური და დადებითი შედეგი – ხალხმა ვეღარ აიტანა სიცრუე და მოისურვა ხელისუფლება, რომელიც სიტყვას საქმედ აქცევდა; საზოგადოებამ აღარ მოინდომა ცხოვრება რეგრესულ გარემოში - ქვეყანაში, რომელიც უკან მიდის, როგორც ეკონომიკურად, ისე მორალურად. რა თქმა უნდა, არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ შეიძლება სრული თანასწორუფლებიანობის დამყარება (და ამიტომაც არის ის დემოკრატიული); არ შეიძლება, ყველა ერთნაირ ხელფასს იღებდეს, ყველას ერთნაირი სტატუსი ჰქონდეს, მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები. პრინციპში, ეს არის კიდეც დემოკრატიული სახელმწიფოს საძირკველი. სახელმწიფომ სწორედ ეს უნდა უზრუნველყოს. მისი ვალია, გიცავდეს გარე და და შიდა მტრისგან. ამიტომაც მენიშნა ერთი ფრაზა სააკაშვილის საინაუგურაციო სიტყვაში, - აქამდე მთავრობა თავს იცავდა ხალხისგან, ახლა მთავრობამ უნდა დაიცვას ხალხიო, - როცა თქვა. და მართლაც, სულ ვამბობთ, რომ მთავრობა ხალხის მსახურია და საბოლოოდ კი გამოდის, რომ ეს მსახური ბატონზე – ხალხზე უკეთ ცხოვრობს. რატომ ხდებოდა ეს? იმიტომ, რომ მთავრობა აქამდე თვითნებურად ბატონობდა.

რა სჭირდება ახალ საქართველოს

ვუყურებდი გუშინ აღლუმს და ვფიქრობდი - ჩვენ რომ იმ წლებში ძლიერი ჯარი გვყოლოდა, საქართველო არ დაიშლებოდა; აფხაზეთის პრობლემა იმიტომ ვერ დავძლიეთ, რომ, სამხედრო თვალსაზრისით, უძლურნი ვიყავით. დღეს, მიმაჩნია, რომ კარგად აღჭურვილი და გაწვრთნილი ჯარი საქართველოსთვის იგივე უნდა იყოს, რაც სხვებისთვის ბირთვული იარაღია – ბირთვული იარაღი ხომ მხოლოდ მტრის დასაშინებლად სჭირდებათ. დაე, ჩვენი ჯარის შემხედვარე მტერიც დაფრთხეს.

გარდა ამისა, თუ საქართველო ფეხზე დადგება და ეკონომიკურად აღორძინდება, აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და აჭარაშიც პროცესები თავისთავად შემობრუნდება სასიკეთოდ. თუმცა, ამ ყველაფერს დრო სჭირდება და საზოგადოებამ ეს აუცილებლად უნდა გაიაზროს. ქართველები უნდა შეეგუონ იმას, რომ სააკაშვილი შეიძლება გენიალური პრეზიდენტი იყოს, მაგრამ ის იესო ქრისტე არ არის. მას არ შეუძლია ხვალ წყალი ღვინოდ გადააქციოს - ანუ მას არ შეუძლია საქართველო ხვალვე, ერთი ხელის დაკვრით გააერთიანოს. ეს ხალხმა მისგან არც უნდა მოითხოვოს. ერთადერთი პრეტენზია და სურვილი, რაც მის მიმართ უნდა გვქონდეს, არის ის, რომ სააკაშვილმა სახელმწიფო კურსი სწორედ ამისკენ მიმართოს. არ შეიძლება ვიწუწუნოთ, - გუშინ ავირჩიეთ და დღეს ისევ ესე ვცხოვრობთო. ის ხომ სასწაულმოქმედი არ არის; სასწაულს ჩვენვე თუ მოვახდენთ, სხვა – ვერავინ.

უნდა აღდგეს ქართული სოფელიც. ამისთვის სოფელი კი არ უნდა ჩამოვიდეს ქალაქში, არამედ პირიქით – ქალაქელები უნდა დაუბრუნდნენ სოფლებს თავიანთი ცოდნითა და თანამედროვე ტექნიკით. არ არსებობს ძლიერი ქვეყანა სუსტი სოფლის მეურნეობით, რადგან ეს უკანასკნელი კვებავს მას და ეს საქართველოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

გუშინ ბევრ ღონისძიებას ვესწრებოდი და ვფიქრობდი, რომ ქართველებმა თავიანთი ტემპერამენტი საქმეში უნდა გამოავლინონ. ახლა ხომ საქართველოს მსოფლიოში მეტად იცნობენ. საქართველოს თემა მაშინ წამოიწევს ხოლმე წინა პლანზე, როცა აქ ისტორიული ძვრები ხდება. და თუ ეს ძვრები დადებითია, ცხადია, ჩვენი საერთაშორისო იმიჯისთვისაც კარგია, მაგრამ არ შეიძლება ქვეყანა მხოლოდ ასეთი დღეებით ცხოვრობდეს. მე, პირადად, მირჩევნია, საქართველო სულ არ ახსენონ ამერიკულ პრესაში და აქ ყველაფერი კარგად ვითარდებოდეს, ვიდრე ყურადღების ცენტრში იყოს მორიგი რევოლუციის, მორიგი კონტრრევოლუციის, მორიგი სამოქალაქო ომის გამო. ასეთი პოპულარობა ჩვენ არ გვჭირდება, წყნარი პოპულარობა გვირჩევნია - თუნდაც შვეიცარიის მსგავსი. მასზე არაფერს წერენ, მაგრამ მაინც სამაგალითო ქვეყანაა და ღმერთმა ჩვენც გვარგუნოს შვეიცარიის ბედი.

თუმცა, აქვე გულახდილად გეტყვით, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ასეთი პერიოდული პოპულარობისა, ამერიკელები საქართველოს მაინც არ იცნობენ და არც უნდათ, იცნობდნენ, ისევე, როგორც უზარმაზარ ქვეყნებს. ისინი სხვა პლანეტაზე ცხოვრობენ. ამერიკულ ტელევიზიას რომ უყურებ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დედამიწაზე მხოლოდ ამერიკა არსებობდეს. სხვა ქვეყნები ტელეეკრანზე არ ჩანს იმიტომ, რომ რიგით ამერიკელებს არ აინტერესებთ და, შესაბამისად, ტელევიზიაც არ აჩვენებს; გაცილებით მეტად ინტერესდებიან, თუ ვინმე მკვლელს დაიჭერენ ამერიკაში და ამაზე 24 საათის განმავლობაში საუბრობენ. ამიტომაც არ უნდა გვტკიოდეს გული, ამერიკელები თუ არ გვიცნობენ. ისინი ხომ არც არავის იცნობენ და არც არავის ცნობენ. მაგრამ, ჩვენ პატრიოტები ვართ და ეს მაინც გვწყინს; არადა, შენ თუ მეტი იცი მის ცხოვრებაზე, კულტურაზე, ესე იგი უპირატესობა შენ მხარესაა.

თუნდაც ოპერაში გამართული შესანიშნავი კონცერტი გავიხსენოთ; დარბაზში მესმოდა, - ახლა ნახონ ამერიკელებმა რა კულტურის ერი ვართ. მე კი გულში ვფიქრობდი, რა უნდა ნახონ, მათ ეს არ ესმით-მეთქი.

წერილები

მინეაპოლისის გაზეთებთან იშვიათად ვთანამშრომლობ. ვიბეჭდები, ძირითადად, დიდ ამერიკულ გაზეთებში - "ნიუ იორკ ტაიმსში", "ვაშინგტონ პოსტში", "ლოს ანჯელეს ტაიმსში". თუ არ ხარ რედაქციის მუდმივი თანამშრომელი, იშვიათად იბეჭდები. "ნიუ იორკ ტაიმსში," მაგალითად, წელიწადში ორჯერ შეიძლება დაიბეჭდოს უცხო ავტორის სტატია. თუმცა, ეს დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა მნიშვნელობის მოვლენები ხდება. 18 აგვისტოს, როცა ხუნტამ გორბაჩოვი გადააყენა, 54-ჯერ გამოვედი რადიოსა და ტელევიზიაში ერთი დღის განმავლობაში, რადგან არც ერთ რუს ჟურნალისტს და დიპლომატს არ ეყო გამბედაობა, ეთქვა, რომ ხუნტა ფაშისტური, ტერორისტული, ტოტალიტალური კომუნიზმის წარმომადგენლების მოწყობილი იყო და მათ ლიბერალური მიმართულების პრეზიდენტი ჩამოაგდეს. მათ ეგონათ, რომ ისევ ძველი დროება დადგებოდა და ეშინოდათ. ხუნტამ გამოგზავნა ვაშინგტონში კაცი, რომელიც ჩვენ ელჩს თეთრ სახლში უნდა წარედგინა. მე ვთხოვე ელჩს, ეს არ გაეკეთებინა. მან მომიგო, - შენ აქ ხარ და არ გეშინია, მე კი სამსახურიდან გამაგდებენო. ეს ვეღარ მოვითმინე და ვუპასუხე, - შენ შენი ოჯახიანად აქ ცხოვრობ, ვაშინგტონში, მე კი მარტო ვარ და ცოლ-შვილი მოსკოვში მყავს. შენ იმის გეშინია, რომ სამსახურს დაკარგავ, მე კი ჩემი ოჯახის დაკარგვის საფრთხე მემუქრება-მეთქი. მერე "ამერიკის ხმის" ეთერშიც გამოვედი რუსულად, და ჩემი სათქმელი იქაც ვთქვი. შემდეგ სასაცილო ის იყო, რომ, როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, მომილოცეს, - ჩვენ გავიმარჯვეთო. დღეს საქართველოშიც ბევრია ასეთი – გუშინ იმ რეჟიმს რომ ასხამდნენ ხოტბას და დღეს ახალთან მორგებას ცდილობენ.

აკრძალული თემები და შვება ფეხბურთში

ჩემი წიგნი, რომელიც 1966 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზეა, ძალიან პოპულარული იყო. იმ დროს ფეხბურთი მხოლოდ პოპულარული და ბევრისთვის საყვარელი სპორტი კი არ იყო, გრძნობების თავისუფლად, უშიშრად გამომჟღავნების საშუალება. მაშინ ფეხბურთში ვაქსოვდით მთელ აკრძალულ ემოციებს. ეს ის დრო იყო, როცა 40 ათასი კაცი ერთად თავს იყრიდა მხოლოდ 7 ნოემბერს ან 1 მაისს.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირში მე პირველმა ვახსენე "ბითლზი" პოზიტიურად. რა დიდი გმირობაა, მაგრამ მაშინ იყო.

რა თქმა უნდა, იყო აკრძალული თემები, მაგალითად ვერ იტყოდი, რომ ბრეჟნევი სულელია. თუმცა, მაქსიმალურად ვცდილობდი, ჩემი აზრი გაბედულად გამომეხატა. ერთხელ, სათაურით "ღორობა უოლ სტრიტზე", ე.წ. "ბურჟუული" ისტორია შევაპარე რუსულ გაზეთს – ერთმა ნიუ იორკელმა შენიშნა, რომ მეტროდან უოლ სტრიტზე განსაზღვრულ დროს გამოჩნდება ხოლმე ქალი უზარმაზარი ბიუსტით. შემდეგ ეს ორმა შეამჩნია, სამმა, ათმა და ბოლოს ამ ქალის გამოჩენას ცნობისმოყვარეთა მთელი ბრბო ელოდა ხოლმე. მე ეს ამბავი დავწერე და გავგზავნე მოსკოვში, თან ფოტოც დავურთე. სათაურის გამო, ალბათ, ეგონათ, რომ უოლ-სტრიტის ფინანსურ მაქინაციებზე ვწერდი.

"გულწრფელად მხოლოდ კალმით ვწერ"

ყოფილი საბჭოთა სივრცისთვის აქტუალურ მასალას დღესაც ადვილად მოვიპოვებ. რუსულ გაზეთებთან ახლაც ვთანამშრომლობ, მაგრამ მათ უკვე ჰყავთ თავიანთი კორესპონდენტები ვაშინგტონში, რომლებიც ოფიციალურ პოლიტიკურ ქრონიკებს აშუქებენ. მე გამოვეთიშე ამ პროცესს და ვწერ მხოლოდ ყოფით ამბებზე, რადგან, ვფიქრობ, რომ ეს ნიუანსები მკითხველისთვის უფრო საინტერესოა ამერიკული ხასიათის გასაცნობად.

ახლა ჟურნალისტიკაში სტილის დეფიციტია. წინათ გაცილებით უკეთ წერდნენ, ვიდრე დღეს, იმიტომ, რომ ისინი უყურებენ მოვლენას, მობილური ტელეფონით გადასცემენ და ამით იფარგლებიან. ეს ტელეჟურნალისტიკის ოპერატიულობისთვის კარგია, მაგრამ პრესისთვის უღიმღამოა. წერის დროს შეგიძლია საინტერესო წვრილმანებიც შენიშნო. მაგალითად, სულ სხვაა, როცა წერ, ბუშს ფერმერივით ეცვა, ხოლო პუტინს არმანის კოსტუმი და პრადას ფეხსაცმელი – მსგავსი ამბები უფრო იკითხება. მე, პირადად, თავიდანვე გამოვიმუშავე წერის ოთხი მეთოდი. როდესაც მოწინავე სტატიას ვწერდი, ტექსტს სტენოგრაფს ვკარნახობდი, რადგან ჩვენი ბელადის გამოსვლებში არაფერი იცვლებოდა. თუ უფრო მაღალი დონის წერილს ვწერდი, მაშინ ვკარნახობდი მბეჭდავს, რადგან თან შემოწმებაც შემეძლო. თუ კიდევ უფრო სერიოზულ თემას ვეხებოდი, თვითონ ვბეჭდავდი და თუ ნამდვილად ვწერდი, ვწერდი კალმით. ასეა დღესაც...

თეატრები

ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
“დონ ჯოვანი”
დას: 18:00 სთ.

თეატრალური სარდაფი
ჟან-ჟაკ ბრიკერი
“ინსტიქტი”
რეჟისორი ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

"სახიობა"
ნინოობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი
დას: 15:00 სთ

პანტომიმის თეატრი
გურამ დოჩანაშვილი
“ფიროსმანი მეფე” (პანტომიმური ნოველები)
დამდგმელი რეჟისორი ამირან შალიკაშვილი (უმცროსი)
დას: 18:00 სთ.

კლუბები

“აჭარა მიუზიკ ჰოლი”
“ასსა-ფართი”
დას: 22:00 სთ.
ფასი: ფეხზე მდგომთათვის – 25 ლარი; მაგიდასთან – 40; VIP – 60 ლარი.

კინო

რუსთაველი
"სად არის ნემო"
(ქართულ ენაზე)
დას: 14:00; 16:00 სთ.

“ძალიან საშიში კინო 3”
დას: 12:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

ამირანი
“ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება”
დას: 10:00; 13:30; 17:00; 21:00 სთ.
ფასი: 5-12 ლარი

გამოფენა

“კოპალა”
ჟანრი ლოლაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

გოეთეს ინსტიტუტი
შტეფან მოზესის ფოტოსურათების რეტროსპექტივა

TMS
ბიძინა გუჯაბიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
ალექსი (ალი) ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
“ქრისტიანული ხელოვნება”
მე-3 სართული

ნინო სურგულაძის ორი „სახლი”

მილანი-თბილისი ახალგაზრდა მომღერლის თვალით

ნინო სურგულაძეს თბილისში უკეთ იცნობენ, ვიდრე მის ბევრად გამოცდილ, ასაკოვან კოლეგებს. ახალგაზრდა მეცო-სოპრანოს პოპულულარობა მისმა ბოლოდროინდელმა წარმატებებმა განაპირობა. მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს მუსიკალურ ცენტრში, “ლა სკალას” აკადემიაში სწავლის და სკალასავე თეატრში საინტერესო გამოსვლების შემდეგ, იგი მაშინვე მოექცა პრესის ყურადღების ცენტრში. თბილისში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიალზე, იგი ისეთი ვარსკვლავების გვერდით წარდგა, როგორებიც პაატა ბურჭულაძე, ლექსო თორაძე, ნინო ანანიაშვილი, ბადრი მაისურაძე, ალექსანდრე კორსანტია, ირმა ნიორაძე, ლიანა ისაკაძე თუ თამარ ჯავახიშვილია. ერთი მხრივ, დიდი პატივი, ხოლო მეორე მხრივ – პასუხისმგებლობა ახალგაზრდა მომღერალმა ღირსეულად დააფასა. ნინო სურგულაძეს ოპერაში, ინაუგურაციის ცერემონიალის დროს შევხვდით:

ნინო სურგულაძე.

მადი სერებრიაკოვა

- პრეზიდენტის ინაუგურაციის აღსანიშნავი კონცერტისთვის თბილისში ძალიან ბევრმა მნიშვნელოვანმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი, მათ გვერდით შენც მიიღე მონაწილეობა კონცერტში. რატომ დაიმსახურა, შენი აზრით, ამ მოვლენამ ასეთი დიდი ყურადღება და დაფასება მუსიკოსების მხრიდან?

- ფაქტია, რომ ეს მოვლენა არამარტო ჩემთვის და აქ გამომსვლელი ყველა მუსიკოსისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სააკაშვილმა საოცარი მხარდაჭერა, ამომრჩეველთა ხმების 96 პროცენტი დაიმსახურა და ეს იმის ნიშანია, რომ ხალხს მისი იმედი აქვს. ახალგაზრდაა, ენერგიული, ტემპერამენტიანი, მასთან ერთად, მე ვფიქრობ, საქართველოსაც დიდი მომავალი აქვს. ძალიან გამიხარდა, როდესაც ინაუგურაციაში მონაწილეობის მიღება შემომთავაზეს. ძალიან მეამაყება ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, თანაც ასეთი შემადგენლობის გვერდით.

- რამდენად მართებულია, რომ ხელოვანი ადამიანები მონაწილეობენ ისეთ მოვლენებში, რომლებიც გარკვეულწილად პოლიტიკურ დატვირთვას ატარებენ?

- ეს არ არის პოლიტიკა, მოდი ასე ვთქვათ – ეს არის სახალხო ზეიმი. პოლიტიკა შეიძლება ვუწოდოთ ისეთ მოვლენას, როდესაც რომელიმე მომღერალი კონცერტს მართავს საარჩევნო კამპანიის დროს, რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად. ამ შემთხვევაში კი, მე მხარს ხალხის არჩევანს ვუჭერ. ის უკვე საქართველოს კანონიერი პრეზიდენტია. ისე, ჩემის აზრით, ხელოვანი რაც უფრო აპოლიტიკურია, მით უფრო საინტერესოა. ის არის ჭეშმარიტი ხელოვანი. თუ ადამიანი ხელოვნებაში, შემოქმედებაშია ჩაფლული, მას პოლიტიკისთვის, უბრალოდ, აღარ სცალია.

- დავარქვათ მაშინ ამას პატრიოტული ინტერესი. რა უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში – პატრიოტული პოზიცია, თუ ის ფაქტორი, რომ ეს ძალიან პრესტიჟული კონცერტია და ასეთი გამოჩენილი კოლეგების გვერდით გიწევს გამოსვლა?

- პრეზიდენტის ინაუგურაცია დიდი მოვლენაა. ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მუსიკოსები გამოვლენ – მე, როგორც მაყურებელი, უდიდეს სიამოვნებას მივიღებ. მაგრამ ჩემთვის, პირველ ადგილზე ჩემი ხელოვნება დგას. სადაც არ უნდა ვიყო და ვის გვერდითაც არ უნდა გამოვდიოდე, მთავარია მივცე და ვაჩუქო მსმენელს ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი. კიდევ ერთი მომენტია - ამ კონცერტზე მე ძალიან სასიამოვნო შეხვედრები მექნება ისეთ ადამიანებთან, ჩემს კოლეგებთან, რომლებთან ერთადაც მე უკვე ნამღერი მაქვს დიდ სცენაზე. პირველ რიგში ვგულისხმობ პაატა ბურჭულაძეს, “სკალაში” ჩვენ “ბორის გოდუნოვში” გვაქვს მამა-შვილი ნამღერი ერთად.

- რამდენად რთულია ასეთი კოლეგების გვერდით დგომა?

- რა თქმა უნდა, რთულია და ძალიან საპასუხისმგებლო. ძალიან ვღელავ კიდეც. თუმცა ეს მღელვარება ნებისმიერ კონცერტს და სპექტაკლს ახლავს. თუ მღელვარება არ არის, ესე იგი არაფერი არ არის. სწორედ ეს მღელვარება განაპირობებს იმ განწყობილებას, ენერგეტიკას, რომელიც აუცილებელია, რათა შედგეს კონტაქტი მაყურებელთან.

- იტალიაში ყოფნისას თუ ადევნებდი თვალყურს ნოემბრის მოვლენებს და როგორ აფასებდი მათ?

- ამ ამბებს მე კი არა, მთელი იტალია ადევნებდა თვალყურს. ძალიან ვღელავდი. ჩემი ოჯახი, მეგობრები, ახლობლები – ყველანი აქ არიან. და ახლა ძალიან ამაყი ვარ და ძალიან ბედნიერი, რომ ეს ყველაფერი დასრულდა უსისხლოდ, ლამაზად და მსოფლიომ დაინახა ქართველი ხალხის ორგანიზებულობა. ჩვენმა ხალხმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ მზად ვართ ვიყოთ ევროპის ნაწილი. ჩვენ ყოველთვის ვიყავით ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი, თუმცა, ყველა ერს აქვს გარკვეული მძიმე პერიოდები. რაც მთავარია, ჩვენ ყოველთვის ღირსეულად ვაჩვენებდით ჩვენს სახეს მსოფლიოს. ამჯერად უკვე პოლიტიკურ ასპარეზზეც დავამტკიცეთ ჩვენი ღირსება.

- ნინო, თუ ახდენდა გავლენას შენს კარიერაზე, შემოქმედებით ცხოვრებაზე აქ მიმდინარე არცთუ სასიამოვნო პოლიტიკური პროცესები, ეკონომიკური, სოციალური კატაკლიზმები? - ცნობილია, რომ განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებიდან წამოსული სტუდენტები გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ. თუმცა ზოგჯერ ეჭვის თვალითაც უყურებენ ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს.

- რა თქმა უნდა, მოვლენები, რომლებიც აქ ხდება, აისახება ჩვენზე. მაგალითად, შემიძლია გავიხსენო კალაძის ძმის, ან სხვათა მოტაცების ფაქტები. ეს ნამდვილად არ გვიქმნის კარგ იმიჯს და ეს ძალიან მოქმედებს ჩვენს თავმოყვარეობაზე. მიუხედავად ამისა, მე მაინც ყოველთვის ვამაყობდი, რომ ქართველი ვარ და არ მახსენდება, რომ ვინმეს ეს არ მოსწონებოდა.

- მაგრამ ბევრი შენი კოლეგა ჩივის, რომ დასავლეთში მათგან ხშირად ათჯერ უფრო მეტს მოითხოვენ, ვიდრე ადგილობრივი შემსრულებლისგან ...

- ეს ყოველთვის იყო. ყველამ იცის, თუ რა სოციალური მდგომარეობაა ჩვენთან. მაგრამ, არის ინდივიდუალური ფაქტორიც: გააჩნია, შენ თვითონ როგორ წარმართავ შენს კარიერას. მე ბევრ ქართველს ვიცნობ იტალიაში, რომლებსაც ძალიან დიდ პატივს სცემენ.

- ინაუგურაციის ცერემონიალზე “კარმენს” მღერიხარ, ოქტომბერში უკვე შეასრულე თბილისში გაი ონიანთან და თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (ვახტანგ კახიძის ხელმძღვანელობით) ეს პარტია. რამ განაპირობა შენი ასეთი ინტერესი კარმენის მიმართ, პირადი სიმპათიაა პერსონაჟისადმი, თუ საერთო სტერეოტიპი, რომ მეცო-სოპრანო კარმენის სახესთან ასოცირდება?

- ალბათ ყველაფერი ერთად, ჩემი პირადი სიმპათიები მისი პერსონაჟის, მისი თავისუფლებისკენ სწრაფვის მიმართ. მსოფლიოში ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ კარმენი უნდა იმღეროს უფრო გამოცდილმა, ცხოვრებანანახმა მომღერალმა, თუმცა მე ვთვლი, რომ ეს უბრალოდ შტამპია და მეტი არაფერი. სინამდვილეში კარმენი ახალგაზრდაა, ლამაზი, ტემპერამენტიანი.

- ქართულმა მასმედიამ აქტიურად გააშუქა შენი გამოსვლა წელს "ლა სკალას" თეატრში, საშობაო კონცერტი "სკალას" ორკესტრთან. რით იყო გამორჩეული ეს მოვლენები?

- გამორჩეული პირველ რიგში იმით, რომ ეს იყო სეზონის გახსნა. წლევანდელი სეზონის გახსნა კი, მოგეხსებენათ, რა დიდი მოვლენა იყო არამარტო "სკალასთვის", არამედ მთელი საოპერო სამყაროსთვის. შევასრულეთ როსინის შედევრი “მოსე და ფარაონი”, ან “მოსე ეგვიპტეში”. მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ბარბარა ფრიტოლი (იგი ჩემი შვილის როლს ასრულებდა, თუმცა 10 წლით ჩემზე უფროსია) და ელდარ აბრაზაკოვი, ახალგაზრდა ამომავალი ვარსკვლავი, ცნობილი ოლგა ბოროდინას მეუღლე. რაც მთავარია, დირიჟორობდა რიკარდო მუტი, შესანიშნავი დადგმა იყო და მას უამრავი ხალხი დაესწრო, 2 ათასზე მეტი მაყურებელი. ამ სპექტაკლის ჩანაწერი მრავალმა ქვეყანამ შეიძინა და იგი გამოვა კომპაქტ-დისკზე და DVD-ის სახით.

ამას მოჰყვა ძალზედ ამაღლებული საშობაო კონცერტი ტაძარში, "ლა სკალას" ორკესტრთან, კვლავ მაესტრო მუტისთან ერთად, რომელიც გადაიცა ტელევიზიით თითქმის მთელს ევროპაში.

- როდესაც შენს იტალიურ წარმატებებზე საუბრობენ, ძალიან ხშირად ფიგურირებს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დირიჟორის, რიკარდო მუტის სახელი. ხომ არ არის ამის მიზეზი მუტის პირადი სიმპათია, დაინტერესება შენით, როგორც პერსპექტიული მომღერლით?

- ალბათ ამას განაპირობებს ჩვენი გემოვნების თანხვედრა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი დამოკიდებულება ჩემს მიმართ და რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა, მით უკეთესი, ჩემთვის. მუტისთან მუშაობა დიდი სახელია, გამოცდილება. ძალიან ვიზრდები, როგორც შემოქმედი, როგორც პიროვნება. ეს ფაქტია, რომ დღეს იგი ქმნის ამინდს მსოფლიო მუსიკალური სამყაროში.

- როგორ განვითარდება შენი კარიერა "ლა სკალას" აკადემიის დამთავრების შემდეგ?

- მე ვარ “სკალას” სოლისტი, დაკავებული ვარ ბევრ სპექტაკლში. “სკალა”, ისევე როგორც თბილისის საოპერო თეატრი, ფაქტობრივად ჩემი სახლია, საიდანაც მე ვივლი სტუმრად უკვე სხვა თეატრებში. ამასთანავე, მე მყავს ჩემი მენეჯერი, რომელიც აწყობს ჩემთვის მოსმენებს სხვადასხვა თეატრებში. უახლოეს მომავალში მივდივარ ფრანკფურტში, სადაც შედგება ჰენდელის “არიოდანტე”, მერე ჩიკაგოში, კანადაში. კვლავ მაესტრო მუტისთან “ფალსტაფი” მელოდება.

შემდგომ “ნაბუქო” იგეგმება იტალიაში, სადაც ეს სპექტაკლი ისეთი სიყვარულით სარგებლობს, როგორც საქართველოში “აბესალომ და ეთერი”. ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მაინც “კარმენის” სპექტაკლებია, რომლებიც ტორონტოში და ჩიკაგოში მელოდება, შეიძლება იაპონიაშიც მქონდეს გასტროლი.

- ინაუგურაციის ყველა სტუმარს ვეკითხებოდი, დაბრუნდებიან თუ არა ისინი საქართველოში, თუ აქ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნება კულტურის, საოპერო ხელოვნების განვითარებისთვის. შენ თუ მოგინდება შენი კარიერის ასეთ მნიშვნელოვან მომენტში სამშობლოში დაბრუნება?

- მე პირველი ვიქნები, ვინც დაბრუნდება. თუმცა, მოგზაურობა ძალიან მიყვარს და ჩვენი პროფესიისთვის მნიშვნელოვანია სხვა თეატრებში მუშაობა. ამაზე უარს ალბათ არასოდეს ვიტყვი, თუმცა ჩემი სახლი მაინც თბილისი, საქართველოა.

გებრიელის პროფკავშირი



ცნობილმა ბრიტანელმა როკვარსკვლავმა პიტერ გებრიელმა და არანაკლებ ცნობილმა პროდიუსერმა ბრაიან ინომ, გადაწყვიტეს სათავეში ჩაუდგნენ მუსიკალურ პროფკავშირს, რათა მაღალი ტექნოლოგიების ერაში მუსიკოსების ინტერესები დაიცვან. კავშირის სახელწოდება იქნება Mudda, რაც Magnificent union of digitally downloading artists-ის შემოკლებული ვარიანტია.

“ციფრული ტექნოლოგიები მთლიანად ცვლიან მუსიკის წერისა და მიწოდების აქამდე დამკვიდრებულ ფორმებს. აუცილებელი ხდება მუსიკოსების დაცვა”, - უთხრა პიტერ გებრიელმა “ბი ბი სის” ჟურნალისტს დავოსში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე. პიტერ გებრიელმა დაოსში მონაწილეობა მიიღო სამიტში, სადაც ფართოდ განიხილეს მუსიკალური ინდუსტრიის პრობლემები. მუსიკოსს მიჰყავდა სემინარი “როგორ გავუწიოთ კონკურენცია უფასო გავრცელებას”.

ინტერნეტის ახალ ეპოქაში, როდესაც სახლის კომპიუტერიდან სრულიად შეუზღუდავია მუსიკის გადაქაჩვა, მუსიკოსისთვის აუცილებელია, გაითვალისწინოს, იცნობდეს აუდიტორიის ინტერესებს, მეორე მხრივ კი არანაკლებ მნიშვნელოვანია დაიცვას საკუთარი ფინანსური ინტერესები.

“ზოგიერთები ფიქრობენ, თითქოს ჩვენ გვსურს მუსიკალურ ბიზნესს ჩამოვაჭრათ რაღაც ნაწილი, მაგრამ ეს ასე არაა, - ამბობს პიტერ გებრიელი, - ჩვენ გვჭირდება თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში თითოეულ მუსიკოსს შეეძლება გარკვეული ზეგავლენა იქონიოს პროცესზე”.

გებრიელს მიაჩნია, რომ მუსიკოსებს აუცილებლად ესაჭიროებათ ხმისჩამწერი კომპანიები. თუმცა, შენიშნავს, რომ ამ კომპანიებს ხშირად მარკეტინგი არ უვარგათ. გერიელის აზრით, გარკვეული თვალსაზრისით ამ მხრივ გარკვეული პროგრესი შეინიშნება. მაგალითისთვის მოჰყავს 70-იანი წლები, როდესაც მუსიკოსებს არ შეეძლოთ აერჩიათ მათთვის მოსაწონი გარეკანი ალბომისთვის. რაც დღეს გასახსენებლადაც ღიმილისმომგვრელია, მაგრამ, მისივე თქმით, ასევე აუცილებელია შემდგომი ცვლილებები.

გებრიელს აოცებს იმ მუსიკოსების დუმილი, რომელთა სიმღერებსაც ინტერენეტით იწერენ მომხმარებლები. ხშირ შემთხვევაში, მუსიკოსების შემოსავლის 60 პროცენტი გაყიდული დისკების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ამიტომ, პიტერ გებრიელის აზრით, მხოლოდ სუპერ-ვარსკვლავებს შეუძლიათ თავს უფლება მისცენ უფასოდ გაავრცელონ საკუთარი მუსიკა, რამდენადაც მათ შემოსავლის სხვა, დამატებითი წყაროები გააჩნიათ. ასე რომ, მუსიკოსებს, ვისაც საკუთარი უფლებების დაცვა აინტერესებთ, პიტერ გებრიელი პროფკავშირში ეპატიჟება.

„ასსა” გაშვებულია

”სუხიშვილები” ახალ შოუს ამზადებენ

“სუხიშვილების” საკლუბო პროექტმა სახელმწიფო გამოცდა კვირას, რესპუბლიკის მოედანზე ჩააბარა. ჯერ კიდევ შარშან (იმის მიუხედავად, რომ “აკადემიური” მოცეკვავეების სიახლემ თავიდანვე გაიჩინა გულშემატკივრები), ვინ იფიქრებდა, რომ სულ რაღაც ერთ წელიწადში სწორედ ქართული ნაციონალური ბალეტის ეს სადისკოთეკო პროექტი დახურავდა საინაუგურაციო ღონისძიებებს (თუმცა, ალბათ ასე თამამად ვერც ნაადრევ ინაუგურაციას იწინასწარმეტყველებდა ვინმე). მაგრამ, კვირას ყველაზე გრანდიოზული “ასსა” სწორედ ამ მნიშვნელოვანი (რასაც პრეზიდენტის ინაუგურაცია ჰქვია) ღონისძიების ფარგლებში მოეწყო. დღეს კი წარმოდგენის სახით, “სუხიშვილები” უკანასკნელ “ასსა-ფართის” თბილისის მეგაკლუბში – “აჭარა მიუზიკ ჰოლში” გამართავენ.

ვერა ნეფარიძე

მისია, რომელიც “ასსას” მისმა სულისჩამდგმელმა ილიკო სუხიშვილმა თანამოაზრეებთან ერთად დააკისრა, ჯერ კიდევ შესასრულებელია. ჩანაფიქრის მიხედვით, პროექტის მიზანი იყო, ქართულ კლუბებში (და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, “ასსა” მალე გასცდება საქართველოს ფარგლებს) დამკვიდრებულიყო კავკასიური საცეკვაო რიტმები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ამ ყველაფერს საფუძველი ეყრებოდა – “ასსამ” ჩვენთან ფოლკოთეკის პოპულარიზაცია დაიწყო. ხალხმა კი ეს იოლად მიიღო. ხოლო, რამდენად გაგრძელდება ეს ტენდენცია, ეს უკვე ჩვენი კლუბების მონდომებაზეა დამოკიდებული. რაც მთავარია, დი-ჯეებს დღეიდან უკვე ოფიციალურად ექნებათ “ასსას” მასალა.

იმის გარდა, რომ “სუხიშვილები” “ასსას” უკანასკნელ შოუს გამართავენ “აჭარა მიუზიკ ჰოლში”, დღეს ისინი წარმოადგენენ ამავე პროექტის აუდიო-ვერსიას, კომპაქტ-დისკს, რომლის გამოცემაც შარშან იყო დაგეგმილი. ასე რომ, ამიერიდან, კავკასიურ რიტმებზე საცეკვაოდ აუცილებელი პირობა სულ აღარ იქნება “სუხიშვილების” საკონცერტო გამოსვლები.

დისკი თბილისში, კომპანია “მიფა-სის” სტუდიაში ჩაიწერა, ხოლო მისი ტირაჟირება სტამბულში მოხდა. საწყის ეტაპზე “ასსას” დისკის ტირაჟი 1200 ცალია; დამატებით 1000 ცალი კი “სუხიშვილების” მოსკოველი პარტნიორების კუთვნილებაა. მოსკოველები დარწმუნებულები არიან, რომ “ასსა” რუსეთის მუსიკალურ ბაზარზე ფეხს მოიკიდებს. უახლოეს მომავალში კი ამ ჩანაწერს საკუთარ სამშობლოში ავსტრალიელი შოუბიზნესმენებიც გაავრცელებენ.

“ასსა” ერთი წლის წინათ.

“ასსას” აუდიოჩანაწერი თორმეტ კომპოზიციადაა დაყოფილი. როგორც ნინო სუხიშვილმა გვითხრა, “ასსას” სტუდიური ჩანაწერი ოდნავ განსხვავდება ჩვენთვის აქამდე ცნობილი საკონცერტო გამოსვლებისგან. დისკში არ შევიდა რამდენიმე ნომერი საკლუბო ვერსიიდან; სამაგიეროდ, დამატებულია ასევე რამდენიმე ნომერი. სხვათა შორის, ვინც რესპუბლიკის მოედანზე გამართულ ყველაზე მასობრივ “ასსას” დაესწრო ან მის პირდაპირ ტრანსლაციას უყურა, ალბათ არ გამოეპარა, რომ პროექტის ავტორებმა შარშანდელი ვერსია ოდნავ შეცვალეს. კერძოდ კი, დამატებული იყო ერთი ნომერი. ყველა ეს ვერსია წარსულს ჩაბარდა. ამიერიდან კი იარსებებს ის ერთადერთი “ასსა”, რომელიც აუდიოჩანაწერის სახით დღეიდან გავრცელდება.

სეზონი გაიხსნა

"ოსკარამდე" 32 დღე დარჩა

იმის შესახებ, რაც ლოს ანჯელესში კვირა საღამოს, 8 საათზე იწყება და მეორე დღის, გამთენიას მთავრდება ჩვენ, თბილისში ორშაბათს ვიგებთ ხოლმე. ასე იყო "ოქროს გლობუსის" შემთხვევაშიც, რომელიც ტრადიციულად სასტუმრო "ბევერლი ჰილტონში" გაიმართა და უფრო საზეიმო ვახშამს ჰგავდა, ვიდრე "ოსკარის" მსგავს ცერემონიალს. ამ საღამომ, რომელზეც შამპანური ბოლომდე არ გამოლეულა, ერთი რამ ცხადყო: როდესაც "ამირანში" "ბეჭდების მბრძანებლის" ნახვას გადაწყვეტთ, თან უნდა გაამაყდეთ კიდეც, რადგან ეს არის ფილმი, რომელმაც "ოქროს გლობუსის" ოთხი ნომინაციიდან ოთხივეში გაიმარჯვა: ტრილოგიის დასასრული, "მეფის დაბრუნება" გახდა საუკეთესო დრამატული ფილმი, პიტერ ჯექსონი კი – საუკეთესო რეჟისორი. სურათი დაჯილდოვდა საუკეთესო ორიგინალი პარტიტურისა და საუკეთესო ორიგინალი სიმღერისთვის Into the West.

პიტერ ჯექსონი.

შარლიზ თერონს ჯილდოს ჯეკ ნიკოლსონი გადასცემს.

გამარჯვებულები სერიალიდან – ალ პაჩინო და მერილ სტრიპი.
REUTERS

ამ გამარჯვებას ახალ ზელანდიელი რეჟისორი ელოდა. რამდენიმე წლიანი იგნორირების შემდეგ, წელს ნამდვილად მომწიფდა დრო იმისთვის, რომ კინოსტუდია "ნიუ ლაინ სინემას" ეს ამბიციური პროექტი კინოკრიტიკოსთა ყურადღების ღირსი გამხდარიყო. ბოლოს და ბოლოს, ტოლკიენის წიგნის კინოდ ქცევა ხომ სტუდიას 300 მილიონი დოლარი დაუჯდა. ჯილდოს მიღებისას ბედნიერმა ჯექსონმა განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია სოფია კოპოლას, კლინტ ისტვუდის, ენტონი მინგელასა და პიტერ ვეირის კომპანიაში ყოფნა – საუკეთესო რეჟისორის კატეგორიაში "ბეჭდების მბრძანებლის" რეჟისორმა სწორედ ეს ცნობილი სახეები დაამარცხა. ამ გამარჯვებით კი ჯექსონი ოფიციალურად ჩადგა "ოსკარის" რიგში. უკვე ზედმეტია იმის ყოველწლიურად გამეორება, რომ "ოქროს გლობუსი" ერთგვარი ბარომეტრია "ოსკარის" ფავორიტთა გამოსავლენადაც. ის, ვინც გამოირჩევა "გლობუსზე", საერთო სახალხო ყურადღებას კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალზეც უნდა მიეჩვიოს.

ჯექსონი "ბეჭდების მბრძანებელზე" მთელი შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა, საზეიმო საღამოზე კი ხუმრობდა, კინაღამ მე თვითონაც ჰობიტად ვიქეციო. რაც შეეხება, "ოსკარს", ჯექსონმა განაცხადა: "არ ვიცი, ნიშნავს თუ არა ეს გამარჯვება იმას, რომ მე "ოსკარიც" გარანტირებული მაქვს. მიხარია ჯილდოების მიღება და ძალიან მადლობელი ვარ. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ მსგავს შოუებში ვმონაწილეობ".

რაც შეეხება, საუკეთესო დრამატულ როლს, ქალებიდან ამ კატეგორიაში სამხრეთ აფრიკული წარმოშობის შარლიზ თერონს გაუმართლა, მამაკაცებიდან – შონ პენს.

თერონი "ოქროს გლობუსით" ფილმისთვის "მონსტრი" დააჯილდოეს. თუ მას აქამდე როლებს ესთეტური სილამაზისთვის აძლევდნენ, ახლა რეჟისორმა წინა პლანზე მისი სამსახიობო ნიჭი წამოწია. სერიული მკვლელის ეილინ ვუორნოსის როლის განსასახიერებლად თერონმა 30 ფუტი მოიმატა და ისეთი მაკიაჟი გაიკეთა, რომ ვერავინ ცნობს. მან ამ პრესტიჟულ ნომინაციაში ფავორიტები – ნიკოლ კიდმანი ("ცივი მთა") და სკარლეტ იოჰანსონი ("გოგონა მარგალიტის საყურით") დაამარცხა; შონ პენმა კი, რომელიც ცერემონიალს არ ესწრებოდა – ჯუდ ლოუ ("ცივი მთა") და ტომ კრუზი ("უკანასკნელი სამურაი") ჩამოიტოვა უკან. საერთოდ, ენტონი მინგელას "ცივი მთა" ოქროს გლუბუსის ცერემონიალზე ძალიან დაიჩაგრა. რვა ნომინაციიდან ჯილდო მხოლოდ რენე ზელვეგერმა მოიპოვა, საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისთვის. უპრიზოდ დარჩნენ თავად რეჟისორი, ნიკოლ კიდმანი და ჯუდ ლოუ. ალბათ, სწორედ ამ მიზეზის გამო, რენე ზელვეგერი გამარჯვებით განსაკუთრებულად ბედნიერი იყო. მან სცენიდან მადლობა მინგელას გადაუხადა და აღნიშნა: "ენტონი მინგელა, ჩემი გმირი ხარ. სულმოუთქმელად ველოდი, როდის მიმიწვევდი როლზე". მადლობები არც კლინტ ისტვუდს დაკლებია. მართალია, სასტუმროში არ გამოცხადებულა შონ პენი, სამაგიეროდ, ისტვუდს პატივისცემა ტიმ რობინსმა გამოუცხადა. ის პენთან ერთად ისტვუდის ფილმში "იდუმალი მდინარე" მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის დაჯილდოეს. "ამ ფილმზე მუშაობის ყოველი დღე დიდი სიხარული იყო", - დასძინა რობინსმა.

"ბეჭდების მბრძანებლის" მიღწევა დრამატულ ჟანრში, კომედიაში "თარგმანში დაკარგულმა" გაიმეორა. სოფია კოპოლას ფილმმა სამი "გლობუსი" მოიპოვა. ის გახდა საუკეთესო მიუზიკლი/კომედია. გაიმარჯვა საუკეთესო სცენარის კატეგორიაში (ეს ჯილდო თავად კოპოლას მიენიჭა) და დაჯილდოვდა ბილ მიურეიც, როგორც საუკეთესო მამაკაცი მსახიობი კომედიისა და მიუზიკლის ჟანრში.

კოპოლამ მადლობა გადაუხადა თავის ოჯახსა და მამას და განაცხადა, რომ ფრენსის ფორდ კოპოლა საუკეთესო მასწავლებელია, თუ სცენარისტობას გსურს დაეუფლო.

თავმდაბლობა გამოიჩინა მიურეიმაც: "იმდენ ადამიანს ვემადლიერები, რომ არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. მადლობა სოფიას. მან ისეთი სცენარი დაწერა, რომ ნებისმიერი, ვინც ამ დარბაზში ზის ახლა, ალბათ, ჩემზე ფიქრობს: ეს იღბლიანი ნაბიჭვარი, მეც ხომ შემეძლო მის ნაცვლად მეთამაშა".

მიუხედავად იმისა, რომ "ბეჭდების მბრძანებელიცა" და "თარგმანში დაკარგულიც" "გლობუსის" ფავორიტები აღმოჩნდნენ, მათ შორის უდიდესი ფინანსური განსხვავება არსებობს: კოპოლას ფილმის გადაღება სულ 4 მილიონი დოლარი დაჯდა და მასში სულ ორი მსახიობი მონაწილეობდა ("ბეჭდების მბრძანებლის" 300 მილიონი დოლარისა და 12-მდე მთავარი პერსონაჟისგან განსხვავებით).

კომედიისა და მიუზიკლის ჟანრის საუკეთესო ქალი მსახიობი კი დაიან კიტონი გახდა ფილმისთვის Something's Gotta Give, რომელშიც მას პარტნიორობას ჯეკ ნიკოლსონი უწევს. სხვათა შორის, "ოქროს გლობუსის" ცერემონიალს თავად ნიკოლსონიც ესწრებოდა, მაგრამ მხოლოდ წარმდგენის რანგში – მან ჯილდო გადასცა აღელვებულ შარლიზ თერონს, რომელმაც თავი ვერ შეიკავა და ნიკოლსონს მაგრად ჩაეხუტა.

გარდა არაფორმალური ფორმატისა (სტუმრები მრგვალი მაგიდების გარშემო სხედან, მიირთმევენ შამპანურს და ერთმანეთს ულოცავენ გამარჯვებას), "ოქროს გლობუსი" "ოსკარისგან" იმითაც განსხვავდება, რომ ის ტელევიზიის ვარსკვლავებსაც აჯილდოებს. წელს საუკეთესო ქალი მსახიობი სატელევიზიო დრამატულ სერიალში სარა ჯესიკა პარკერი გახდა "სექსი დიდი ქალაქიდან". ის შოუზე თავის მეგობრებთან ერთად გამოცხადდა. ქალებმა ერთად ისეთივე კარგი დრო ატარეს, როგორც ამას ტელეეკრანზე ახერხებენ ხოლმე.

თუმცა, ყველასთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა ბრიტანელი მსახიობის რიკი გერვაისის გამარჯვება. ის "ბიბისი ამერიკასთვის" გაკეთებულ სერიალში "ოფისი" თამაშობს მთავარ როლს. გერვაისმა მადლობის გადახდის შემდეგ, დასძინა: "მე აქაური არ გეგონოთ, ერთი პატარა ქვეყნიდან გახლავართ, რომელსაც ინგლისს ეძახიან... იყო დრო თქვენამდე, როცა მსოფლიოს ჩვენ ვმართავდით".

რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ორმა დიდმა მსახიობმა – ალ პაჩინომ და მერილ სტრიპმა ტელეჟანრში გაიმარჯვეს. მათი მონაწილეობით "ანგელოზები ამერიკაში" საუკეთესო მინისერიალისა და სატელევიზიო სურათის კატეგორიაში გახდა. ეს სურათი ტონი კუშნერის "პულიტცერით" დაჯილდოებული პიესის მიხედვითაა გადაღებული და 80-იანი წლების ამერიკაში შიდსის პრობლემაზე მოგვითხრობს.

ასეთი გახლავთ "ოქროს გლობუსის" ოფიციალური შედეგები. ამ საღამოს შემდეგ კი ოფიციალურად გაიხსნა დაჯილდოების სეზონი ჰოლივუდში. ამ კვირაში ამერიკულ ვარსკვლავურ საზოგადოებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცერემონიალი ელის – 27 იანვარს ტრადიციული ღონისძიების თანხლებით "ოსკარის" ნომინანტების ვრცელი ნუსხა გამოვლინდება. და მედიასაც 29 თებერვლამდე, ანუ "ოსკარამდე", მსუყე სალაპარაკო თემა მიეცემა.

საოცრებათა ქვეყანა

დღეს ლუის კეროლის დაბადების დღეა

"ალისა საოცრებათა ქვეყანაში" ყველას წაკითხული აქვს, მაგრამ მისი ავტორისა და წიგნის დაწერის ამბავი ყველამ როდი იცის. ამასთან დაკავშირებით კარგსაც მოგახსენებთ და ცუდსაც, და თქვენც ის დაიმახსოვრეთ, რაც გაგიხარდებათ.

1862 წლის 4 ივლისს ალისა, ლორინა და ედიტ ლიდელები, ოქსფორდის ქრისტჩარჩის კოლეჯის დეკანის, ჰენრი ლიდელის ქალიშვილები, თავიანთ მათემატიკის მასწავლებელთან, ჩარლზ ლიუტვიჯ დოჯსონთან, ანუ ლუის კეროლთან ერთად სასეირნოდ წავიდნენ. პიკნიკის დროს წვიმა დაიწყო, გოგონებს გუნება წაუხდათ, და მასწავლებელმა, მათ გასამხნევებლად, დაიწყო მოყოლა ამბისა, თუ რა შეემთხვა პატარა გოგონას, ალისას საოცრებათა ქვეყანაში.

ლუის კეროლი ფრიად კონსერვატიული კაცი ბრძანდებოდა. ის მათემატიკის მასწავლებელი იყო, თან, როგორც ამბობდნენ, არცთუ ბრწყინვალე მასწავლებელი. კეთილი კაცი იყო, ზრდილობიანი, მარტოსული და ხანდახან მეტისმეტად მოკრძალებულიც კი. მოკლედ, ზუსტად ისეთი მასწავლებელი იყო, მოსწავლეებს აუტანლად და მოსაწყენად რომ მიაჩნიათ ხოლმე.

და უცებ ამ კაცმა ისეთი წიგნი დაწერა, რომ მას, უკვე მრავალი წელია, არამარტო ბავშვები, არამედ უფროსებიც ვერ სწყდებიან. მის თაყვანისმცემელთაგან დედოფალ ვიქტორიას, ოსკარ უაილდის თუ ჯეიმს ჯოისის დასახელებაც საკმარისია. სხვათა შორის, 1969 წელს ესპანელმა სიურეალისტმა სალვადორ დალიმ რჩეულ ბიბლიოფილთათვის საბავშვო წიგნი დაასურათა – "ალისა საოცრებათა ქვეყანაში".

ლუის კეროლი ინგლისში ლამის ეროვნულ სიწმინდედაა შერაცხული. მაგრამ ამ პიროვნებას კიდევ ერთი მხარე ჰქონდა, რომლის შესახებაც საუბარს პურიტანელი ბრიტანელები ერიდებიან ხოლმე.

ეს იყო მისი ლტოლვა ძალიან, ძალიან ახალგაზრდა გოგონების მიმართ, ექვსიდან ცამეტ წლამდე ასაკისა. ის მათ მრავლად იცნობდა – კოლეგების შვილებს ემეგობრებოდა, ზოგს ქუჩაშიც გამოელაპარაკებოდა ხოლმე. ის მათ წერილებს სწერდა, სასეირნოდ დაჰყავდა და, რაც მთავარია, ფოტოსურათებს უღებდა, ძირითადად, გახდილებს. სხვათა შორის, ლუის კეროლი დიდებული ფოტოგრაფი იყო.

კეროლს ცოლი არ ჰყოლია, და არც ზრდასრულ ქალებთან ჰქონია ურთიერთობა. სამაგიეროდ, როგორც მოგახსენეთ, პატარა გოგოები უყვარდა, განსაკუთრებით კი ალისა ლიდელი – რომანის გმირი. გეთანხმებით, ბევრი ვერაფერი ამბავია, მაგრამ ასე იყო, და რას იზამ. 2001 წელს სოტბის აუქციონზე ამ ურთიერთობის "მემატიანე" ნივთების შეძენაც კი შეიძლებოდა. რას არ ნახავდით: ტანსაცმელს, ბეჭედს, სათვალეს, ფოტოებს, წერილებს, დღიურებს, რომანის ხელნაწერებს და მრავალ სხვას.

კოტე.GE

კოტე ყუბანეიშვილი

■ ■ ■

ასლანია დარდიანი,
მიშა მოდის ვარდიანი

■ ■ ■

სანამ არ გაქვს მიზანი,
დადიხარ როგორც ხიზანი.
თავს ლექსებ დანაბედები
და ღობე-ყორეს ედები.

■ ■ ■

სიმართლის თქმა ჯობია რომ გაპატიო,
მოქალაქე თუ გსურს იყო საპატიო.

■ ■ ■

მე მეშინია წყალის და ცეცხლის
და ვათაყვანებ მიწას და ჰაერს,
ჩემ ბუნებასაც ვერავინ შეცვლის,
ვერც მიმაკუთვნებ რაიმე სხვა ერს
ჩემი მზიური მთაბარის გარდა,
რამაც აქამდე მკვება და მზარდა
და ახლაც რითი მიდგია სული,
რადგან უმისოთ სირი ვარ სრული.

■ ■ ■

დამიჯერე გენაცვალე, ამას მე გეუბნები,
აჭარაშიც გაიხსნება საარჩევნო უბნები,
საქართველო დაიბრუნებს მას, რაც ღმერთს მიუცია
და ბათუმშიც ჩატარდება ვარდის რევოლუცია.

■ ■ ■

რუსეთმა რომ გაიყვანოს ვაზიანის ბაზები,
მეტი რაღა დაგვრჩებოდა
მათზე გასაბრაზები.
მთავარია შენარჩუნდეს
სახელმწიფოს ერთობა
და ვისთანაც უნდა ქონდეს
მაშინ ურთიერთობა.

■ ■ ■

მახსოვს, ადრე ჩვენი კერპი
იყო მოლოტი და სერპი,
ვინც შიშისგან თვალებს კარკლავს
ეწირება კრემლის ვარსკვლავს.

■ ■ ■

ვინც გააღმერთებს პირად ინტერესს
კაცობრიობა გადაიმტერებს.

■ ■ ■

ნებისმიერი პარტიოსანი
გვჭირდება მხოლოდ პატიოსანი.

■ ■ ■

მე კარგად ვიცი ვინც არის,
აქ ღირსი კუბოს ფიცარის,
მაგრამ მთავარი ცოდნაა
იმის რომ მოკვლა ცოდვაა.

■ ■ ■

შავისგან თეთრის რომ ახერხებს გარჩევას,
კაცი ხომ ასეთ დროს აკეთებს არჩევანს.
და როცა კეთილ ზნეს ჩვევაში გაიჩენს,
მოუხმობს ჭკუას და სიკეთეს აირჩევს.

■ ■ ■

უსამშობლოდ გული როგორ გაძლებს,
საზღვარგარეთ ვინ გაჩვენებს სითბოს,
მოლოდინი სულის ძალას გაძლევს,
სიყვარული სიმარტოვეს დაძლევს
და თავიდან იბადები თითქოს
ვერ იქნები უსამშობლოდ ლაღი,
ყველგან დაგდევს სადარდელი მისი
თეთრი მთები, ზეცის ლურჯი თაღი.
საქართველო ეს სამოთხის ბაღი,
რად გავხადოთ სათარეშო სხვისი
ჩამოდით, დღე გაგვინათეთ ხვალის,
სამშობლო გთხოვთ გასტუმრებას ვალის.
თქვენ ჩამოსვლას სიხარული ახლავს
თქვენი ნიჭი აქ თავის გზას ნახავს,
მომავალი გულში იმედს სახავს,
დღეს ცხოვრებას ჩვენ აქ ვიწყებთ ახალს.

■ ■ ■

ბაბუ გადგე დროა განზე
საქმე ასე გამოვიდა
დღეს თბილისში მოედანზე
საქართველო ჩამოვიდა.

■ ■ ■

თუ არ გახდები გავროში
იცხოვრებ მუდამ გავნოში.

■ ■ ■

სამოქალაქო ყველა პირს
ვურჩევ დაეყრდნონ გელაპის.

■ ■ ■

მიყვარხარ მაგრამ
დამღალა ჩაგვრამ
და მინდა უკვე
მოვიწყო უქმე
წავიდე სადმე
სად შენ და სად მე
არა ვართ წყვილი
სპილო და რწყილი.

■ ■ ■

რაც მოდნია
არ მცოდნია.

ფეხბურთი

მერაბ ჟორდანია თავისუფალია!

აკა ტონია

უკანასკნელ დღეებში საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. კარგია, რომ უწინდელთან შედარებით ეს მოვლენები დადებითია. გუშინწინ საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია შედგა, დღესასწაული იყო...

მიუხედავად ამისა, ჩვენ, სპორტულ ჟურნალისტებს, რომლებიც, პირველ ყოვლისა, რიგითი გულშემატკივრები ვართ, უკმაყოფილების მიზეზი მაინც გვქონდა. მაშინ, როდესაც მთელი საქართველო ქვეყნის პრეზიდენტის ინაუგურაციას ზეიმობდა, ქართული ფეხბურთის პრეზიდენტი ციხეში იჯდა...

მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების შესახებ ათი დღის წინათ გვამცნეს, თუმცა, რეალურად არ გაუთავისუფლებიათ. კანონის მიხედვით, გათავისუფლებული ადამიანის ციხეში დაკავება თურმე კიდევ ათი დღით არის შესაძლებელი. ეს ათდღიანი ვადა გუშინ იწურებოდა. საქართველოს პროკურატურამ ეს ვადა მაქსიმალურად გამოიყენა.

მერაბ ჟორდანია გუშინ, შუადღისას გაათავისუფლეს. გუშინწინ ჟორდანია ავად გახდა - მაღალი სიცხე მისცა. გუშინაც, საავადმყოფოდან გამოსვლისას, 39 ჰქონდა და მაშინვე სახლში მიიყვანეს. ჟურნალისტებს სფფ-ს პრეზიდენტთან გასაუბრების საშუალება არ მოგვეცა. იმედია, ბატონი მერაბი მალე გამოჯანმრთელდება და პრესკონფერენციასაც გამართავს.

ჟორდანია ამჟამად შინ იმყოფება.

მიუხედავად იმისა, რომ მერაბ ჟორდანიას დაპატიმრების ფაქტმა მთელი საფეხბურთო სამყარო შეაშფოთა, მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის თავკაცის პატიმრობამ საქართველოს ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის დანიშვნის საკითხიც გააჭიანურა, მაინც სასიხარულოა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გაათავისუფლეს. ის თავის თანამდებობაზე საქმიანობას განაგრძობს. როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, რომან შოთაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, "ჟორდანია ორ დღეში გამოჯანმრთელდება და გაათმაგებული ენერგიით შეუდგება საქმიანობას".

ფედერაციის წარმომადგენლებმა დაგვიდასტურეს, რომ თავის სამუშაო ადგილზე ჟორდანიას დაბრუნებით, საქართველოს ნაკრების სათავეში უცხოელი სპეციალისტის, ამ შემთხვევაში, ანრი მიშელის მოსვლა ბევრად უფრო რეალური ხდება.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ირაკლი ოქრუაშვილმა მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების დაყოვნება ასე ახსნა: იმ შემთხვევაში, თუ საკითხში ბოლომდე არ გავერკვეოდით, შესაძლოა, გათავისუფლებული კაცი ისევ დასაჭერი გაგვხდომოდაო. როგორც ჩანს, პროკურატურა ათდღიან ვადაში ჩაეტია და დაადგინა, რომ სფფ-ს პრეზიდენტის მიმართ პრეტენზია აღარა აქვს. ჟორდანიას წინააღმდეგ საქმე შეჩერებულია.

ჩოლარია ევროპაში მიემგზავრება

...და იქიდან კარგ კალენდარს ჩამოგვიტანს

აკა ტონია

სფფ-ის გენერალურ მდივანს გუშინ, დღის ხუთ საათზე ვესტუმრეთ. იმ დროისათვის მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების ამბავი უკვე ვიცოდით და ვვარაუდობდით, რომ ვალერი ჩოლარიას მინი პრესკონფერენციაც ამ საკითხთან იქნებოდა დაკავშირებული. თუმცა, გენერალურმა მდივანმა ბევრი სხვა ინფორმაციაც გაგვანდო.

ჟორდანიასთან დაკავშირებით ვალერი ჩოლარიამ გაგვიცხადა, რომ სფფ-ს პრეზიდენტი განთავისუფლებულია და რომ ამის შესახებ უკვე ეცნობა საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებს.

ამის შემდეგ, სფფ-ს გენერალურმა მდივანმა FIFA-დან მიღებული ფაქსი გვაჩვენა და გვამცნო, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დახმარება, რომელსაც "გოლი" ეწოდება, კვლავაც გაგრძელდება. ვალერი ჩოლარიამ მოგვილოცა "დინამოს" გამარჯვებაც: "სასიხარულოა, რომ ქართულმა ფეხბურთმა ახალი სახელმწიფო დროშის ქვეშ პირველ გამარჯვებას მიაღწია. ბევრი ამბობს, რომ თანამეგობრობის ქვეყნების ტურნირზე გამარჯვების მიღწევა დიდს არაფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, ეს მნიშვნელოვანი წარმატება იყო. მართალია, კიევის "დინამო" და მოსკოვის "ცსკ" არ ასპარეზობდნენ ძირითადი გუნდებით, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ლატვიის ნაკრების, ევროპის მომავალი ჩემპიონატის მონაწილის, საბაზო გუნდის დამარცხება შევძელით. "დინამოს" ფეხბურთელების დიდი ნაწილი საქართველოს ნაკრებში თამაშობს. ეს გუნდი თებერვალში კვიპროსში იასპარეზებს. თუ შეთანხმება მოხდა, მაისში ლობანოვსკის სახელობის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელების დიდი ნაწილი სრულფასოვან მზადებას გაივლის მომავალი შესარჩევი ციკლის წინ," - აღნიშნა ჩოლარიამ.

გენერალურმა მდივანმა გვითხრა, რომ დღეს, 16 საათზე ფრანკფურტში მიემგზავრება. მანამდე კი ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა უნდა ჰქონოდა თბილისში. ერთ-ერთი მათგანი, "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" პროექტის ავტორთან, დანიელ ანდერს ლევინსენთან იყო, ხოლო მეორე შეხვედრის შესახებ ჩოლარიამ ბევრი არ გაგვიმხილა. მან მხოლოდ ის გვითხრა, რომ ეს ადამიანი გერმანიის მოქალაქეა და მასთან უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს განიხილავდა.

ჩოლარიას გერმანიაში ვიზიტი საქართველოს ნაკრების ახალი ტექნიკური სპონსორის, ფირმა Puma-ს წარმომადგენლებთან შეხვედრას მოიცავს. გენერალური მდივნის თქმით, გერმანულ ფირმას სათამაშო ფორმების 30 კომპლექტის დამზადებას სთხოვს, რათა ჩვენმა ნაკრებმა კვიპროსის ტურნირზე ახალი ფორმებით იასპარეზოს. 29 იანვარს ჩოლარია კიევში გაემგზავრება, სადაც ჩვენს

ვალერი ჩოლარია კიევში საქართველოს ინტერესებს დაიცავს.

ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების კალენდარი უნდა გაარკვიონ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ FIFA-დან უკვე მიიღო სტანდარტული კალენდარი. თუ მხარეებმა კიევში შეთანხმება ვერ მოახერხეს, მაშინ სწორედ FIFA-ს კალენდრის მიხედვით მოგვიწევს თამაში. სფფ-ს გენერალური მდივანი აცხადებს, რომ კალენდრის განხილვისას პროცედურაში ცვლილების შეტანას აპირებს. "ჩვენ გვსურს, განხილვის წინ FIFA-ს კალენდარს ვუყაროთ კენჭი, ვნახოთ, ვის როგორი განრიგი გვექნება, შემდეგ კი საკუთარი ვარიანტები წარმოვადგინოთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვეცოდინება, თუ როგორი კალენდარი ექნებათ გუნდებს იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმებას ვერ მოვახერხებთ," - გვითხრა ჩოლარიამ, შემდეგ კი იმ შესაძლო ვარიანტებზეც ისაუბრა, რომლებიც ქართულ მხარეს აძლევს ხელს. "ჩვენი ჯგუფი შვიდგუნდიანია და ამიტომ, ყოველ ტურში ერთ-ერთი ისვენებს. გვინდა, რომ პირველ ტურში არ ვითამაშოთ და პირველი მატჩი სექტემბერში გავმართოთ. ხელსაყრელია, რომ პირველად შინ ვითამაშოთ, არ აქვს მნიშვნელობა ვის წინააღმდეგ, თუმცა თურქეთთან შეხვედრა არ გვსურს. მეორე მატჩის გამართვა სტუმრად გვინდა, მეტოქედ კი იმავე თურქეთს და ალბანეთის ნაკრებს არ ვისურვებდი. უმთავრეს ყურადღებას პირველ ორ მატჩს ვანიჭებ, შემდეგი შეხვედრების განრიგს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. მთავარია, პირველ ორ მატჩში აგვეწყოს საქმეები," - ამბობს ჩოლარია. კითხვაზე, თუ რომელი ვარიანტის პრინციპული წინააღმდეგი იქნება ქართული მხარე, სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ასე გვიპასუხა: "კატეგორიულად შევეწინააღმდეგები ისეთ კალენდარს, რომლის თანახმად პირველ ორ მატჩს, ან უკანასკნელ ორ შეხვედრას სტუმრად გავმართავთ. ასევე ხელსაყრელი არ არის აგვისტოში და თებერვალში თამაში."

კალენდრის შეთანხმების შემდეგ, ვალერი ჩოლარია კვლავ გერმანიაში დაბრუნდება. ის აპირებს, რომ "შალკეს" და "ფრაიბურგის" თამაშებს დაესწროს და ამ კლუბების ქართველი ლეგიონერების თამაში იხილოს. ჩოლარიამ ისიც განცხადა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება გერმანულ კლუბებთან, რათა მარტში და აპრილში საქართველოს ნაკრებმა მათთან ამხანაგური მატჩები გამართოს. მისი თქმით, სამ კლუბთან უკვე მიღწეული იქნა შეთანხმება, თუმცა მათი ვინაობა არ გაამხილა. გერმანიაში ყოფნისას ჩოლარია გერმანულ კლუბებთან მოლაპარაკებებს გააგრძობს, ხოლო შემდეგ კომპანია TeleSport-ის წარმომადგენლებს შეხვდება. ეს გერმანული კომპანია საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩების ტრანსლაციების მფლობელი გახლავთ. "თქვენ იცით, რომ თბილისიდან წასული სიგნალი საერთაშორისო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. აქამდე ჩვენი თამაშების ტელეუზრუნველყოფას თურქული კომპანია აწარმოებდა. მაგრამ ახლა მათი დახმარება აღარ დაგვჭირდება. ტელეკომპანია "იმედს" გააჩნია აპარატურა, რომელიც უმაღლესი ხარისხის ტრანსლაციების წარმოებას უზრუნველყოფს. ჩვენ უკვე გავუგზავნეთ TeleSport-ს ამ აპარატურის მონაცემები და მათ ის მოიწონეს. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომელიმე მატჩის საცდელი ტრანსლაცია მოვახდინოთ. სავარაუდოდ, ეს საქართველოს თასის ფინალი იქნება," - განაცხადა ჩოლარიამ. სფფ-ს გენერალური მდივანი სამ თებერვალს დაბრუნდება თბილისში.

ბოლოს კი საუბარი უცხოელი მწვრთნელის საკითხსაც შეეხო. "რამდენიმე დღის წინათ განვაცხადე, რომ უცხოელ მწვრთნელს მანამ ვერ ვეღირსებოდით, სანამ მერაბ ჟორდანია პატიმრობაში იქნებოდა. ეს არ ყოფილა ულტიმატუმი ან მუქარა. უბრალოდ, არც ერთი ცნობილი სპეციალისტი არ დათანხმდება, ითანამშრომლოს ფედერაციასთან, რომლის პრეზიდენტიც პატიმრობაში იმყოფება. ახლა ჟორდანია გაათავისუფლეს და ის პირადად მიხედავს ამ საქმეს. უცხოელი მწვრთნელის საკითხი კვლავ დღის წესრიგშია და ამის შესახებ მალე თავად ჟორდანია მოგითხრობთ," - განაცხადა ჩოლარიამ.

ცოდან ჩამოტანილი სიხარული

"დინამო" ორი თასით დაბრუნდა

A1 გვერდიდან

25 იანვარს, მოსკოვის სპორტკომპლექს "ოლიმპიისკში", თბილისის "დინამოს" პატივსაცემად, პირველად აღიმართა ახალი საქართველოს ახალი დროშა.

გამარჯვებული "დინამოს" დასახვედრად ქომაგებმა აეროპორტის ტერიტორიაზე ორი საათით ადრე დაიწყეს მისვლა. რამდენიმე ასეული გულშემატკივარი შეგროვდა: ბავშვები და მოხუცები, სპორტული სამყაროს წარმომადგენლები და ხელოვანები, მსახიობები და პოლიტიკოსები. მათ შორის იყო "დინამოს" ემბლემიანი კეპით და ალმით აღჭურვილი გივი ბერიკაშვილი, რომელიც არ ცდილობდა საყვარელი გუნდის გამარჯვებით გამოწვეული ემოციის დაფარვას.

"ძალიან ბედნიერი ვარ. ის, რაც ახლა აქ ხდება, დიდ სიხარულთან და მომავლის იმედთან არის დაკავშირებული. მე ორი დღის წინ დავბრუნდი მოსკოვიდან. რა თქმა უნდა, "დინამოს" ნახევარფინალურ თამაშსაც დავესწარი. აი, იქ კი ძალიან ბევრი ვიყვირე – "დინამო", "დინამო". თბილისში დავბრუნდი და ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვებას ამათი გამარჯვებაც დაემთხვა. ახლა სჭირდებათ ამ ბიჭებს ჩვენი დახმარება, ყურადღება, მეტი არაფერი და ისინიც ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ "დინამოს" უწინდელი დიდება გაგვახსენონ და დაგვიბრუნონ. ძალიან გახარებული ვარ", - თქვა ბატონმა გივიმ.

თვითმფრინავი 15 საათსა და 25 წუთზე დაეშვა. აეროპორტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, "დინამო" VIP-იდან გამოატარეს. რუსეთის საფეხბურთო კავშირისა და რუსეთის სამრეწველო-სავაჭრო პალატის თასები, ტურნირის ჩემპიონის ოქროს მედლები და ზღვა სიხარული – ასეთი ნობათით გამოვიდნენ ფეხბურთელები აეროპორტიდან და უმალ ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების ალყაში მოექცნენ.

"ძალიან ბედნიერი ვარ. ყველანი უაღრესად კმაყოფილები ვართ. ნამდვილად არ ველოდი, თუ თბილისში ასეთ დახვედრას მოგვიწყობდნენ, რაც ორმაგად ზრდის ჩვენს სიხარულს. ეს ემოცია, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება", - განუცხადა "24 საათს" ფინალურ მატჩში ბოლო გოლის ავტორმა დავით კვირკველიამ.

"სულ ათი დღის შეკრებილები ვიყავით და, ამის გათვალისწინებით, ჩვენს თამაშს დადებითად შევაფასებ. სპორტული ფორმის პიკს სწორედ ფინალის დროს მივაღწიეთ. იმატა ჩვენმა თავდაჯერებულობამ, თამაშის ხარისხმა და საკუთარი ძალების რწმენამ. ჩემპიონები გავხდით, რამაც დიდი სიხარული მოგვანიჭა. ასეთი მიღწევა ჩვენს თაობას არ ჰქონია. იმედი მაქვს, მომავალში უფრო მეტს მივაღწევთ", - თქვა "დინამოს" თავდამსხმელმა, ლევან მელქაძემ, რომელმაც სერიოზული წვლილი შეიტანა საერთო წარმატებაში – მის ანგარიშზე მეტოქეთა კარში გატანილი 3 გოლია.

რატი ალექსიძე და ლადო ბურდული თასით ხელში.

რატი ალექსიძე ამ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. მან ტურნირზე 5 გოლი გაიტანა. მის მიერ ფინალში გატანილმა ულამაზესმა გოლმა, პრაქტიკულად, გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. სამწუხაროდ, ალექსიძე უახლოეს მომავალში დატოვებს თბილისის "დინამოს" და აქტიურ საფეხბურთო კარიერას სხვა, უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში გააგრძელებს. გთავაზობთ პატარა ინტერვიუს ალექსიძესთან:

- მოსკოველი ქართველები მხურვალედ გვიჭერდნენ მხარს, რაც ძალიან სასიამოვნო იყო. მაგრამ თუ თბილისში ასეთ დახვედრას მოგვიწყობდნენ, ნამდვილად არ ველოდი. უზომოდ მიხარია.

- შენი გოლი, რომელიც რუსმა ჟურნალისტებმა საფეხბურთო შედევრად მონათლეს, დროში ზუსტად დაემთხვა საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე პირველ სააღლუმო ზალპს...

- ეს გოლი ჩემთვისაც და გუნდისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს გოლი მაშინ გავიტანე, როცა ანგარიში საყაიმო იყო. ვერც აღვწერ იმ სიხარულს, რაც ამ გოლმა მომიტანა.

- რა ადგილს მიაკუთვნებ ამ გამარჯვებას შენს სპორტულ კარიერაში?

- თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირში გამარჯვება, ჯერჯერობით, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებაა. თუმცა, იმედი მაქვს, ეს ასეთად არ დარჩება.

- შენ თბილისის "დინამოს" დატოვებას აპირებ. სად გააგრძელებ თამაშს?

- ძალიან მწყდება გული, რომ მომიწევს "დინამოს" კიდევ ერთხელ დატოვება, მაგრამ ჩემი მომავლისთვის ეს ნაბიჯი აუცილებლად მიმაჩნია. მაქვს რამდენიმე წინადადება, თუმცა, სანამ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ, ამ თემაზე ვერაფერს გეტყვით.

რატი ალექსიძის გარდა, თბილისის "დინამო", პრაქტიკულად, უკვე დატოვა მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო ნახევარმცველმა, მოსკოვის ტურნირის უდავოდ საუკეთესო მოთამაშემ და ბომბარდირმა (6 გოლი) ვიტალი დარასელიამ. იგი მოსკოვში დარჩა და, სავარაუდოდ, რუსეთის პრემიერლიგის რომელიმე წამყვან გუნდთან გააფორმებს კონტრაქტს. გუშინ არც "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი ჩამოსულა. იგი ხვალ დაბრუნდება თბილისში და დარასელიას ტრანსფერთან დაკავშირებულ საკითხსაც ნათელს მოჰფენს.

თბილისის "დინამო" სულ ხუთ დღეს იქნება საქართველოში. 1 თებერვალს საქართველოს ჩემპიონი და მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრება კვიპროსს, სადაც 23 თებერვლამდე დარჩება. ამავე პერიოდში კვიპროსზე მიემგზავრება საქართველოს ეროვნული ნაკრებიც, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ოთხთა საერთაშორისო ტურნირში. ტურნირი 15 თებერვალს დაიწყება. საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე რუმინეთის ეროვნული გუნდი იქნება.

საქართველოს პროფესიული ლიგა "დინამოს" ულოცავს

"დინამო თბილისის" პრეზიდენტს,
ბატონ ბადრი პატარკაციშვილს,
"დინამო თბილისის" მმართველ დირექტორს,
ბატონ დავით პეტრიაშვილს,
"დინამო თბილისის" მთავარ მწვრთნელს,
ბატონ ივო შუშაკს,
კლუბის ყველა წევრს

ბატონებო,

გილოცავთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩემპიონთა თასზე ბრწყინვალე გამარჯვებას. თქვენ ქართული ფეხბურთის სახე საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეთ და თქვენს გულშემატკივარს მონატრებული გამარჯვების გემო და მომავლის რწმენა დაუბრუნეთ.

დღეს ეს არა მარტო გულშემატკივრისა და საფეხბურთო სამყაროსათვის, არამედ მთლიანად ქვეყნისათვის არის მნიშვნელოვანი. ახალი დროშით საქართველომ პირველი გამარჯვება მოიპოვა. გასაკვირი არც არის, რომ ეს მისია ქვეყნის ღირსების ერთერთმა უპირველესმა მედროშემ, თბილისის "დინამომ" შეძლო. გუნდმა, რომელმაც ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში ეროვნული სულის ერთ-ერთ სიმბოლოდ არის მიჩნეული.

ჩვენ გვჯერა, რომ ერთობლივი ძალისხმევით, ქვეყნის დროშას უფრო და უფრო მაღლა ავწევთ.

დაე, ეს წარმატება საწინდარი ყოფილიყოს ქართული ფეხბურთის წინსვლისა.

პატივისცემით,

დიმიტრი რამიშვილი
საქართველოს პროფესიული ლიგის პრეზიდენტი

რეზო ლორთქიფანიძე
საქართველოს პროფესიული ლიგის გენერალური მდივანი

რაგბი

ბიძინა გეგიძე - ქართული რაგბის პირველკაცი

ჰაატა თოთაძე

საქართველოს რაგბის კავშირს ისევ ბიძინა გეგიძე უხელმძღვანელებს.

ბეჭდის ბესარიას ფოტო

ქართულ რაგბის კვლავაც ბიძინა გეგიძე უთავკაცებს. გუშინ გამართულ ყრილობაზე მოქმედი პრეზიდენტი მესამედ აირჩიეს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტად. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გეგიძე იმ მდგომარეობას შეინარჩუნებს, რომელშიც ბოლო რვა წელია იმყოფება.

თერთმეტი საათისთვის დანიშნული ყრილობა ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. პირველი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც მოუხდათ, ყრილობაზე დამსწრეთა საარჩევნო ხმების დამტკიცება იყო. საქმე ისაა, რომ ხმის უფლება მოითხოვა ვეტერანთა კავშირმა. ამას დაემატა აჭარელთა მოთხოვნა, ხელვაჩაურსა და შუახევში არსებული კლუბებისთვის ხმის უფლების დაკანონება. ამ პრინციპით ხმები ფოთისა და სენაკის კლუბებსაც ეკუთვნოდათ, ასე რომ, კავშირის ხელმძღვანელობას უნდა აერჩია - ან ყველას მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, ან არც ერთის. არჩევანი უკანასკნელზე შეჩერდა - ხმის მიცემის საშუალება მიეცა იმ 28 დელეგატს, რომელსაც ეს უფლება ადრევე ჰქონდა მინიჭებული: "ყოჩები" – 4 ხმა, "ლოკომოტივი" – 1, "იმედი - აკადემია" – 5, აჭარა – 4, "აია" – 2, ქუთაისის 27-ე სკოლა – 2, "არმაზი" – 1, "ხულიგანა" – 2, "დინამო" – 1, "ლელო" – 4, უნივერსიტეტი – 2. ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად, ვეტერანები მათთვის სასიკეთო ერთ ამბავს მაინც გამორჩნენ: ვეტერანთა კავშირი რაგბის კავშირის წევრად აღიარეს და მომავალ არჩევნებში ხმის უფლებასაც შეჰპირდნენ.

პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ყრილობის თავმჯდომარის არჩევა. წესდების თანახმად, სხდომის წაყვანის უფლება გამგეობის წევრს ჰქონდა. ამ კანდიდატურაზე ანთაძის მხარდამჭერებმა თამაზ მგელაძის კანდიდატურა წამოაყენეს, რასაც კავშირი არ დაეთანხმა და სანაცვლოდ მიხეილ ბურძგლას კანდიდატურა დაასახელა. შექმნილმა მდგომარეობამ თამაზ მგელაძეს კანდიდატურის მოხსნის გადაწყვეტილება მიაღებინა, ანუ ყრილობის თავმჯდომარედ ავტომატურად მიხეილ ბურძგლა დაინიშნა. ამის შემდეგ მოქმედი პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენებასა და პრეზიდენტობის კანდიდატთა საარჩევნო პროგრამაზე მიდგა საქმე. საანგარიშო სიტყვაში ბიძინა გეგიძემ ნაკრების წარმატებაზე გაამახვილა ყურადღება, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა ოპონენტთა ბრალდებების სერია, ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონის, საფრანგეთში წასული მორაგბეების სანაცვლოდ კომპენსაციის არმიღების და სხვათა გამო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთმა კავშირის ხელმძღვანელობა საფრანგეთში წამსვლელ მოთამაშეთა შერჩევისას გამოჩენილ სუბიექტურობაში დაადანაშაულა - უცხოეთში იმ მოთამაშეებს უშვებდნენ, ვინც აწყობდათო. მალე ასეთი საუბარი შეწყდა და კანდიდატები საარჩევნო პროგრამის გამომზეურებას შეუდგნენ.

"24 საათში" ადრეც წაიკითხავდით, თუ რაზე აპირებს ყურადღების გამახვილებას ბიძინა გეგიძე, ასე რომ, რაიმე ახალი არც გუშინ უთქვამს. ასევე იყო მერაბ ანთაძეც - რასაც მანამდე საუბრობდა, გუშინაც იგივე თქვა. არც იმ კომპანიების ვინაობა გაამხილა, საქართველოს რაგბის კავშირის სპონსორობას რომ აპირებენ. თუ ამირჩევთ, დაწვრილებით მერე მოგახსენებთო. საღამოს ხუთ საათზე სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზიდან სტუმრები დაითხოვეს. მხოლოდ ხმის უფლების მქონე დეპუტატები დარჩნენ. თოთხმეტი თოთხმეტზე - ასე გაიყო საარჩევნო ხმები. ასეთ შემთხვევაში, წესის თანახმად, კავშირის სათავეში მომავალ არჩევნებამდე ბიძინა გეგიძე უნდა დარჩენილიყო.

"ბევრი რამ მაქვს მოსაფიქრებელი. დღეს დავჯდები ჩემს მეგობრებთან ერთად, ყველაფერს გადავწყვეტ და ორ-სამ დღეში სახალხოდ მოგახსენებთ, თუ რას ვაპირებ", - ასეთი იყო გეგიძის განცხადება არჩევის შემდეგ. ბევრმა ეს ისე გაიგო, თითქოს პრეზიდენტი თანამდებობის დატოვებას აპირებს. ზოგმა ისიც კი თქვა, იმიტომ არ ვთქვი ყველაფერი, რომ გეგიძე სუფთად წავიდეს თანამდებობიდანო.

რაგბის მესვეურებისგან ხშირად გაიგონებთ, რაგბი ჩვენი ოჯახია და ოჯახის პრობლემები შიგნით უნდა გადაწყდეს, სახალხოობა კარგს არაფერს მოგვიტანსო. ამის გამო მედიის წარმომადგენლები არ შეუშვეს ყრილობაზე. საინტერესოა, ვინ გადაწყვიტა, რომ რაგბი მხოლოდ მათი საკუთრებაა? როცა საკითხს ასე აყენებ, მაშინ არც ისაა სწორი, რაიმე პრობლემის გადასაჭრელად ხალხის დახმარებას, სტადიონზე 70 000 კაცის მისვლას რომ ითხოვ.

მომავალი ყრილობა მაისში უნდა ჩატარდეს – ასეთია გუშინდელი ყრილობის გადაწყვეტილება. სავარაუდოდ, მაისში პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებიც ჩატრადება, თუმცა, გაუგებარია, რატომ. ადვილი შესაძლებელია, ბიძინა გეგიძე მაისამდე დარჩეს თანამდებობაზე, რადგან, მისი თქმით, უახლოეს მომავალში გაკეთებული განცხადებით არც კავშირს დატოვებს უპატრონოდ და არც ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებს შეუქმნის პრობლემებს, რომელთაც ევროპის ერთა თასი და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი ელით.

ფორმულა 1

არც რევოლუცია, არც ევოლუცია

"ფერარიმ" ახალი ბოლიდი გამოამზეურა

გიგა გურასაშვილი



ბარიკელომ და შუმახერმა მსოფლიოს ახალი ბოლიდი წარუდგინეს.

REUTERS

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ახლო მომავალში იტალიური საჯინიბოს ფლაგმანის - "ფერარის" მრავალწლიან აღმასვლათა ჯაჭვს დაღმასვლაც მოჰყვება. ერთნი ამაში გარკვეულ ლოგიკას ხედავენ. ანუ, მაშინ, როდესაც წითელი ბარონი რბოლას რბოლაზე იგებდა (1999 წლიდან "ფერარი" მოწინავეთა შორისაა.- რედ.), მდევრის როლში მყოფი კონკურენტები ძალებს იკრებდნენ. ამაზე მეტყველებს შარშანდელი სეზონიც, როდესაც სკუდერიას ერთობ გაუჭირდა ჩემპიონის ტიტულის დაუფლება. მომძლავრებული საჯინიბოების გარდა, აშკარად გაიბრწყინეს ახალმა ვარსკვლავებმაც, რომლებიც რბოლებში გამობრძმედილ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს, მიხაელ შუმახერს, მოდუნების საშუალებას არ აძლევდნენ. ერთი სიტყვით, ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ჩემპიონის ტახტიდან "ფერარის" ჩამოგდება დროის ამბავია. გამოჩნდნენ მისნებიც, რომლებიც სკუდერიის მასშტაბურ კრიზისს 2007 წლიდან მოელიან. ბუნებრივია, იტალიურ საჯინიბოზე გავლენა იქონია 2003 წელმა. შეფიქრიანებულმა და შეფუცხუნებულმა იტალიელებმაც ოქროს შუალედის შესანარჩუნებლად დაიწყეს ფიქრი და 2006 წლისთვის გრანდიოზული გეგმების განხორციელება დაისახეს მიზნად. "ფერარის" პრესმდივნის ლუკა კოლაჯანის განცხადებით, 2006 წლისთვის სკუდერიას ახალი სარბოლო განყოფილება ექნება. უფრო სწორად, მარანელოში, "ფერარის" მშობლიურ მხარეში, 159 ათას კვადრატულ მეტრზე გაიშლება თანამედროვე საკონსტრუქტორო ცენტრი, რომელშიც განთავსდება ძრავის, ძარის, გადაცემათა კოლოფის დასამონტაჟებელი დარბაზი. ამისთვის "ფერარი" ნახევარი მილიარდი ევროს ინვესტირებას აპირებს!

და მაინც, როგორც არ უნდა გადანაწილდეს ძალები, ყველაფერს მშვიდად და აუღელვებლად ადევნებს თვალყურს "ფერარის" გამწევი ძალა მიხაელ შუმახერი. თუმცა, იმასაც აცნობიერებს, რომ წინ ბევრად დაძაბული სეზონი ელის.

"ზამთარში ზოგიერთმა სპეციალისტმა თითქმის დაგვასამარა, მაგრამ უნდა ვთქვა: ჩვენ კიდევ ცოცხლები ვართ, კიდევ ძლიერები ვართ. ვფიქრობ, ამ დონეს ერთხანს ისევ შევინარჩუნებთ. აშკარაა, რომ კარგად ვმუშაობთ. ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს რამეში ჩამოვრჩით, - აცხადებს შუმახერი და იქვე მეტოქეებზე აგრძელებს. – კონკურენტებმა, მართლაც, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ახალი მანქანები დასაწყისიდანვე ძალზე საიმედოა. თუმცა, იმედი მაქვს, ჩვენი მანქანაც საიმედო იქნება".

რაც შეეხება პირად კონკურენციას, გერმანელი მედგარ წინააღმდეგობას ელის "მაკლარენ-მერსედესის" ფინელი პილოტის, კიმი რაიკონენისგან. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონი სხვებსაც უწევს ანგარიშს. კერძოდ, ხანგრძლივი არდადეგების მერე შუმახერი ტესტებს დაუბრუნდა (ესპანეთში), აღმოაჩინა, რომ ძირითადი კონკურენტების - "მაკლარენ-მერსედესისა" და "BMW-უილიამსის" მსგავსად, ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებულა "რენოს" საჯინიბოც. "იმის შემდეგ, რაც ბარსელონაში ვნახე (შესვენების შემდეგ შუმახერი თანაგუნდელებს შეუერთდა ბარსელონაში, სადაც სკუდერია ტესტირებებს გადიოდა.-რედ.), შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს არა სამი, არამედ ოთხი გუნდი ("მაკლარენ-მერსედესი", "BMW-უილიამსი", "რენო" და "ფერარი"). ფაქტია, რთული სეზონი გველის, მაგრამ ჩვენ ამისთვის მზად ვართ".

ყველაფერთან ერთად, ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ დროა, "ფერარიმ" ახალგაზრდა პილოტებზე გადაიტანოს აქცენტი. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებმა საჯინიბოს მეორე ნომერთან, ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოსთან 2006 წლის ბოლომდე გაახანგრძლივა კონტრაქტი, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სკუდერია მომავალზე არ ფიქრობდეს. საკმაო ხანია, ფერარელები დაზვერვით სამუშაოებს ატარებენ იმისთვის, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი პილოტები გადაიბირონ. მართალია, სკუდერია შუმახერისა და ბარიკელოს შემცვლელებზე ჯერ არ ფიქრობს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, გარკვეული ხნის შემდეგ წითელმა ბარონმა კიმი რაიკონენზე ნადირობა გააჩაღოს. ამის დასტურია "ფერარის" პრეზიდენტის ლუკა დი მონტეძემოლოს ამასწინანდელი განცხადება: "ფერარის" პილოტების შემდეგ საუკეთესო მრბოლი კიმი რაიკონენია, თუმცა, ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ჯერ არ ვაპირებთ. მას "მაკლარენთან" ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, სამომავლოდ კი მიზანში გვყავს ამოღებული. ის ახალგაზრდაა, ჩვენც ახალგაზრდები ვართ და შეგვიძლია, ამ მხრივ გარკვეული პერსპექტივები დავსახოთ".

"ფერარის" ბოლოდროინდელი ხმამაღალი განცხადების ("მხოლოდ ჩემპიონის ტიტული!") მიუხედავად, დამდეგი ჩემპიონატის წინ გარკვეულ სიფრთხილეს მონტეძემოლოც იჩენს. მეტიც, "ფერარის" პრეზიდენტის ვარაუდით, შესაძლოა, მისმა გუნდმა ჩემპიონობა ვერც მოიპოვოს.

"რა თქმა უნდა, კვლავაც გვინდა გამარჯვება, მაგრამ დიდ კონკურენციას მოველი, - აცხადებს მონტეძემოლო და იქვე ტიფოზებს შესაძლო მარცხთან აქედანვე აგუებს. – თუ ჩემპიონატი წავაგეთ, ეს კატასტროფა არ იქნება.

ყველა მოელის, რომ წავაგებთ. თუ ეს ასე მოხდა, ვისურვებდი, რომ მეორე ვიყოთ. თუმცა, იმედი მაქვს, მაინც შევძლებთ გამარჯვებას".

გუშინ იტალიურმა საჯინიბომ საკუთარი პირმშოს პრეზენტაცია მოაწყო. მიხაელ შუმახერმა, რუბენს ბარიკელომ და "ფერარის" ტესტ-პილოტმა ლუკა ბადოერმა სახელდახელოდ გაშლილ სცენაზე ახალ, 50-ე ბოლიდს - F2004-ს წითელი ფარდა გადახადეს. ყველა მოუთმენლად ელოდა, თუ რას წარმოადგენდნენ იტალიელები: რევოლუციას თუ ევოლუციას. წინასწარი ვარაუდით, ახალი ბოლიდი წინამორბედ F2003-GA-ზე "ტანადი" უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც მონტეძემოლომ პრეზენტაციამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა: "ფორმულა 1-ში მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ გამოიყურება მანქანა, არამედ ის, თუ რამდენად საიმედო და სწრაფია".

რაც შეეხება გარეგნულ იერსახეს, ამ შემთხვევაში გამართლდა ცნობილი ექსპერტების ჰანს-იოაჰიმ შტუკისა და მარკ შურერის ვარაუდი. შტუკი აცხადებდა, რომ ახალი ბოლიდი წინამორბედის - F2003-GA მსგავსი იქნებოდა, ხოლო შურერს იმედი ჰქონდა, რომ "ფერარი" რამე კარდინალურს არ შექმნიდა. მართლაც, ყველა დარწმუნდა, რომ ახალი F2004, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო ცვლილებებს, წინამორბედის მსგავსია. თუმცა, როგორც ამბობენ, ავსტრალიის გრან-პრისთვის (მელბურნი, 7 მარტი, მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპი), ბოლიდი ფორმას კიდევ შეიცვლის.

ძიუდო

მოსკოვში დარჩენილი ლიცენზიები

წლეულს სალიცენზიო ტურნირებში პირველები ძიუდოისტები ჩაერთვნენ, მაგრამ პირველივე მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. მოსკოვის სუპერ A კატეგორიის ტურნირზე, რომელშიც 44 ქვეყნის 272 ძიუდოისტი გამოდიოდა, ქართველებს ხელშესახები წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. არადა, რუსეთის დედაქალაქში საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციით გაემგზავრნენ, თუმცა, რაოდენობა ხარისხზე არ აისახა.

თავის მართლების ერთადერთ მოტივად ისღა რჩება, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა მოსკოვურ ტატამზე, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ახალგაზდრული გუნდი წაიყვანა. თუ არ ჩავთვლით 90 კგ წონით კატეგორიას, ქართველები თითოეულ წონაში ორ-ორი ძიუდოისტით გამოვიდნენ. რაც შეეხება 90 კგ წონას, აქ ორთაბრძოლებმა ქართველების გარეშე ჩაიარა. ამ წონისთვის ხაბარელს მინდია ბოდაველი ჰყავდა შეგულებული, მაგრამ ტურნირამდე ცოტა ხნით ადრე ბოდაველი ავად გახდა. მოსკოვში არ უასპარეზიათ აგრეთვე 60 და 66 კგ წონითი კატეგორიის ლიდერებს. ხაბარელმა ამჯობინა, ისინი დაესვენებინა, რათა ბევრად უფრო წარმომადგენლობით, იგივე რანგის, ანუ პარიზის სუპერ A კატეგორიის ტურნირს სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ. გარდა ამისა, ახალგაზრდული გუნდის წაყვანა ეკონომიკურმა ფაქტორმაც განაპირობა - მოსკოვში გამგზავრება შედარებით იაფი ჯდებაო. ერთადერთი, რაც მოსკოვში ქართველმა ძიუდოისტებმა შეძლეს, ეს ერთი მეხუთე და ერთიც მეშვიდე ჩასათვლელი ადგილებია. მეხუთე ადგილი გრიგოლ შინჯიკაშვილმა (81კგ) დაიკავა, ხოლო მეშვიდე - მძიმეწონოსანმა ზვიად ხანჯალიაშვილმა.

ნაკრები ასე გამოიყურებოდა: ვახტანგ ხოსიტაშვილი, დათო სიმონიშვილი (60კგ), ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომიზური (66კგ), გიორგი რევაზიშვილი, დავით ბოდაველი (73კგ), გრიგოლ შინჯიკაშვილი, დავით ნადარაია (81კგ), გიორგი გუგავა, გიორგი ყიზილაშვილი (100კგ), ალექსი დავითაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა).

ჩოგბურთი

ავსტრალია ავსტრალიელების გარეშე

მწვანე კონტინენტზე მიმდინარე დიდი სლემის ტურნირთაგან პირველზე, ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, კისერი წაიტეხეს მასპინძლებმა – მარკ ფილიპუსისმა და ლეიტონ ჰიუიტმა. მერვედფინალური ბარიერი ვერც ერთმა ვერ გადალახა.

გუშინ კორტზე გასულმა ფილიპუსისმა, მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი დაუპირისპირა მაროკოელ ჰიშამ არაზის. ფილიპუსისი თავიდანვე უგერგილოდ ირჯებოდა და ამისთვის სამ სეტში - 2:6, 2:6, 4:6 დაისაჯა კიდეც.

რაც შეეხება ჰიუიტს, რომელიც ორი წლის (2001 და 2002 წლებში) განმავლობაში წლის საუკეთესო ჩოგბურთელის სახელით სარგებლობდა, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მერვე დღეს შვეიცარიელ როჟე ფედერერთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა. ჰიუიტისა და ფედერერის დაპირისპირებაში პირველი სეტი დაძაბული ორთაბრძოლით გამოირჩეოდა. მელბურნ-პარკის როდ ლეივერის სახელობის კორტზე მრავლად მყოფ გულშემატკივრებს საწყის სეტში იმედი გაუჩნდათ, რომ ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული მათი თანამემამულე გამოვიდოდა, მაგრამ იმედები მეორე სეტშივე საპნის ბუშტივით გასკდა.

პირველი სეტის 6:4 მოგების შემდეგ ჰიუიტმა აშკარად მოუკლო თამაშს. ბუნებრივია, ავსტრალიელის სისუსტით შვეიცარიელმა ისარგებლა. მეორე სეტის 6:3 მოგების შემდეგ, ფედერერმა, შეიძლება ითქვას, აიწყვიტა – მესამე სეტი ისე მოიგო, რომ ჰიუიტს ერთი გეიმიც არ დაანება. ანუ, მეორე და განსაკუთრებით მესამე სეტში ჰიუიტი თავის თავს არ ჰგავდა. არ ჰგავდა იმ ჩოგბურთელს, რომელიც ორიოდე წლის წინათ ყველას მუსრს ავლებდა. ეტყობა, აღმასვლითა და დაღმასვლით გაჯერებულ შარშანდელ სეზონს უკვალოდ არ ჩაუვლია. არ იგრძნობოდა ის მუხტი თუ აღმაფრენა, რომელმაც ავსტრალიელს აშშ-ის ღია ჩემპიონატი და უიმბლდონი მოაგებინა.

მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, ჰიუიტი ერთადერთხელ შემობრუნდა კორტისკენ. მეოთხე სეტში, ვიდრე ანგარიში 2:2 იქნებოდა, ავსტრალიელი საკუთარი მოწოდებისას დამაჯერებლად მოქმედებდა. მეტიც, ერთხელ ბრეიკთანაც ახლოს იყო. მაგრამ ეს იყო წამიერი მოვლენა. მერე და მერე მასპინძელმა პოზიციები დათმო. ამას მოჰყვა ფედერერის მხრიდან ინიციატივის ჩაგდება. შვეიცარიელს, ფაქტობრივად, ყველაფერი გამოსდიოდა – იგერიებდა რთულ ბურთებს. ეს მაშინ, როდესაც გარკვეული სიტუაციის გათვალისწინებით თითქოს ვითარება ჰიუიტის სასარგებლოდ ბრუნდებოდა. მაგრამ ფაქტია, შვეიცარიელმა ყოველმხრივ დაჯაბნა ჰიუიტი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მატჩი დასრულდა ანგარიშით – 4:6, 6:3, 6:0, 6:4.

ერთი სიტყვით, ავსტრალია ორივე იმედს გამოეთხოვა. ვინაიდან საქმოგო თანამემამულეთაგან აღარავინ დარჩათ, ახლა ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეუძლიათ, ესაა, უქმაგონ მაროკოელი ჰიშამ არაზისა და შვეიცარიელი როჟე ფედერერის მეტოქეებს, რათა ამით მაინც მოიოხონ გული. მაროკოელისა და შვეიცარიელის შემდეგი მეტოქეები კი შეიძლება ვეძებოთ რუს მარატ საფინში, ამერიკელებში ენდი როდიკისა და ანდრე აგასიში, ფრანგ სებასტიან გროსჟანში, არგენტინელ დავიდ ნალბანდიანსა და ესპანელ კარლოს მოიაში.

TV–სპორტი

სამშაბათი. 27 იანვარი

НТВ+ ФУТБОЛ
07:30 NBA TV - NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1986. პირველი წრე. "PHILADELPHIA 76 ERS" - "WASHINGTON BULLETS". პირველი თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საბერძნეთის ჩემპიონატი. "პანათინაიკოსი" – აეკ-ი
15:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
15:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
18:40 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები. ფინალი. კოლუმბია – არაბეთის გაერთიანებული სახალიფო
20:25 თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 "დარტყმა გოლისთვის"
21:00 "გამჟღავნება"
21:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "იუვენტუსი" – "რეალ სოსიედადი". შესვენებისას (23:15) – თავისუფალი დარტყმა
00:35 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები. ბრაზილიის ჩემპიონატი. "ფიგეირენსე" – "სან-პაულუ"
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1987. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "SEATTLE SUPERSONICS" - "HOUSTON ROCKETS". მე-6 თამაში
06:30 NBA TV. დღიური

НТВ+СПОРТ
11:00, 14:00, 17:15 პრესცენტრი
11:15, 23:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DALLAS STARS" – "DETROIT RED WINGS"
14:15 "რკინის ფაქტორი". მსოფლიო ჩემპიონატი ბოდიბილდინგში. ესპანეთი. პირველი ნაწილი
14:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
15:15 ბადმინტონი. ITTF Pro Tour ხორვატიაში. ფინალი
17:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
18:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მეოთხედფინალები. შესვენებისას (20:00) - პრესცენტრი
22:00 ვარსკვლავური სამშაბათი
23:05 სახვალიო ტელეპროგრამა
23:10 "ბილიარდის მეუფენი"
23:40 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DALLAS STARS" – "DETROIT RED WINGS". შესვენებისას (01:00) – ახალი ამბები
02:10 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
02:40 02:40-დან 04:00-მდე შესვენება
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მეოთხედფინალები

EUROSPORT
09:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
17:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
19:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
21:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
23:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 მულტისპორტი
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

სანამ ადამიანი მარსზე შეაბიჯებდეს

მერაბ ლორთქიფანიძე

მას შემდეგ, რაც გადალახა სამმეტრიანი დისტანცია დასაჯდომი კაპსულის პლატფორმიდან მარსის ზედაპირამდე, მარსმავალი "სპირიტი" შეუდგა ჩვენი მეზობელი პლანეტის დაწვრილებით შესწავლას.

წითელი პლანეტის ზედაპირზე "სპირიტის" დაშვების საკმაოდ რთული ოპერაცია 14 იანვარს განხორციელდა მას შემდეგ, რაც მარსმავალმა პლატფორმაზე თანმიმდევრობით განახორციელა 45, 50 და 20-25-გრადუსიანი შემობრუნება. ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ "სპირიტი" გათავისუფლებულიყო პლატფორმაზე მიბმული პნევმობალიშების გარსისგან, რომლებიც ზონდის მარსზე დაშვების შემდეგ ბოლომდე არ დაიჩუტა და სერიოზულ ხიფათს უქმნიდა ექსპედიციას.

დაეშვა რა მყარ გრუნტზე ექვსივე ბორბლით, "სპირიტმა" თავისი რობოტიზირებული "კიდურები" აამოქმედა და წითელი პლანეტის გრუნტის პირველი ნიმუშები მიაწოდა თავის კორპუსზე განლაგებულ მინილაბორატორიას, რომელიც ულტრათანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი და გრუნტის ლაბორატორიული დამუშავების შედეგად მიღებულ პასუხებს გადასცემს ექსპედიციის მართვის ცენტრს, რომელიც ქალაქ პასადენაშია (კალიფორნიის შტატი) განლაგებული.

პირველი ექსპერიმენტი ცის სპექტრული სურათის გადაღებას ითვალისწინებდა. სპირიტმა" თავისი მინი თერმოემისიური სპექტრომეტრი ცისკენ მიმართა, რათა პლანეტის ატმოსფეროს სპექტრული სურათი გადაეღო. ამ სურათის საშუალებით, მეცნიერებს საშუალება ექნებათ, მაღალი ალბათობით განსაზღვრონ წითელი პლანეტის ატმოსფეროს შემადგენლობა. იგივე სამუშაოს, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით, შეასრულებს მარსის ორბიტაზე (იგი ზედაპირიდან 300 კილომეტრის სიმაღლეზე უვლის გარს პლანეტას) მოძრავი ევროპული კოსმოსური ხომალდი "მარს ექსპრესი", რომელმაც წითელ პლანეტაზე ევროპული ზონდი "ბიგლ 2" მიიყვანა (300 ათას ევროდ ღირებულმა ზონდმა წარუმატებელი დაშვება მოახდინა და იგი დღეისათვის დაკარგულად ითვლება), რის შემდეგაც ის ორბიტალური ლაბორატორიის ფუნქციებს ასრულებს და დედამიწაზე მარსის ატმოსფეროს სპექტრულ ფოტოებს აგზავნის.

სპექტრული სურათების გადაღების შემდეგ "სპირიტი" ერთ-ერთი ლოდის სიახლოვეს შეჩერდა, რომლის გამოკვლევასაც იგი ერთ კვირას მოანდომებს, შემდეგ კი გზას გაუდგება და მომდევნო სამი თვის განმავლობაში გეოლოგიურ სამუშაოებს შეასრულებს.

"სპირიტი", პირველ რიგში, გუსევის კრატერს შეისწავლის

კოსმოსური კვლევის ეროვნულმა სააგენტომ (NASA) გამოაქვეყნა ობიექტების სია, რომლების შესწავლასაც "სპირიტი" აპირებს. პირველ რიგში, ესაა გუსევის კრატერი, რაც მეცნიერთა ვარაუდით, ერთ დროს ტბა იყო, მაგრამ მეტეორიტების ხშირმა ვარდნამ აქ წითელ პლანეტაზე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გეოლოგიური შეჯგუფება დატოვა. კრატერის მეტნაკლებად შესწავლის შემდეგ "სპირიტი" გზას ჰორიზონტისკენ გააგრძელებს. თუმცა, დღესვე შეიძლება იმის თქმა, რომ ის ვერ შეძლებს სამი კილომეტრის გავლას, რომელიც მისი დაშვების ადგილსა და იმ მაღლობებს აშორებთ, "სპირიტის" მიერ გადაღებულ პანორამულ ფოტოებზე რომ მოსჩანს – წინასწარი გათვლებით, მზისგან მიღებული ენერგია მარსმავალს მხოლოდ 600-700 მეტრის გავლის საშუალებას მისცემს.

მარსიდან მიღებული პირველ მაღალხარისხოვან გამოსახულებათა ანალიზი ჯერჯერობით არ ადასტურებს კრატერში ოდესმე ტბის არსებობის ფაქტს. და თუ ტბა აქ მაინც იყო, კრატერის ზედაპირის თავისებურებანი დიდი ხნის მანძილზე იმდენად შეიცვლებოდა, რომ იქ წარსულის კვალის პოვნა მეტისმეტად ძნელი იქნება.

ამასთან, ზოგიერთი ექსპერტი ირწმუნება, რომ გუსევის კრატერში გაბნეული დიდი რაოდენობით ქვები სწორედ იმას მოწმობს, რომ აქ ოდესღაც წყალი უნდა ყოფილიყო. სხვა მოსაზრებით, ქვების დახლეჩა მათზე მეტეორიტების დაცემის შედეგად ხდებოდა. სწორედ მეტეორიტების ცვენის შედეგად წარმოიქმნებოდა მარსის ზედაპირზე არსებული კრატერების უმეტესობა.

გარდა ამისა, მეცნიერები დაინტერესდნენ იმ მტვრითაც, რომლითაც დაფარულია კრატერის ზედაპირი. მტვერი მეტად ბლანტია და რაღაცით ტალახს წააგავს, თუმცა NASA-ს ექსპერტი მაიკლ მეილინი აცხადებს, რომ ასეთი ტალახის არსებობა სულაც არ ნიშნავს, რომ მტვერი წყლითაა შეკრული.

დაშვების ადგილიდან ცოტა მოშორებით არის ზონა, რომელსაც "ამოფრქვევის არეს" უწოდებენ. აქ არის გრუნტი და ქვები, რომლებიც კრატერში მეტეორის დაცემის შედეგად, დაახლოებით, 30 მეტრის სიღრმიდანაა ამოფრქვეული. მეცნიერები ამ ადგილს უწოდებენ "ფანჯარას მარსის მიწისქვეშა სამყაროდან". ამ ადგილის შესწავლაზე ექსპედიციის მონაწილენი დიდ იმედებს ამყარებენ. მათი აზრით, აქაური გრუნტისა და ქვების შესწავლა მკვლევარებს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის პლანეტის შიდა შრეების შესახებ.



ასეთი იქნება კოლონია მარსზე.

მარსმავალი სინჯებს რობოტიზებული კიდურით აგროვებს.



ასე გამოიყურება ადირონდაკი.

იდუმალი "ადირონდაკი"

მაშ ასე, "სპირიტი" მარსის ზედაპირზე დაეშვა და უკვე შეუდგა მის საფუძვლიან შესწავლას. თანაც სურათებსაც იღებს, მაგრამ სულ ათიოდე ფუტის (დაახლოებით 3.5 მეტრი) გავლის შემდეგ პასადენას მართვის ცენტრში მისი წინსვლა შეაჩერეს, რამეთუ მარსმავალი მიუახლოვდა პირველ დიდ ლოდს, რომელსაც მეცნიერებმა "ადირონდაკი" შეარქვეს (ასე ეწოდება აპალაჩების მთიანეთის ერთ-ერთ მასივს).

მეცნიერები ფიქრობენ, რომ რაგბის ბურთისოდენა ქვა, რომელიც ფორმით პირამიდას მოგვაგონებს, ბაზალტისაა და იგი მარსის ზედაპირზე მილიონობით წლის წინ, ვულკანური ამოფრქვევის შედეგად მოხვდა. მასთან მიახლოებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში, "სპირიტი" მისი რობოტკიდურების მეშვეობით, დაწვრილებით შეისწავლის ამ ვულკანური წარმოშობის ქვას, რომლის ნაწილაკებსაც მიკროსკოპითა და სპექტრომეტრით "გასინჯვა" ელით. ქვის ფორებიდან რობოტი მტვრის ნაწილაკებსაც ამოიღებს, მაგრამ წინასწარი ვარაუდით, ეს ნაწილაკები იქ ხშირი ქარების შედეგად უნდა მოხვედრილიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იმ მტვრის იდენტურნი იქნებიან, რომელშიც ჩაფლულია "ადირონდაკი".

მკვლევარ დეივ დეს მარაისს მიაჩნია, რომ "ადირონდაკი" ერთგვარი "დროის კაპსულაა", რომელშიც დამალულია წითელი პლანეტის წარსული და მისი გამოკვლევით, მეცნიერები უკეთ გაეცნობიან მარსის ისტორიას. ამასთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სწორედ ამ ქვის გამოკვლევისას ჩაუტარდება პირველი სერიოზული გამოცდა "სპირიტის" მინი-ლაბორატორიას რომლების ქმედითუნარიანობაზეც მეცნიერები დიდ იმედებს ამყარებენ.

მეცნიერები კმაყოფილნი არიან იმითაც, რომ მარსზე "სპირიტის" დაშვების დღიდან (3 იანვარი) გუსევის კრატერის ირგვლივ შესანიშნავი ამინდია და თუ ასე გაგრძელდა, მარსმავალის მზის ელემენტების დამტვერვა არც ისე ინტენსიური იქნება. შესაბამისად, გამორიცხული არ არის, რომ "სპირიტმა" დაგეგმილ სამ თვეზე მეტხანს იმუშაოს.

"სპირიტი" ჩვენს პლანეტაზე შექმნილი სულ მეოთხე რობოტია, რომლებიც კი ოდესმე დაშვებულან მარსზე. წითელ პლანეტაზე პირველი წარმატებული ექსპედიცია ჯერ კიდევ 1976 წელს განხორციელდა, მის ზედაპირზე დაეშვა ორი მარსმავალი სახელად "ვიკინგი". დაახლოებით ოცი წლის შემდეგ ექსპედიციამ პლანეტაზე მარსმავალი "პატფინდერი" მიავლინა. სამივე რობოტი დღესაც წითელი პლანეტის ზედაპირზე იმყოფება, თუმცა მათ დიდი ხნის წინ შეწყვიტეს ფუნქციონირება.

ამერიკელთა გეგმები

მარსზე წარმატებით მიმდინარე ექსპედიციის პარალელურად, თეთრ სახლში გამოსვლისას აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საზოგადოებას გააცნო მისი კაბინეტის მიერ შემუშავებული გრანდიოზული გეგმა, რომელიც 2015-2020 წლებში მთვარეზე ადამიანის გაგზავნას ითვალისწინებს. იმავე პერიოდში მარსზე ადამიანის მივლინების მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაა ნავარაუდევი.

ბუშის გეგმის მიხედვით, ამერიკელი ასტრონავტები ჩვენი პლანეტის თანამგზავრის ზედაპირზე შექმნიან მუდმივმოქმედ სადგურს. მანამდე კი, 2008 წლიდან, ამერიკული რობოტები დაიწყებენ მთვარის შესწავლას და პარალელურად, იქ ადამიანის ვიზიტისთვის საფუძველს მოამზადებენ. შვიდი წლის შემდეგ მოსალოდნელია იქ პირველი ამერიკელი ასტრონავტის დაშვება.

"მთვარეზე ამერიკა 2015 წელს დაბრუნდება. არაუგვიანეს 2020 წლისა, ჩვენ იქ მომზადებულ ბაზას გაცილებით სერიოზული და ამბიციური მისიის შესასრულებლად გამოვიყენებთ. მთვარეზე მიღებული გამოცდილება და ცოდნა კი მარსზე პილოტირებული მისიის განსახორციელებლად გამოგვადგება", - ნათქვამია ბუშის მოხსენებაში.

მთვარის ფორპოსტზე ასტრონავტები ხუთი წლის განმავლობაში უამრავ ექსპერიმენტს ჩაატარებენ და უახლეს ტექნოლოგიებს ჩაუტარებენ სერიოზულ ტესტირებას. ამ მიზნებისთვის ამერიკელებს დაგეგმილი აქვთ სრულიად ახალი "პილოტირებადი საკვლევი ხომალდის" შექმნა, რომელიც დღეს მოქმედი "შატლების" ადგილს დაიკავებს ამერიკელთა კოსმოსურ პროგრამაში. ახალი ხომალდი 2008 წლისთვის იქნება მზად და პირველ პილოტირებულ ექსპედიციას განახორციელებს არაუგვიანეს 2014 წლისა.

პარალელურად, აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, ამერიკელები გააგრძელებენ მუშაობას საერთაშორისო კოსმოსური სადგურის შესაქმნელად, რომლის დასრულებაც 2010 წლისთვისაა დაგეგმილი. სწორედ ამ მიზნის შესასრულებლად აპირებს NASA "შატლების" ფრენების განახლებას. თუმცა, სადგურის შექმნიდან 6 წლის შემდეგ ამერიკელები ამ პროექტში მონაწილეობას შეწყვეტენ. დეკადის ბოლოსვე დაემთხვევა "შატლების" პენსიაში გაშვება, რომლებიც ბოლო 30 წლის განმავლობაში ემსახურებოდნენ NASA-ს.

ახალი ორბიტალური კოსმოსური ხომალდები

ახალი კოსმოსური პროგრამის დასაფინანსებლად და ახალი პილოტირებადი ხომალდის ასაგებად, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში კოსმოსის ათვისებაზე გათვალისწინებული ხარჯების 12 მილიარდი დოლარით გაზრდას მოითხოვს. სულ NASA-ს ხუთწლიანი ბიუჯეტი 86 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ორბიტალური კოსმოსური ხომალდის (OSP – Orbital Space Plane) შესაქმნელად კონკურსში რამდენიმე დიდი კომპანია მონაწილეობდა, თუმცა დღეისათვის არსებული ინფორმაციით, მასში სულ ორი კონკურენტიღა შემორჩა. ესენი არიან "ბოინგი" და კონსორციუმი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან "ლოკჰიდ მარტინი", "ნორტროპ გრუმენი" და "ორბიტალ საიენსი".

ამ უკანასკნელის პროექტით, ფრთოსანი კაპსულა ოთხ ასტრონავტზეა გათვლილი. იგი "შატლთან" შედარებით ხუთჯერ მცირე ზომისაა და სიმსუბუქითაც გამოირჩევა, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მის გასაშვებად გამოყენებულ იქნას საშუალო კლასის მზიდი რაკეტები, რომლებსაც არ გააჩნიათ მყარსაწვავიანი ამაჩქარებლები. კაპსულასთან შეერთებულია მომსახურე მოდული საწვავის ავზითა და მომცრო სარაკეტო ძრავით, რომლის დანიშნულებაცაა კოსმოსურ სადგურთან მიახლოება და შეპირაპირება. ამ პროექტით პერსპექტივაში გათვალისწინებულია უფრო დიდი ზომის მოდულების შექმნა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება გაცილებით შორეული რეისების შესრულება. ასეთი აპარატები დიდ როლს შეასრულებენ მთვარის ათვისების პროგრამაში.

სანამ ამ მისიას შეუდგებოდეს, NASA მოითხოვს, რომ ახალი ტიპის ხომალდებმა 2010 წლიდან დაიწყონ მორიგეობა კოსმოსში, სადაც პირველ რიგში მაშველის და საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ასტრონავტების გადამყვანის მოვალეობებს შეასრულებენ.

გადაწყვეტილია ისიც, რომ მთვარეზე დაშვებისას, კაპსულის მთავარი დამმუხრუჭებლის როლს პარაშუტები შეასრულებენ, რომლებსაც საქმეში არაერთხელ დაუმტკიცებიათ თავიანთი ქმედითუნარიანობა და საიმედოობა.

ამასთან, NASA მოითხოვს, რომ ახალ კაპსულას უნდა შეეძლოს ვითარების ექსტრემალურად შეცვლის შემთხვევაში ოპერატიულად მოქმედება. მაგალითად, თუ კოსმოსურ სადგურზე რომელიმე ასტრონავტი მოულოდნელად დაავადდება, უნდა არსებობდეს მისი ჩვენს პლანეტაზე ერთ დღეში დაბრუნების შესაძლებლობა. ამის უზრუნველყოფა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ მოდულს აქტიური მანევრირების უნარი ექნება. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ მას არ მოუხდეს ლოდინი იმისა, თუ როდის დაიკავებს ორბიტალური სადგური კაპსულის პლანეტაზე გამოსაშვებად ხელსაყრელ პოზიციას.

ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, "ლოკჰიდ მარტინის" ინჟინრებმა "შატლისა" და "სოიუზის" ერთგვარი ჰიბრიდის გამოყვანა განიზრახეს - მცირე ზომის ფრთების საშუალებით, მათ მიერ შექმნილ აპარატს ატმოსფეროს ზედა, გაუხშოებულ ფენებში ეფექტური მანევრირების საშუალება ექნება. თუმცა, ამ ფრთების ფართობი მაინც არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ აპარატმა დაშვება აეროდრომზე განახორციელოს, როგორც ამას "შატლები" აკეთებენ. სწორედ ამისათვის, საქმეში მაღალეფექტური პარაშუტები ჩაერთვება.

რაც შეეხება მეორე პროექტს, რომელზეც "ბოინგი" მუშაობს, იგი ბევრი არაფრით განსხვავდება კონკურენტების პროექტისგან. თუმცა, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, კომპანიას ჯერაც საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტია, აირჩიოს ფრთოსანი მოდული, თუ დაუბრუნდეს ზესაიმედო უფრთო კაპსულებს, როგორებიცაა "სოიუზი" და "აპოლო".

ასეთ პირობებში, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ NASA უპირატესობას "ლოკჰიდ მარტინის" პროექტს მიანიჭებს...

პირველი აღმოჩენა და პრობლემები

დავუბრუნდეთ "სპირიტს", რომელმაც უკვე გამოაგზავნა დედამიწაზე "ადირონდაკზე" შესრულებული პირველი გამოკვლევების პასუხები რომლებიც გასულ ოთხშაბათს ჩაატარა. მონაცემები მოულოდნელი გამოდგა ყველაზე ოპტიმისტებისთვისაც კი და მათ ერთგვარი გაუგებრობაც გამოიწვიეს მკვლევართა შორის.

აღმოჩნდა, რომ მინერალებში, რომლებიც "სპირიტმა" თავისი რობოტიზირებული ხელის საშუალებით მოიპოვა, მიკროსკოპისა და ორი სპექტრომეტრის საშუალებით დაფიქსირებულია კრემნიუმის, გოგირდის, ქლორის, კალციუმის, თუთიის, რკინისა და ნიკელის შემცველობა. ამასთან, საკვლევ მტვერში აღმოჩენილია კრისტალური მარილიც. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა სტივ სკვაიერზმა განაცხადა, რომ ყოველივე ქვის ვულკანურ წარმოშობაზე მიუთითებს. მარილი კი აქ წყლის აორთქლების შედეგად უნდა დარჩენილიყო. ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, ეს მინერალები უშუალოდ კრატერიდანაა ზედაპირზე ამოსული, თუ ისინი აქ ქარებმა მოიტანა.

ახლა იმ არეალში, სადაც "სპირიტს" უწევს მოღვაწეობა, მარსიული გვიანი ზაფხულია, ამ დროიდან კი იქ ძლიერი ქარიშხლები იწყება. მარსზე ხშირია მტვრის ქარბორბალები, რომელთა დიამეტრი ას მეტრსაც კი აღწევს. მათ მარსმავალების დაზიანება და მწყობრიდან გამოყვანაც შეუძლიათ. პარალელურად, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, "სპირიტის" მოქმედებაზე დიდ როლს თამაშობს ჩვენი პლანეტის ქარიშხლებიც. კერძოდ, ექსპედიციასთან კავშირის დამყარებაში მონაწილეობს ავსტრალიაში განლაგებული კავშირის ანტენები. იქ კი ამ დღეებში ძლიერი ჭექა-ქუხილი იყო, რამაც პასადენას მართვის ცენტრიდან მარსისკენ (და პირიქით) რადიოსიგნალების გაგზავნის შეფერხება გამოიწვია...

ალბათ, ეს ორივე ფაქტორი ერთდროულად იყო დამნაშავე იმაში, რომ ოთხშაბათიდან პარასკევამდე "სპირიტი" დედამიწაზე სიგნალებს არ აგზავნიდა. ეს იმ დროს დაემთხვა, როცა გუსევის კრატერის გარშემო ძლიერი ქარი ამოვარდა. თუმცა, პარასკევიდან მარსმავალმა განაახლა სიგნალების გამოგზავნა, რომელთა მიხედვითაც მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ აპარატს გარკვეული პრობლემები ჰქონდა კომპიუტერთან დაკავშირებით. როცა ამგვარი სიტუაცია იქმნება, კომპიუტერი თავად ახდენს გადატვირთვას. პასადენაში ამბობენ, რომ "დუმილის" ორი დღის განმავლობაში "სპირიტის" კომპიუტერი დაახლოებით 60-ჯერ მოასწრებდა გადატვირთვას.

დღეისათვის იგი უკვე აგზავნის კონკრეტულ ინფორმაციას პასადენაში, თუმცა იქაური სპეციალისტები ამბობენ, რომ აპარატის სრულფასოვან ამუშავებამდე რამდენიმე დღე, შესაძლოა, ორი კვირაც კი გავიდეს.

სანამ "სპირიტი" ისვენებს

სანამ პირველი მარსმავალი "გონზე მოვიდოდეს", მანამდე წითელ პლანეტაზე დაშვება უკვე განახორციელა მისმა ტყუპისცალმა, აპარატმა "ოპორტუნიტიმ". დაშვება განხორციელდა მარსის ეკვატორულ ნაწილში, გუსევის კრატერის საპირისპირო მხარეს. ამ ადგილს პირობითად მერედიანი პლანუმს უწოდებენ და მეცნიერთა ვარაუდით, აქ ერთ დროს ოკეანე უნდა ყოფილიყო.

"ოპორტუნიტიმ" თითქმის სრულად გაიმეორა ის მანევრები, რომლებიც დაშვებისას შეასრულა "სპირიტმა". თუმცა, მისგან განსხვავებით, უსაფრთხოების უზარმაზარ აიროვან ბალიშებში შეფუთულმა მოდულმა რამდენიმე ყირა გააკეთა და პირველი თავდაყირა გაჩერდა. თუმცა, მოდული იმგვარადაა დაპროექტებული, რომ აპარატს ამით პრობლემები არ შექმნია. ეგაა, გაშლისთვის მას 15 წუთით მეტი დასჭირდა. თუმცა, როგორც პასადენაში განაცხადეს, ყველაფერი რიგზეა. უფრო მეტიც, "ოპორტუნიტიმ" უკვე გამოგზავნა პირველი ფოტოსურათები. მისი დაშვების პროცესს პასადენას ცენტრში თვალყურს ადევნებდა კალიფორნიის ახლადარჩეული გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი.

აღსანიშნავია, რომ "ოპორტუნიტის" მოდულის აჩქარება, როცა ის მარსის ზედაპირს შეეხო, ორ-სამჯერ სჭარბობდა ჩვენი პლანეტის მიზიდულობას. თუმცა, უსაფრთხო დაშვება უზარმაზარმა პნევმატურმა ბალიშებმა უზრუნველყო და ზედაპირთან შეხებიდან 15 წუთის შემდეგ "ოპორტუნიტიმ" პასადენას დაშვების წარმატებით განხორციელების შესახებ აუწყა. მის მიერ გამოგზავნილი ფოტოებიდან ჩანს, რომ მერედიანი პლანუმის ლანდშაფტი ბევრად განსხვავდება გუსევის კრატერისაგან. აქ მთიანი და კრატერებიანი გარემოა, თუმცა მასზე გადაადგილება მარსმავალს არ გაუჭირდება.

"მარს ექსპრესმა" მარსზე წყალს მიაგნო

სანამ "სპირიტი" დუმდა, "ოპორტუნიტი" კი წითელ პლანეტაზე დაშვების ოპერაციას დაიწყებდა, პლანეტის ორბიტაზე მოძრავმა ევროპულმა კოსმოსურმა აპარატმა "მარს ექსპრესმა" სენსაციური ინფორმაცია გადმოსცა მართვის ცენტრს, რომელიც გერმანიის ქალაქ დარმშტადტშია განლაგებული.

აპარატი ორბიტიდან ახდენს ფოტო და სპექტროგადაღებებს. სწორედ მათი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პლანეტის სამხრეთი პოლუსი ყინულითაა მოცული. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა რაოდენობითაა წყალი მარსზე. ასევე უცნობია, ყინული მუდმივია, თუ მარსიული ზაფხულის პერიოდში ორთქლდება. თუმცა, ახლა იქ ზაფხულია და რამდენადაც ყინული შენარჩუნებულია, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ის არ ორთქლდება. ესე იგი, ყინული მუდმივია.

გარდა ამისა, ევროპელმა სწავლულებმა მარსის ზედაპირზე წყლით გამოწვეული ნიადაგის ეროზიის კვალიც აღმოაჩინეს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ზედაპირის ეროზია კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ მარსზე წყალი არსებობს.

ევროპის კოსმოსური სააგენტოს წამყვანი ანალიტიკოსის, გერმანიის მარსიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტ მარკუს ლანდგრაფის თქმით, პლანეტის სამხრეთ პოლუსზე აღმოჩენილ ყინულში შეიძლება მილიარდობით ტონა წყალი იყო თავმოყრილი. მეცნიერები ადრე თვლიდნენ, რომ წითელი პლანეტის პოლუსის ყინულოვანი "ქუდი" შეიძლებოდა ყოფილიყო ეგრეთ წოდებული მშრალი ყინული – ნახშირჟანგის გაყინული მასა. თუმცა, დღეისათვის უკვე არსებობს საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ მშრალი ყინულის ქვეშ წყლის ყინულის უზარმაზარი მარაგია.

ამ ყინულის სიღრმე პოლუსის სიახლოვეს რამდენიმე კილომეტრია. მის სიღრმეს "მარს ექსპრესზე" დამონტაჟებული სპეციალური რადარი გამოიკვლევს. ეს ექსპერიმენტი მიმდინარე წლის აპრილში, მას შემდეგ დაიწყება, რაც მოხდება შესაბამისი მოწყობილობის გამართვა. რადარი განსაზღვრული სიხშირის რადიოსიგნალებს გააგზავნის მარსის ყინულოვან ზედაპირზე, საიდან არეკლილი ტალღებითაც შესაძლებელი იქნება ამ ზედაპირის შეფასება. თუმცა, ლანდგრაფი დღესვე დარწმუნებულია იმაში, რომ მარსზე გაცილებით ნაკლები წყალია, ვიდრე ჩვენს პლანეტაზე.

ბიძინა ხერხეულიძის გახსენება

გია მურღულია

ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრ კარგ ადამიანს შევხვედრივარ, უფრო ცოტას - ღირსეულს. ღირსება ისეთი რამ არის, საგანგებო დაკვირვება არ სჭირდება, შეხვედრის პირველი წამიდანვე ამჩნევს ყველა, ვისთვისაც ღმერთს გონებისა და გულის თვალი მიუცია.

არ ვიცი, არსებობს თუ არა ღირსების გენეტიკა. თუ არ არსებობს, ძალიან გულდასაწყვეტი იქნება, რადგან ბევრი არაფერია ამქვეყნად იმის ხილვასა და შეგრძნებაზე მომხიბლავი, როგორ გადაეცემა თაობიდან თაობას სულის ძალა, სიმაღლე და დახვეწილობა.

ამ სიტყვების დაწერისას თვალწინ მიდგას ჩემი ძვირფასი ბიძინა ხერხეულიძე - სიყვარულით, ვაჟკაცობითა და პოეზიით სავსე კაცი, თავისი მამის, ბატონი ქიცას, სულიერი არისტოკრატიზმის ნამდვილი მემკვიდრე და გამგრძელებელი.

ხანდახან ძნელი სათქმელია, რომელი უფრო რეალურია - ადამიანი, რომელიც ყოველდღე გხვდება, თუ სულის სიღრმეში სამუდამოდ ჩარჩენილი მისი სახე და ხატება. მე დღეს, აი, ახლა, ამ წუთში სრულიად ნათლად ვგრძნობ ბიძინას არსებობას - ის, რაც ჩემში მასზე არსებობს, არა მხოლოდ წარსული, არამედ აწმყოცაა.

მაინც როგორი იყო ბიძინა?

პირველი, რაც მინდა ვთქვა, ის არის, რომ ეს კაცი საოცრად უხდებოდა თავის სახელსა და გვარს! მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ძალიან თანამედროვე იყო, ის პირდაპირ ასხივებდა ძველი ქართველის ღირსებას, შინაგან ძალასა და ხიბლს - ხერხეულიძეების დიდებული საგვარეულოს სისხლი ძალუმად ჩქეფდა მის ძარღვებში. სიძველისა და ენერგიის გამომხატველი სახელი **ბიძინაც** აქცენტირებით წარმოაჩენდა მის შინაგან რაგვარობას. მე არავის ვაიდეალებ - არც ბიძინას, რომელსაც, ყველა ადამიანის მსგავსად, თავისი სისუსტეები ჰქონდა, მაგრამ ღრმად მწამს, რომ სწორედ მისნაირი პიროვნებები ადასტურებენ ძველ ჭეშმარიტებას ცის არსებობისა. ამ ცაზე აკიაფებული მზეა "სიმართლის მზე" - ჩვენი რწმენისა და იმედის საძირკველი, გამორჩეულ ადამიანთა ფიქრში, მეტყველებასა თუ ქცევაში რომ მჟღავნდება.

სამართლიანობის გამძაფრებული გრძნობა, შურისგან აბსოლუტური დაცლილობა, განათლებასა და კულტურასთან ბუნებრივი თანაზიარობა და სიკეთით ყოველწამიერი მოხიბლულობა - ეს იყო და არის ჩემთვის ბიძინა ხერხეულიძე.

კიდევ რა?

საქართველო! ამ კაცის ფიზიკური თუ სულიერი არსების ყოველი ატომი სუნთქავდა სამშობლოს განცდით! როგორ მწარედ მეღიმება დღეს ზოგიერთების უბადრუკ "პატრიოტიზმზე", ბიძინას რომ ვიხსენებ! რა ხელოვნურია, უნიათო და ხშირად წარსულისა და აწმყოს შეურაცხმყოფელიც მათი "სამშობლოს სიყვარული", როცა დანამდვილებით იცი და გინახავს, ჭეშმარიტად რა არის ეს და როგორ მჟღავნდება! სიმბოლურად ბიძინასნაირი კაცია სწორედ ამგვარ "პატრიოტთა" განაჩენი.

მე მინახავს ბიძინა გრემთან. ოთარ ჭილაძე უყვარდა ძალიან და იქ როგორ არ გაიხსენებდა მის სტრიქონებს:

"როდესაც ასე ახლოა გრემი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,
რომ დაინახო ჩემში ან ჩემით
რაღაც ახალი, სულმთლად ახალი.
და თუმცა გრემი არის ბებერი,
არის დაღლილი და დანგრეული,
მე მაინც მამღვრევს ეს სექტემბერი,
როგორც საყვარელ ქალის სხეული..."

იმ ადგილას და იმ დროს მეჩვენებოდა, რომ კახეთის ცა, გრემი, ჭილაძის ლექსი და ბიძინა ერთნი იყვნენ - არაჩვეულებრივი უბრალოებანი. ის ჩემი მეგობარი იყო, მასზე თითქმის ყველაფერი ვიცოდი და არაფერი უჩვეულო ან განსაკუთრებული ამაში არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ღმერთმანი, დიდად ვცოდავთ ხოლმე ხანდახან, როცა გვერდით მდგომი ახლობელი ადამიანის ბუნებრიობაში არაჩვეულებრივის დანახვისა და აღქმის უნარს ვკარგავთ. მას შემდეგაც ვყოფილვარ გრემთან, მომავალშიც არაერთხელ მოვინახულებ ამ შესანიშნავ ადგილს, მაგრამ ბიძინას ხმით გაჟღერებული საოცარი ერთობა ცის, ძეგლის და კაცის იმგვარად არასდროს გამეორდება!

მე უკვე დიდი ხანია, ვიცი, რომ ლექსის სიყვარული და აღქმა ბიძინამ მასწავლა. სტუდენტობისას და მერეც სულ მიკვირდა, როგორ შეეძლო ადამიანს ამდენი ლექსის დამახსოვრება. მერე, სულ ერთიმეორეზე უკეთესებს წარმოთქვამდა ხოლმე - მისგან მე ცუდი ლექსი არ გამიგონია! ძალიან დახვეწილი პოეტური ალღო და გემოვნება ჰქონდა. და კიდევ - ლექსს ისე იტყოდა, ისე აამეტყველებდა, თითქოს ავტორს მხოლოდ მისთვის ჰქონდა გამხელილი, რისი თქმა სურდა. ზოგჯერ ბიძინასგან ნათქვამი ლექსი წიგნში რომ წამიკითხავს, გამიფიქრია, რამ მოამაწონა-მეთქი. მერე და მერე მივხვდი, რომ ლექსის სულში ჩამწვდომი ადამიანის ხმასა და პოეტურ პათოსს სასწაულების მოხდენა შეუძლია.

ქართული სუფრის სიყვარული და არაჩვეულებრივი, ყველასგან განსხვავებული, თამადობაც ბიძინას რაინდული და პოეტური სულის თვალსაჩინო გამოვლინება იყო. მეგობრებში აღიარებულ ლიდერს სუფრის ლიდერობაც ძალიან უხდებოდა. ქართულ სუფრას ბევრი ტრადიციული სადღეგრძელო ახასიათებს, რაც, ზოგჯერ, მოსაწყენ ბანალურობად იქცევა ხოლმე. არავისგან მსმენია იმდენი ორიგინალური და, მართლაც, სუფრის ორატორული ნიჭიერებით სავსე სადღეგრძელო, რამდენიც ბიძინასგან. მილიონგზის ნათქვამ ყოვლად ჩვეულებრივ სადღეგრძელოსაც იმგვარი სიახლითა და მოულოდნელი რაკურსით იტყოდა, რომ გაგაკვირვებდა. მას, მართლაც, ყველასგან გამორჩეული "სუფრის ხედვა" ჰქონდა და ყოველთვის ლხინიც ნამდვილი პოეზიის დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე. უფრო მეტიც - ამ დროს იბადებოდა, როგორც რევაზ თვარაძე იტყვის - ადამიანური ურთიერთობების პოეზიაც! ბიძინას შეეძლო ერთად ყოფნის დროს მეგობრებისგან ლექსი შეექმნა. მე პირადად არაერთგზის მიგრძვნია ეს - როდესაც ყველაფერი, რაც ძვირფასია, ერთად იყრის თავს და შენ, სხვებთან ერთად, ამ დიდებული ჰარმონიისა და მთლიანობის განუყოფელი ნაწილი ხდები.

ამ დროს იბადებოდნენ ბიძინას საყვარელი გიორგი ლეონიძის სტრიქონები: "ყორღანებიდან გნოლი აფრინდა, ყაბარდოს ველი გადაიარა...", ტიციან ტაბიძის "შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის მომაგონდები ამ ანაწურთან", დავით გურამიშვილის "ვაი, რა კარგი, საჩინო რა ავად მიგიჩნიესო", ანდა გამორჩეული რუსი პოეტების შესანიშნავი ლექსები. ალექსანდრ ბლოკის სიტყვები მესმის ახლაც ბიძინას ხმით:

Ночь, улица, фонарь, аптека,
Бессмысленный и тусклый свет.
Живи еще хоть четверть века,
Все будет так, исхода нет.
Умрешь, начнешь опять с начала,
И повториться все как встарь:
Ночь, ледяная канала,
Аптека, улица, фонарь!"

უნიჭიერესი კაცი იყო ჩვენი ბიძინა და სამწუხარო და დასანანია, რომ საზოგადოებრივ სარბიელზე ამ ნიჭის შესაბამისად ვერ გაიბრწყინა - ის უფრო დიდი ცხოვრებისთვის იყო მოწოდებული, ვიდრე იცხოვრა, იქნებ იმიტომაც, რომ სხვების მიმართ კეთილად ირონიული ყველაზე მეტად ირონიულად საკუთარ თავს მოექცა. იქნებ ამ შემთხვევაშიც ის "ზომაზე მეტად" ქართველი იყო.

ბიძინა აღარც არის, მაგრამ ძალიან მაგრადაც არის - უწინარესად - თავის მშვენიერ ოჯახში და მერე - მეგობრებში, რომლებიც მასზე წარსულ დროში ვერ ლაპარაკობენ. სანამ არსებობს სიყვარული, რითაც კაცს უყვარდა, ეს კაციც არსებობს.

დაგვეხმარეთ, რითაც შეგიძლიათ

ჩვენი გოგონა, ეკა დევიძე, სულ 14 წლისაა. გასული წლის ნოემბერში სისხლის გათეთრების განსაკუთრებული ფორმა – მწვავე მელოიდური ლეიკემია აღმოაჩნდა. როგორც ექიმებმა გვითხრეს, ასეთი დიაგნოზი 1000 შემთხვევაში ერთს თუ შეიძლება დაუდგინდეს. მიუხედავად ამისა, ეკამ კრიზისული მდგომარეობის გადალახვა მოახერხა და დღეს, ჯერ კიდეც ცოცხალი გვყავს. მკურნალობის კურსს იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ონკოჰემატოლოგიურ განყოფილებაში უტარებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიოთერაპიის მეორე კურსს გადის, მისი მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ესაჭიროება ძვლის ტვინის სასწრაფო გადანერგვა, რასაც, ასეთ შემთხვევებში, საზღვარგარეთ აკეთებენ. ამ ოპერაციას უზარმაზარი თანხები სჭირდება (120-დან 150 ათას ევრომდე). ჩვენ სამაჩაბლოდან დევნილები ვართ, სასტუმრო “აფხაზეთში” ვცხოვრობთ და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ვიმყოფებით. თუკი ვინმეს ჩვენი დახმარება შეუძლია, გთხოვთ თანხა შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხოთ:

გაერთიანებული ქართული ბანკის საბურთალოს ფილიალი №7, კოდი – 220101670, მფო – 520245, საკორესპონდენტო ანგარიში – 600161901, პირადი ანგარიში №711014058.

სკანვორდი



TV პროგრამა

27 იანვარი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **09.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **00.30** მხ. ფილმი "ცუდი კომპანია". მთ. რ-ში: ენტონი ჰოპკინსი, კრის როკი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბასკერვილების ოჯახი" **10.10** მხ. ფილმი "სანუკვარი ოცნებები" **11.45, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "რემბო-2" **16.40** მულტფილმი "კეთილი სანტა-კლაუსი" **17.05** სერიალი "ჩემი ყველაზე მშვენიერი არდადეგები" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.45** "ჩვენი ფეხბურთი" **22.25** სერიალი "ჩემი ამერიკელი ბიძა" მე-2 ს. **00.10** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" მე-2ს.

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ჯონი-კბილის ჯაგრისი" მთ.რ-ში რობერტო ბენინი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "აჩრდილთა სამყარო" მთ.რ-ში ტორა ბერჩი, სკარლეტ იოხანსონი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "კომანდო" (არნოლდ შვარცენეგერი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ინტერვიუ ვამპირთან" (ანტონიო ბანდერასი)

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **19.30** კინოსეანსი "სიბრძნე სიცრუისა" **21.00** ისტორიანი **21.30** დოკ. ფილმი "წმინდა ნინო" **22.10** მხ. ფილმი "დარტანიანის ქალიშვილი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "შოუ იწყება" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **15.00** მხ. ფილმი "სიმონა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "აკვნიდან საფლავამდე" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "იმპერია" **22.30** მხ. ფილმი "ანდროიდების კოლონია" **00.30** მუსიკა

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 17.20, 19.30, 20.30, 23.30, 00.55** მუსიკა **11.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **12.00** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "საუზმე მდელოზე" **17.30, 18.00** დოკ. ფილმი **20.00** ჯაზის საღამოები (განმ.) **21.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "სადილი 13 კაცზე"

მესხრეთ არხი

08.00 პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.30, 17.50, 22.30** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 22.10, 00.00** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "გაძარცვა ბევერლი ჰილზე" **14.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **18.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.15** "ტელემეტრი" **22.40** მოკლ. მხ. ფილმი **00.45** "ცხელი ცხრიანი" **01.45** მხ. ფილმი "ემა სორელი"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 16.35, 17.20, 01.10** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "მუღამები" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "ლედი მაკბეტი მცენის მაზრიდან" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.50** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ღარის მახე **22.50** მხ. ფილმი "გადამგდებები"

არხი

08.00 მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "რთული ბავშვი 1" **10.50** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი "15 წუთი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხატვრული ფილმი "15 წუთი" (გაგრძ.) **14.25** მუსიკა **14.40** კომედია "ცხოველი" **16.20** მულტფილმი "ატლანტიდა" **17.40** სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 2 ს. **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.10** მხატვრული ფილმი "ჭრიჭინა" **23.00** "Пресс-папье" **23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** "რა არ ხდება" **23.40, 05.00** მუსიკა **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მელოდრამა "დედინაცვალი" **03.00** ისტორიული ფილმი "ელისაბედი"

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Худ.фильм "Следующий". ("Next 3") 11.20, 19.30 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Худ.фильм "Балтийское небо" 16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **20.30 Худ.фильм "Порох" 22.00, 00.30** "Время" **23.40** "Лубянка". "Приказано уничтожить" **00.50** "На футболе" **01.20** "Сканер" **01.50** "Формула власти". Президент Ирландии **02.20 Триллер "Ныряльщик" 04.05 Комедия "Во всем виноват Рио"**

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "Русские амазонки 2" 10.50 Ток-шоу "Короткое замыкание" 11.45, 14.45, 17.25, 01.15** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести - Москва **12.50** Ток-шоу "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Неотложка" 15.30** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Детектив "Кобра. Груз" 19.00 Мелодрама "Спас под березами" 19.55 Сериал "Тайны следствия. Странности Алисы" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00 Сериал "Неотложка" 00.00** "Вести+" **00.20** "Тайны блокадного города" **01.30 Боевик "Постовые" 03.05** "Дорожный патруль" **03.25** "Агентство одиноких сердец" **03.50 Сериал "Ангелы Чарли" 04.40 Сериал "Навеки Джулия"**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **09.55 Сериал "Таксистка" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Неизвестная война: блокада Ленинграда" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "На семи ветрах" 15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.35 Детектив "Мангуст", 6 с. 21.50 Сериал "Таксистка", 10 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Сериал "Без следа", 2 с. 00.45 Детектив "Мангуст"**

სუპერ-დედა

ჰაიდი კლუმი

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო დღესაც მის თხელ და უნაკლო სხეულს შესცქერის, საქმე მთლად ასე როდია. ეს ძველი გადაღებული სურათები თუ კადრებია. მათზე გამოსახული ქალი, სუპერ-მოდელი ჰაიდი კლუმი, ამჟამად ორსულადაა და სულ მალე თავისი კოლეგების, კლაუდია შიფერის, ნადია აუერმანის თუ ელენ მაკფერსონის კვალდაკვალ, დედა გახდება.

ამერიკელ პარიკმახერთან, რიჩ პინოსთან მშვიდობიანი განქორწინების შემდეგ ჰაიდი სულ სხვანაირ, შეუდარებლად უფრო ძვირფასს მამაკაცს გადააწყდა და დაორსულდა კიდეც. მომავალი ბავშვის მამა მოდელზე 23 წლით უფროსი მილიონერი ფლავიო ბრიატოლე გახლავთ.

მანამდე ჰაიდი ნამდვილი სუპერმოდელი იყო, წარმატებული და არნახულად გამხდარი. გერმანელები სიხარულით ხვდებიან მისი დედობის პერსპექტივას, ერთადერთი, ლამაზმანის წონის დარდი აქვთ. მართალია, თავს იმით ინუგეშებენ, რომ სუპერმოდელი სუპერ-დედა გახდება.

ასეთი სახეცვლილების ნათელი მაგალითი სინდი კროუფორდია. მოდელობის საუკეთესო წლებში სინდი წელიწადში შვიდ მილიონ დოლარს აკეთებდა. ახლა ის 36 წლისაა და ორი შვილის დედა ბრძანდება. თავისი კოლეგების უმრავლესობისგან განსხვავებით, სინდი ჭკვიანი ქალი გამოდგა, არამარტო ტოპმოდელი, არამედ ყოჩაღი "ბიზნესქალიც". წიგნები, ვიდეოჩანაწერები, რეკლამა, ფილმები – სადაც კი სინდის სახე ჩნდება, ყველაფერი ჩინებულად იყიდება. ის შიდსთან თუ კიბოსთან ბრძოლის ორგანიზაციების აქტიური წევრია, და ის, რომ ოდესღაც "ფლეიბოისთვის" გაიხადა და ლესბიანელ მუსიკოს კეი დი ლანგთან ერთად ჟურნალ "ვენიტი ფეარისთვის" გადაიღეს, აღარავის აღელვებს.

სინდი ყოველთვის ლამაზი იყო, და რაც მთავარია, "ნამდვილი" გარეგნობა ჰქონდა, მოდელისთვის სასურველზე ცოტა უფრო მსუქანი ბარძაყებითაც კი. ორი მშობიარობის შემდეგ ის კვლავ მზეთუნახავია – ეს გასული წლის გაზაფხულზე, მილანის მოდის კვირეულზე მყოფმა საზოგადოებამ საკუთარი თვალით იხილა. "მე ძალიან მიხარია, რომ დღედაღამ მუშაობა აღარ მიწევს," თქვა სინდიმ, და სიცილით მოჰყვა: "იქ, მილანში, რამდენიმე მოდელმა მითხრა, 20 წელია, შენი თაყვანისმცემელი ვარო. ნეტა, თვითონ რამდენი წლისა იყვნენ?"

სინდი ხალისიანად ცხოვრობს: ცოტას მოდელობს, ცოტას ტელევიზიაში მუშაობს, სუნამოს აწარმოებს, საბავშვო წიგნიც კი დაწერა. "მე მქვია სინდი, ჩემს ფირმას – კროუფორდი," განმარტა ყოფილმა მოდელმა. "ვარცხნილობის, მაკიაჟის და სწორი განათების გარეშე არსებობა ბევრად უფრო საინტერესოა". ეს ფირმა და მისი მფლობელი, რომლის ინტერესებსაც ფირმა იცავს, წელიწადში ათ მილიონს აკეთებენ. "ძალიან სასიამოვნოა, რომ ამქვეყნად ყველაზე მოდუნებული მოდელი ვარ," გაუმხილა სინდიმ რეპორტიორებს.

საბჭოთა ხელოვნება ლონდონში

ლონდონში, მეიფერში, ახალი გალერეა გაიხსნა, რომელშიც მეოცე საუკუნის შუახანების საბჭოთა ხელოვნების ნიმუშები იქნება ხოლმე გამოფენილი.

გალერეის მფლობელი, ცნობილი ბრიტანელი არტ-კრიტიკოსი მეტიუ ბოუნი, ამ დროის ხელოვნების მიმართ თავის ლტოლვას ამგვარად ხსნის: "საბჭოთა ხელოვნებით სერიოზულად 1980-იან წლებში, მოსკოვში ჩასვლის შემდეგ დავინტერესდი. რამდენიმე ხელოვანის ცხოვრებასა და ნამუშევრებს გავეცანი, 1930-იან და 40-იან წლებში შექმნილ ტილოებს, და მივხვდი, რომ მეოცე საუკუნის ხელოვნების ისტორიას საბჭოთა სოცრეალიზმის ბადალი სადავო მიმდინარეობა არ ახსოვს. მას შემდეგ გადავწყვიტე, რომ ლონდონში გალერეა უნდა გამეხსნა და დასავლეთის ხელოვნების მოყვარულთათვის ეს ნამუშევრები მეჩვენებინა".

გალერეას პირველ გამოფენას "სოცრეალიზმის ხატები" ჰქვია. დარბაზში ისააკ ბროდსკის, ბორის პიხოსოვიჩის, გეორგი რუბლიოვისა და მიხაილ ტრიფონოვის ფერწერული ტილოებია გამოფენილი.

საბჭოთა დროის ხელოვნების შესახებ საუბრისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ხელოვანს ჭეშმარიტი დიდება გარდაცვალების შემდეგ თუ ეღირსება ხოლმე. ხანგრძლივი დავიწყების შემდეგ, 30-50-იანი წლების საბჭოთა ხელოვნება კვლავ ინტერესის საგანი გახდა. ამ ეპოქის ნამუშევრებს უამრავი კოლექციონერი ეტანება, ისინი "სოტბისა" თუ "კრისტის"ზე" გააქვთ. რა უნდა იყოს სოცრეალიზმის რენესანსის მიზეზი?

პირველ მიზეზად, ჩვეულებრივ, იმას ასახელებენ ხოლმე, რომ "თვალი დაიღალა". ადამიანები თანამედროვე არტ-სცენაზე წარმოდგენილმა ფსევდომიმდინარეობებმა და პრეტენზიულმა "შედევრებმა" დაღალა. ისეთი პირი უჩანს, რომ ექსპერიმენტები ამოიწურა, და მათ კვლავ აღიარებულ ტრადიციას დაუთმეს სარბიელი.

იმის თქმაც შეიძლება, რომ ვიღაცეებს წარსულის ნოსტალგია შემოაწვათ, და ამ ტკივილს გასული საუკუნის მხატვრების ფერწერა უამებთ.

მაგრამ ყველაზე დამაჯერებლად მაინც ის ვერსია ჟღერს, რომ მდიდარ ხალხს სარფიანი ინვესტიციის გაკეთება უნდა, და ხელოვნება, მით უმეტეს, წარსული დროის ხელოვნება, ყოველთვის ფასობს.

ცხადია, დასავლეთის კოლექციონერთა უმრავლესობისთვის საბჭოთა სოცრეალიზმი კიჩია, ეგზოტიკა – მათ ხომ არ იციან, რა ბედში იყო ტილოს ავტორი, მათ ხომ წარმოდგენა არა აქვთ იმ იდეოლოგიური წნეხის შესახებ, რომელშიც საბჭოთა ხელოვანები იყვნენ მოყოლილნი.

მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ სოცრეალიზმი პოპულარული გახდა, და იმდროინდელი ტილოები სარდაფებსა და სხვენებში განადგურებას გადაურჩა. ესეც საქმეა.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მხიარი“ გთავაზობთ:

პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებლის სასერტიფიკატო კურსებს:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61

გავშვთა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი
"ჯანმრთელი ოჯახი"
გთავაზობთ

პედიატრიულ სამსახურს (0-16 წლამდე), აცრებს (მათ შორის გრიპის საწინააღმდეგო), სრულ ექოსკოპიურ გამოკვლევას.

თქვენს სამსახურში არიან კვალიფიცირებული სპეციალისტები თბილისის წამყვანი კლინიკებიდან.

მისამართი: ლ. ქიაჩელის ქ. 18.
ტელ: 98 23 37.



განცხადება

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით დანიშნულია ს/ს "მადნეულის" აქციონერთა საერთო კრება 2004 წლის 27 იანვარს დღის 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის №64.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გამოწვევა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა.

ს.ს.ი.პ. "საწარმოთა მართვის სააგენტო"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.